პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ № 68, მეორე სართული
რედაქციაში სამუშაოსათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან —80 კ. სონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 60 კ. ტექსტში—3 მ., განცხადებების ფასი იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთ-ჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დ ღ ი უ რ ი

— ლოკის გაფიცულთა ხელმძღვანელები დათანხმდნენ არბიტრაჟზე.
— პოლონეთის დელეგაციამ ვერ მიიღო სესხი ამერიკაში.
— რიგაში გამოცხადდა ნავთსადგურ. მუშების გაფიცვა. გაფიცვაში 2.000 კაცი მონაწილეობს.
— შვეიცარია ცდილობს განაახლოს [illegible] საბჭოთა კავშირთან.
— შვეციაში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის მაღაროს მუშათა კავშირის მდივანი შვეციის მემაღაროეთა კონგრესზე დასასწრებლად.

სამშაბათი, 22 მარტი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 63 (1818)

ა. წ. 24 მარტს, საღამოს 6 საათზე,
საბ. კომისართა საბჭოს წითელ დარბაზში
შ ე ს დ გ ე ბ ა
საქართველოს კომპარტიის ცეკას
მორიგი პლენუმი
საქ. კომპარტიის საოლქო და სამაზრო კომიტეტების მდივნებთან ერთად
საქ. კომპარტიის ცეკას მდივანი ქართველიშვილი

ორშაბათს, ა. წ. მარტის 28, თბილისში, გაიხსნება
სრ. საქართვ. საბჭ. მე-IV ყრილობა
ყრილობის დღის წესრიგი:
1. ამიერ-კავკასიის მთავრობის მოხსენება.
2) ს.ს.ს.რ. მთავრობის მოხსენება.
3) სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოხსენება
4) სოფლის მეურნეობის ამოცანების შესახებ მოხსენება
5) მოხსენება საქართველოს წითელი ჯარის შესახებ
6) ს.ს.ს.რ. კონსტიტუცია
7) რესპუბლიკის ორგანოების არჩევნები
8) დელეგატების არჩევა ა.-კავკ. და საკავშირო ყრილობებზე
9) მიმდინარე საკითხები.
სრულიად საქართველოს ცაკის მდივანი—ს. თოდრია.

ა. წ. 22 მარტს, საღამოს 6 საათზე
სახალხო კომისართა საბჭოს წითელ დარბაზში
გ ა ი ხ ს ნ ე ბ ა
საქ. კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის
მე-V-ე გაფართოებული პლენუმი
ც. ს. კ. და მ|გ. ინსპექციის სახ. კომისარიატის მაზრების და ავტონომიურ რესპუბლიკების რწმუნებულებთან ერთად.
მაზრებიდან ჩამოსული ამხანაგები სათანადო საბუთების მისაღებათ უნდა გამოცხადდნენ ც. ს. კომისიაში (რუსთაველის გამ. № 24 მე-3 სართული
ც. ს. კომისიის თავმჯდომარე ა. დოლიძე

ბრწყინვალე გამარჯვება

ის ძლევამოსილი შეტევა, რომელსაც ჩინეთის რევოლიუციონური არმია უკანასკნელ ხანებში ანვითარებდა ნანკინ-შანხაის მიმართულებით, ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა: ჩრდილოეთის გაერთიანებული რეაქციის ჯარები განდევნილია შანხაიდან, რომელიც უკვე კანტონელების ხელში გადავიდა.

ამ ფაქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რევოლიუციის საბოლოო გამარჯვებისათვის ჩინეთში და იქ იმპერიალიზმის ბატონობის აღმოფხვრისათვის. მას შემდეგ, რაც კანტონმა გაანადგურა უ-პეი-ფუს და სუნ-ჩუან-ფანის სამხედრო ძლიერება და ხელთ იგდო ამ მილიტარისტების სამფლობელოების უმეტესობა, იმპერიალისტების, პირველ ყოვლისა ინგლისელ მძარცველების, მეცადინეობა იქითკენ იყო მიმართული, რომ შეენარჩუნებინათ თავისი უმთავრესი დასაყრდენი ჩინეთში — შანხაი. ამ მიზნით მათ აქ თავი მოუყარეს უძლიერეს სამხედრო ფლოტს, ამასთან ინგლისმა 20 ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარიც გადასხა შანხაიში. მაგრამ მთავარ იმედს ამ მხრივ ისინი ამყარებდნენ მუკდენ - შანდუნის ბლოკზე. ჩანძოლინსა და ჩან-ძუან-ჩანზე, რომლებიც ლონდონის მატერიალურ და სამხედრო დახმარებით ზურგგამაგრებულნი, დაიძრნენ სამხრეთელების შეტევის შესაჩერებლად.

ამის გამო ცნობილი ინგლისელი კონსერვატიული გაზეთი „ტაიმს" წერდა: „აქ იანცზის შესართავთან, სადაც თავს იყრის უცხოეთის ინტერესები და გავლენა, სადაც ჩინეთის ვაჭრობა უმჭიდროეს კონტაქტში შედის მთელ გარეშე მსოფლიოსთან, — ხდება ჩინეთის უახლოესი ბედის გადაწყვეტის ცდა. თვით შანხაი თავისი საოკეანო ვაჭრობით, თავისი სწრაფლმავალი გემებით და უდიდესი საბაჟო შემოსავლით, წარმოადგენს ჯილდოს ბრძოლაში, რომელიც შეიძლება გადამწყვეტად იქცეს... ჩინეთის სამოქალაქო ბრძოლას არასოდეს არ მიუღია ასეთი ხასიათი, როცა სასწორზეა დასმული ყველა, ჩინეთში დიდი ხანიდან განმტკიცებული უცხოეთის ინტერესები". „ტაიმს" ამ ინტერესების დაცვას სამართლიანად უკავშირებდა ჩრდილოელ მილიტარისტების გამარჯვებას, მილიტარისტების, რომელნიც იმპერიალიზმის იარაღს წარმოადგენენ ჩინეთის ხალხის დასამონებლად.

მაგრამ როგორც უ-პეი-ფუმ და შემდეგ სუნ - ჩუანმა ვერ გაამართლეს ინგლისის იმპერიალისტების იმედები, ვინაიდან ეს რეაქციონური გენერლები თავისი არმიებით სასტიკად და საბოლოოდ დამარცხდნენ კანტონთან ბრძოლაში, ისე ეხლაც ინგლისს „კოვზი ნაცარში ჩაუვარდა". სამხრეთის რევოლიუციონური ჯარების მიერ შანხაის აღება ამის საუკეთესო მაჩვენებელია. კანტონის ეს გამარჯვება შინაური რეაქციის და იმპერიალიზმის უღლის დამსხვრევის უტყუარი საწინდარია ჩინეთში.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ შანხაის დაპყრობით შეუდარებლად უმჯობესდება კანტონის არმიის სტრატეგიული მდგომარეობა. ამით მისი მარჯვენა ფლანგი უზრუნველყოფილი ხდება, საგრძნობლად მოკლდება ფრონტის მანძილი, რაც კანტონს საშუალებას აძლევს გააძლიეროს თავისი ძალები ხენანის რაიონში მის წინააღმდეგ მომქმედ ჩან-ძოლინის ჯარების წინააღმდეგ, რომლებსაც ამასთან სერიოზულად ემუქრება ფინიუსიანი. ამავე დროს შანხაის აღებას უეჭველად მოჰყვება ნანკინის დაპყრობაც და ჩან - ძუან - ჩანის სრული განადგურება. ცხადია, ამ მიმართულებით ჩანკაიში არ დააყოვნებს მოქმედების გაშლას. ამნაირად, ჩინეთის მილიტარიზმის აღსასრული მოახლოვებულია. კანტონის ხელისუფლებას ეხლა უკავია ჩინეთის მთელი ტერიტორიის ორი მესამედი, სადაც ჩინეთის 400 მილიონი მოსახლეობიდან მოყოლილია 300 მილიონამდე. ამასთან კანტონის რევოლიუციონური მთავრობის ტერიტორია ყველაზე უფრო მდიდარი და დაწინაურებულია, როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მრეწველობის და ვაჭრობის დარგში. დღეს იგი ფაქტიურად ხდება მთელი ჩინეთის ნამდვილ მთავრობად.

შანხაის დაუფლებით კანტონი შეუდარებლად ძლიერდება. შანხაი უდიდესი ნავთსადგურია მსოფლიო მასშტაბით. ჩინეთის ექსპორტის და იმპორტის დაახლოებით 50 პროცენტი ამ ქალაქში ტარდება. შანხაი იძლევა ჩინეთის ყველა საბაჟოების შემოსავლის თითქმის ნახევარს. ეს კი ამტკიცებს კანტონის ეკონომიურ - ფინანსიურ ბაზას როგორც კონტრ-რევოლიუციასთან შემდგომი წარმატებითი ბრძოლისათვის, ისე ქვეყნის შინაური განახლებისა და აღმშენებლობითი მუშაობისათვის. ამავე დროს შანხაი უდიდესი სამრეწველო ცენტრია ჩინეთში, 200 ათასიანი რევოლიუციონურ ბრძოლაში გამოკაჟებულ პროლეტარიატით. ამ მუშათა კლასმა საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებით როგორც შანხაიში, ისე შანხაი-ნანკინის რკინის გზაზე, თავისი აჯანყებით მილიტარისტების წინააღმდეგ, დააჩქარა უკანასკნელთა გაძევება შანხაიდან და კანტონელებს მეტად გაუადვილა ამ ქალაქის დაუფლება. ამიერიდან პროლეტარ. რევოლიუციონური ხელისუფლების საუკეთესო დასაყრდენი ძალა იქნება და მისი აქტიური დახმარებით და მონაწილეობით გომინდანი შესძლებს მიღწეულ შედეგების განმტკიცებას და გაფართოვებას.

შანხაის ასეთი მნიშვნელობა მშვენივრად იციან იმპერიალისტებმა. შანხაი მათთვის გასაღები იყო მთელი ჩინეთის და უმთავრესი პუნქტი მის ეკონომიურ და პოლიტიკურ დამონებისათვის. ამიტომაც იყო, რომ იმპერიალისტებს არაფერი დაუზოგავთ მის შესანარჩუნებლად თავიანთ ხელში. ყველაზე უფრო მეტ „მზრუნველობას" ამ მხრივ ინგლისი იჩენდა, რადგან სწორედ ეს იმპერიალისტური სახელმწიფოა ყველაზე მეტად გაბატონებული შანხაიში და მთელ ჩინეთში. როგორ მოიქცევიან ისინი კანტონის მიერ შანხაის დაპყრობის შემდეგ? საეჭვოა მათ გაბედონ აშკარა სამხედრო გალაშქრება რევოლიუციონური არმიის წინააღმდეგ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ არ არსებობს ერთსულოვნება იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის. ინგლისი ჩინეთის საკითხში გარიყულია. იაპონია კანტონთან შერიგების მომხრედ გამოდის, ვინაიდან სხვანაირად მას ეშინია სულ ყველაფრის დაკარგვისა ჩინეთში. ამერიკაც ყოყმანობს, ის ჯერ-ჯერობით გაურბის ინტერვენციას. ორივე მათგანის ინტერესს კი შეადგენს ინგლისის პოზიციების შერყევა ჩინეთში. შემდეგ, იმპერიალისტები კიდეც რო გაერთიანდენ (რაც არ არის მოსალოდნელი), მათ მაშინაც არ ეყოფათ ძალა კანტონის დასამარცხებლად, კანტონის, რომელსაც მთელი ჩინეთის ხალხის უდიდესი უმრავლესობა აქტიურად უჭერს მხარს. ინგლისელების მოქმედება ჩინეთში ეხლაც უაღრეს აღშფოთებას იწვევს ხალხში, ხოლო თუ იმპერიალისტებმა გაბედეს მილიტარ-ბთან ერთად აშკარა გამოსვლა. ამას უეჭველად საყოველთაო სახალხო აჯანყება მოჰყვება უცხოელ მყვლეფელების წინააღმდეგ, რის შედეგი იმპერიალისტურ ქვეყნებისათვის მეტად სამწუხარო შეიძლება აღმოჩნდეს.

ამგვარად ცხადია, რომ კანტონის ჯარების შესვლა შანხაიში მსოფლიო იმპერიალიზმის და პირველ ყოვლისა ინგლისის უდიდესი დამარცხებაა. ეს ფაქტი წინამორბედია იმპერიალისტების ბატონობის ძირფესვიანად აღმოფხვრისა ჩინეთში, უკანასკნელის მიერ სრული დამოუკიდებლობის მოპოვების, ჩინეთის რეაქციის განადგურების და ქვეყნის გაერთიანებისა გომინდანის რევოლიუციონურ ხელისუფლების დროშის ქვეშ. მსოფლიო რევოლიუციონური პროლეტარიატი და პირველ რიგში საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი დიდი სიხარულით შეხვდება ჩინეთის რევოლიუციის ამ მორიგ ბრწყინვალე გამარჯვებას, რომელსაც უნდა მოჰყვეს ჩინეთის ხალხის სრული განთავისუფლება როგორც შინაურ, ისე გარეშე მოძალადეებისაგან.

შტრეიკბრეხერები შეტევაზე გადადიან

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

ბერლინში მიმდინარე სამთამადნო მუშათა ინტერნაციონალის აღმასკომის სესიაზე ამჟამად არაჩვეულებრივ თავისებურ ფორმებში ჯამს უკეთებენ ინგლისის სამთამადნო მუშათა გაფიცვას. როგორც ცნობილია, სამთამადნო მუშათა ინტერნაციონალმა, მიუხედავათ სიტყვიერი დაპირებისა, არა თუ არ აღმოუჩინა რაიმე დახმარება სამთამადნო მუშებს, არამედ, პირიქით, თავისი მდივნის ფრანკ ხოჯესის სახით აშკარად გაილაშქრა დახმარების წინააღმდეგ და მხარი დაუჭირა გაფიცვის ჩაშლას. ხოჯესი იყო გაფიცვის ერთ-ერთი აქტიური მოწინააღმდეგეთაგანი: ის იცავდა მთავრობას და მაღაროს მეპატრონეებს, თავს ესხმოდა სამთამადნო მუშათა ფედერაციას და მის ხელმძღვანელთ, და გახდა ყველა ბურჟუაზიულ ანტიმუშურ გაზეთების სასურველი თანამშრომელი. თავის შტრეიკბრეხერული მოღვაწეობისათვის მან მიიღო თბილი ადგილი სახელმწიფო სამსახურში, ამასთან ბურჟუაზიამ ხოჯესი შეაფასა წლიურად 750 გირვანქა სტერლინგათ. აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ კეთილი საქმე ფასდება არა მარტო იმ, არამედ ამ ქვეყნადაც. მთავრობის სამსახურში შესვლით, ხოჯესი გახდა უფრო „დამოუკიდებელი" და აამაღლა თავისი შრომის ნაყოფიერება გაფიცულ სამთამადნო მუშებზე, განსაკუთრებით კუკზე თავდასხმის დარგში. ხოჯესის ასეთ საქციელს უნდა გამოეწვია შეხლა-შემოხლა ინტერნაციონალის აღმასკომის სესიაზე.

სამთამადნო მუშათა ინტერნაციონალში ინგლისის ფედერაცია—ყველაზე ძლიერი ორგანიზაციაა. ის აერთიანებს სამთამადნო მუშათა ინტერნაციონალის ყველა წევრთა ნახევარზე მეტს. ტრადიციით—ინგლისის ფედერაციას სამთამადნო მუშათა ინტერნაციონალში ეკუთვნოდა თავმჯდომარისა და მდივნის ადგილი. ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაციას უნდოდა ესარგებლა თავისი უდავო უფლებებით შტრეიკბრეხერებისაგან გასანთავისუფლებლად, ამიტომ ფედერაციის სახელით კუკმა აღძრა საკითხი იმის შესახებ, რომ მდივნის თანამდებობიდან მოეხსნათ ინგლისის მთავრობის მოხელე ფრანკ ხოჯესი. კუკმა მოიყვანა მთელი რიგი დოკუმენტები, რომლებითაც ამტკიცებდა ხოჯესის შტრეიკბრეხერულ მუშაობას და, თუ, არა ფორმალურად, არსებითად მაინც დასვა საკითხი: ან ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაცია, ან და ფრანკ ხოჯესი.

მისტერ ხოჯესმა, მაღაროს მეპატრონეთა წარმომადგენელმა სამთამადნო მუშათა ფედერაციაში, გაილაშქრა კუკის წინააღმდეგ, უკანასკნელის მიერ გაფიცვის ხელმძღვანელობის გაწევისა და მოსკოვში წარმოთქმულ სიტყვების გამო მისტერ ხოჯესი ამტკიცებდა, რომ ის დგას სამთამადნო მუშათა ინტერნაციონალის ინტერესების სადარაჯოზე და რომ სწორედ ამიტომ კუკს, რომელმაც „ინსტრუქციები მიიღო მოსკოვიდან", სურს მისთვის სახელის გატეხა.

მთელ ამ ისტორიაში ყველაზე საყურადღებოა ის, რომ ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაციის წინადადება, ადგილიდან ფრანკ ხოჯესის მოხსნის შესახებ, უარყოფილ იქნა ყველა ხმების უმრავლესობით ინგლისელების წინააღმდეგ. ამნაირად რეფორმისტებმა— ფრანგებმა, გერმანელებმა და ბელგიელებმა დაამტკიცეს თავისი სოლიდარობა ხოჯესის შტრეიკბრეხერობისადმი და მხარი დაუჭირეს „თავის კაცს", მიუხედავათ იმისა, რომ ყველა ისინი, ერთად აღებულნი, შეადგენენ უფრო ნაკლებს, ვიდრე მარტო ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაცია.

მაგრამ ამით როდი დაკმაყოფილდნენ ეს ვაჟბატონები, მთავრობის მოსყიდული აგენტები, რომლებმაც სოლიდარობა გამოუცხადეს შტრეიკბრეხერობას. ისინი უფრო შორს წავიდნენ: მათ შეიტანეს საპროტესტო რეზოლიუცია კუკის გამოსვლის წინააღმდეგ მოსკოვში, და მოითხოვეს, რომ სამთამადნო მუშათა ფედერაციაში აღმასკომმა შესცვალოს კუკი სხვა წარმომადგენლით. ამნაირად ინგლისის სამთამადნო მუშათა მოთხოვნილებაზე, ინტერნაციონალიდან შტრეიკბრეხერის გაძევების შესახებ, გერმანელებმა, ფრანგებმა და ბელგიელებმა უპასუხეს კონტრმოთხოვნილებით, ინტერნაციონალიდან ინგლისის სამთამადნო მუშათა ყველაზე [illegible] წარმომადგენლის—კუკის გაძევების შესახებ.

ყველა შტრეიკბრეხერები გაერთიანდენ და შეტევაზე გადავიდნენ იმის წინააღმდეგ, ვინც გაბედა ხოჯესისა და ამითვე მისი თანამოღვაწეების საკითხის დასმა. შტრეიკბრეხერები თავდაცვიდან გადავიდნენ თავდასხმაზე, მაგრამ, შეხვდნენ რა სასტიკ წინააღმდეგობას ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაციისაგან, ამ პატარა, მაგრამ თბილი კომპანიის ყველაზე ცოფიანმა წარმომადგენელმა, გუზემანმა, უკან წაიღო თავის რეზოლიუცია, და ამასთან განაცხადა, რომ „ფედერაციის აღმასკომში შეუძლებელი გახდა მშვიდობიანი მუშაობა იმ დღიდან, რაც მის შემადგენლობაში კუკი შევიდა"-ო.

ასეთია „ინტერნაციონალის" ამ სხდომის შედეგი, სადაც რეფორმისტ-ბიუროკრატებმა გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიის და სხვა ქვეყნების სამთამადნო მუშების სახელით სავსებით მოიწონეს ხოჯესის შტრეიკბრეხერული მოღვაწეობა და სადაც დაადასტურეს თვითეული პროფკავშირელი მოხელის უფლება, საკუთარ შესაძლებლობის მიხედვით, მიეყიდოს თავის მთავრობას. რასაკვირველია, ეს, საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში გაუგონარი ფაქტი არ ჩაივლის უშედეგოდ. ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაცია, რომელიც აერთიანებს 300.000 მეტ პროლეტარს, ვერ შეურიგდება იმას, რომ ინტერნაციონალის სათავეში იდგეს მთავრობისა და მაღაროს მეპატრონეთა მეგობარი, ვერ შეურიგდება იმას, რომ ფრანკ ხოჯესი თავის თანამდებობას ინტერნაციონალში ათავსებდეს ინგლისის ბურჟუაზიის ფასიანი აგენტის თანამდებობასთან.

ამიტომ კონფლიქტი უნდა გადავიდეს მესამე სტადიაში, ხოლო მესამე სტადია იმაში მდგომარეობს, რომ ინგლისის სამთამადნო მუშები იძულებული გახდებიან გასწყვიტონ ყოველგვარი კავშირი შტრეიკბრეხერებთან და გააბან ნამდვილად ძმური კავშირი იმათთან ვინც ნამდვილად ეხმარებოდა ინგლისის სამთამადნო მუშებს მათ მძიმე და ძნელ ბრძოლაში.

შტრეიკბრეხერებმა სამთამადნო მუშათა ინტერნაციონალიდან სცადეს გადასვლა თავდაცვიდან თავდასხმაზე, მაგრამ არის ყველა საფუძველი ვიფიქროთ, რომ ისინი, ფრანკ ხოჯესის აღიარების შემდეგ თავის ხელმძღვანელად და მედროშედ მხოლოდ დაანგრევენ იმ სუსტ შენობას, რომელიც, ისტორიული ტრადიციით, ატარებდა სამთამადნო მუშათა ინტერნაციონალის სახელწოდებას.

ა. ლოზოვსკი.

მოსკოვი, 20 მარტი.

საბჭოთა პრესა

უცხოეთის ტეხნიკის გამოყენება

ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოციალიზმის მშენებლობა მაღალ ტეხნიკას გულისხმობს. ამ მშენებლობისათვის ჩვენ უნდა გამოვიყენოთ არა მარტო ჩვენი ადგილობრივი სპეციალისტები, არამედ უცხოელებიც, რომელნიც საფუძვლიანად იქნებიან გაცნობილნი მსოფლიო ტეხნიკის უკანასკნელ მიღწევებს. რა ფორმებში უნდა ხდებოდეს უცხოეთის ტეხნიკის მოზიდვა? მ გურევიჩი „ტორგოვო-პრომიშლენნაია გაზეტა"-ში ასახელებს სამ ფორმას: ტეხნიკურ ხელშეწყობისა და პატენტების შესყიდვის ხელშეკრულება ჩვენს ტრესტებსა და მსოფლიო ფირმებ შორის, უცხოელ სპეციალისტების მოწვევა, ჩვენი სპეციალისტების გაგზავნა საზღვარგარეთ.

„უკანასკნელ წლების გამოცდილება გვიჩვენებს,—წერს ავტორი,—რომ უცხოეთის ტეხნიკის შეთვისების ყველაზე უფრო სასარგებლო და სრულ ფორმად უნდა მივიჩნიოთ ტეხნიკურ ხელშეწყობის ხელშეკრულებები. ასეთი ხელშეკრულება ჩვეულებრივ მთელ რიგ მომენტებს შეიცავს: 1) ჩვენი სათანადო ტრესტის ინჟენერების გაგზავნა ტეხნიკურად ხელშემწყობ უცხოელ ფირმის ფაბრიკაზე (ამასთან, მივლინებული ტეხნიკური პერსონალი ასრულებს სამუშაოთა სრულებით გარკვეულ პროგრამას და, გამოცდილ უცხოელ ინჟენერების ხელმძღვანელობით, ითვისებს წარმოების განსაზღვრულ დარგის ტეხნიკებს), უცხოელ ინჟენერების მოვლინება ჩვენთან სათანადო წარმოებათა დასაყენებლად, წარმოების მთელ რიგ პატენტების და საიდუმლოებათა გადმოსაცემად, საერთო მონაწილეობა ზოგიერთ მსხვილ დაკვეთის შესრულებაში საბჭოთა კავშირის შიგნით, 4) კონსულტაცია ქარხნების გადაკეთების და ახლების აშენების დროს და სხვ".

უცხოეთის ტეხნიკის შეთვისების მეორე ფორმას, როგორც აღნიშნული იყო, წარმოადგენს უცხოელ სპეციალისტების მოწვევა, რომლის შესახებ გურევიჩი ამბობს:

„ამ ფორმის მთავარი ნაკლულევანებებია: ზერელე და არა საკმაოდ სერიოზული შერჩევა სპეციალისტებისა უცხოეთში (რის შედეგად ჩვენ ხშირად ვიწვევთ არა იმ სპეციალისტებს, რომლებიც გვესაჭიროება), ამოცანების არა საკმაო სიცხადით დაყენება მოწვეულ უცხოელ სპეციალისტების წინაშე. როგორც წესი, ჩვენ საზღვარგარეთიდან უნდა მოვიწვიოთ მარტო ერთეულები—ნამდვილად მაღალ კვალიფიციური სპეციალისტები... არსებულ გამოცდილების მიხედვით, ჩვენ უფრო რაციონალურად მიგვაჩნია უცხოელ სპეციალისტების მოწვევა საკონსტრუქტორო ბიუროების, ლაბორატორიების, ტრესტების ტეხნიკურ განყოფილებათა და სხ. მუშაკებათ; უფრო ნაკლებად შესაფერისია მათი მოწვევა საქარხნო ინჟენერებად. ვინაიდან ასეთ შემთხვევებში ნორმალურ ურთიერთობათა დამყარებისათვის ჩვეულებრივ მეტად სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს ენის უცოდინარობა და აგრეთვე ის, რომ უცხოელ სპეციალისტების უმრავლესობა ვერ ერკვევა ჩვენს კონკრეტულ პირობებში".

რაც შეეხება ჩვენი სპეციალისტების მივლინებას საზღვარგარედ, როგორც ამხ. გურევიჩიც სამართლიანად ამბობს, აუცილებელია მათ ეძლეოდეთ გარკვეული დავალებები, რომელთა შესრულებისათვის საკმაო დროც უნდა იყოს დაწესებული, ვინაიდან აშკარაა, რომ „უნივერსალური" დავალებებით და დროის გადაჭარბებული ეკონომიით ამ შემთხვევაში სარგებლობის მაგივრად შეიძლება ზიანი მოგვივიდეს.

კანტონის ჯარებმა აიღეს შანხაი

შანხაის მუშების აჯანყება მილიტარისტების წინააღმდეგ

ნანკინის რაიონში კანტონელებმა სასტიკად დაამარცხეს მტერი.—ნანკინი დაცემის წინ

ნიუ-იორკი, 20 მარტი. „ასოშიეტედ-პრესის" სააგენტოს ცნობით, ნაციონალური ჯარები შევიდნენ შანხაიში. კანტონის ჯარებმა აიღეს ჩან-ჩჟოუ და გადასჭრეს შანხაი-ნანკინის ხაზი.

შანხაი, 21 მარტი. 21 მარტს, (17 საათზე შანხაის დროით) შანდუნის ჯარები და ხელისუფლება განდევნეს შანხაის აჯანყებულმა მუშებმა.

აჯანყება ქალაქში

შანხაი, 20 მარტი. ნაციონალური ჯარების შანხაისთან დაახლოვებისას თვით ქალაქ შანხაიში იფეთქა აჯანყებამ. აჯანყებულმა მუშებმა ხელთ იგდეს ძალა-უფლება ქალაქის ჩინურ უბანში, სადაც მათ იარაღი აჰყარეს პოლიციას და ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებენ შანდუნელი ჯარების ნარჩენებს. პოლიცია გარბის ქალაქიდან.

ფოსტის მთავარი შენობა დაკავებული უნდა იყოს აჯანყებულების მიერ. შენობაზე მოსჩანს გომინდანის დროშა.

სწარმოებს გაცხოველებული ბრძოლა რკ.-გზის სადგურის დასაჭერათ, სადაც ჯერ კიდევ არიან შანდუნის ჯარების ნაწილები.

აჯანყება დაიწყო შუადღეზე. ჯერ შესწყდა მუშაობა ყველა წარმოებებში, ხოლო შემდეგ შესწყდა ტრამვაისა და ავტობუსების მოძრაობაც.

უცხოეთის უბანი წარმოადგენს ბრძოლის ველს. უბნის საზღვარი დაკავებული აქვს უცხ. ჯარების ყოვ. სახის. იარაღის ნაწილებს, უმთავრესად კი ინგლისის ჯარებს. ქალაქის ჩინური ნაწილიდან უბანში შესასვლელი ყველა გზები დაკეტილია. შეიარაღებული ჯავშნოსანები დადიან ქუჩებში. ბრძოლა სწარმოებს ყველა ქუჩებში, ხშირათ უცხოეთის უბანთანაც. ავტომობილი, რომლითაც დადიოდა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი, ხშირათ ხვდებოდა სროლის ქვეშ. რკინისგზის სადგური, სადაც სწარმოებს ბრძოლა შანდუნის ჯარებსა და აჯანებულებებს შორის, მდებარეობს უცხოელთა უბნის პირდაპირ.

ზოგიერთ ადგილას ბრძოლების ტალღა გადავიდა უცხოელთა უბნის ტერიტორიაზედაც; როგ. სჩანს ამ ბრძოლაში უცხოეთის ჯარები არ ღებულობენ მონაწილეობას. გადმოგვცემენ, რომ შემთხვევით მოკლულია პენჯაბის პოლკის ორი ჯარისკაცი.

ქალაქი თანდათან ირთვება გომინდანის მტრედისფერ—წითელი დროშებით. გომინდანის დროშა გაშლილია საფრანგეთის კონცესიის ტერიტორიაზედაც, სადაც დროშა აუშვეს კონცესიის მცხოვრებმა ჩინელებმა. (ადს).

საგანგებო წესები უცხოელთა უბანში

ლონდონი, 21 მარტი. შანხაიდან მიღებული ცნობით, უცხოელთა უბნის მუნიციპალურმა საბჭომ საგანგებო წესები გამოაცხადა. უბნის ტერიტორიაზე გადმოსხეს უცხოელთა სამხედრო გემებიდან საზღვაო ჯარების ნაწილები.

ქალაქის დაკავების დროს დაიჭრა პენჯაბის პოლკის სამი ჯარისკაცი; ერთი მათგანი გარდაიცვალა. (ადს).

შანხაიში საყოველთაო გაფიცვაა

ნიუ-იორკი, 20 მარტი. სააგენტო „ასოშიეტედ პრეს"-ის ცნობით, შანხაიში გადმოსხეს ამერიკის საზღვაო ქვეითა ჯარი 1500 კაცის რაოდენობით და 900 იაპონელი ჯარისკაცი.

ქალაქში გამოცხადებულია საყოველთაო გაფიცვა ნაციონალური ჯარების შესვლის აღსანიშნავად. ტრამვაი და საფეიქრო ფაბრიკები არ მუშაობენ.

ფრანგების კონცესიის ტერიტორიაზე ბრძოლის დროს დაეცა რამდენიმე ყუმბარა. კაცის მსხვერპლი არ არის. (ადს).

ნანკინთან

შანხაი, 20 მარტი. ხმების მიხედვით ნაციონალური ჯარები დამარცხდნენ ნანკინთან, სადაც ჩრდილოელთა ჯგუფმა ტაიპინიდან გადმოსულ რუს თეთრგვარდიელთა რაზმებთან ერთად, თითქოს, გვერდიდან შემოუარეს ნაციონალური ჯარების ნანკინის ჯგუფს, რომელსაც ზურგიდან დაესხა. იმავე ხმებით, ჩრდილოელებმა, თითქოს მოახდინეს საოტანიანის, ტაოხუჩენის და მილინ-გუანის აღება (უკანასკნელი მდებარეობს 17 კილომეტრის მოშორებით ნანკინიდან). (ადს).

ლუნ-ხუას აღება

შანხაი, 20 მარტი ნანკინის რაიონში მდგომარეობა შეიცვალა ნაციონალური ჯარების სასარგებლოდ. ჩრდილოელების ჯგუფი, რომელიც მოქმედებდა რუს თეთრგვარდიელებთან ერთად და რომელიც ზურგში მოექცა ნაციონალურ ჯარებს, საბოლოოდ დამარცხებული და განადგურებულია. ღამით, 20 მარტს, ნაციონალურმა ჯარებმა აიღეს ლუნ-ხუა, პირველი სადგური შანხაიდან ხან-ჩჟოუსაკენ მიმავალ რკინის გზის ხაზზე. (ადს).

სუნ-ჩუან-ფანი გაიქცა ნანკინიდან

შანხაი, 20 მარტი. ჩან-ჩჟოუ, შანხაი ნანკინის რკინის გზაზე, როგორც სჩანს, დაიკავა ბაი-ბაო-სიანმა, ანხოელმა გენერალმა, რომელიც მხარს უჭერდა სუნ-ჩუან-ფანს. ბაი-ბაო-სიანი საბოლოოდ გადავიდა ნაციონალური ჯარების მხარეზე და უკვე შეუტაკა შანდუნელთა ადგილობრივ ნაწილებს. სუნ-ჩუან-ფანი გაიქცა ნანკინიდან გამოურკვეველი მიმართულებით. (ადს).

პი-შუ-ჩენი ჯიუტობს

შანხაი, 20 მარტი. იუწყებიან, რომ მუკდენის ჯარების შტაბის უფროსმა იან-იუტინმა გაუგზავნა დეპეშა პი-შუ-ჩენს, ჩჟან-ცზუ-ჩანის რწმუნებულს შანხაის თავდაცვაზე, რომელსაც მოსთხოვა დაუყოვნებლივ დაბრუნება ნანკინში, მაგრამ პი-შუ-ჩენმა უარი განაცხადა მოთხოვნილების შესრულებაზე და განაგრძობს შანხაიში ყოფნას. (ადს).

მუკდენელების ახალი დამარცხება.

პეკინი, 20 მარტი. გავრცელდა ხმები, რომ ჩინ-იუნ-აოს არმიამ (ეგრედ წოდებული ხენანის დამცველი არმია) ბრძოლაში დაამარცხა მუკდენელები. ჩინეთის დეპეშათა სააგენტო გოვენი იუწყება, რომ ჩინ-იუნ-აომ ხელში ჩაიგდო ხენანის დედაქალაქი კაიფინი, რომელშიაც მისი ჯარები მხოლოდ რამდენიმე საათს დარჩნენ, რის შემდეგ ქალაქი ისევ მუკდენელების ხელში გადავიდა (ადს).

მზად არიან

შანხაი, 20 მარტი. ინგლისის ჯარები შანხაიში დაბანაკებული არიან ინგლისელების სახლებში უცხოელთა უბანის ფარგლების გარედ. ჯარებს ბრძანება აქვთ მიცემული, რომ მზად იყვნენ. (ადს).

„ნეიტრალური ზონა"

შანხაი, 20 მარტი. შანხაიში გავრცელდა ხმები, რომ ინგლისელები სცდილობენ მიაღწიონ იმას, რომ მთელი ნანკინისა და შანხაის რაიონი გამოცხადდეს ნეიტრალურ ზონად, სადაც ბრძოლა დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს. (ადს).

ქალაქის დაკავების წინ

შანახაისაკენ

შანხაი, 20 მარტი. 20 მარტის ცნობებით, ნაცინალურმა ჯარებმა ზურგიდან შემოუარეს შანდუნელთა სუნცზიანის ჯგუფს, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებია სუნ-ცზიანი. სუნ-ცზიანი დაიჭირეს ნაციონალურმა ჯარებმა, რომლებიც განაგრძობენ შეტევას შანხაისაკენ და ქალაქიდან დაშორებული არიან მხოლოდ 24 კილომეტრით. (ადს).

იმავე ცნობებით, 19 მარტს ნაციონალურმა ჯარებმა აიღეს, აგრეთვე, ჩანჩჟოუ, რომელიც მდებარეობს შანხაი-ნანკინის რკინის გზის ხაზზე, სუნ-ჩჟოუდან 100 კილომეტრის მოშორებით ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ. (ადს).

ქალაქის ჩინურ ნაწილში

შანხაი, 20 მარტი. 20 მარტს, საღამოს 11 საათზე ჩინურმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა, რომ სამხრეთელები წარმატებით აწარმოებენ შეტევას შანხაიზე შანხაი-ხანჩჟოუს რკინის-გზის ხაზით და უკვე დაიჭირეს სუნ-ჩუანი, რომელიც დაახლოებით 16 კილომეტრის მანძილზე იმყოფება შანხაიდან.

ქალაქის ჩინურ ნაწილში ყველა რაიონებში ეწყობა მუშათა რაზმები წესრიგის დასაცავად. (ადს).

საკითხის მშვიდობიანად მოწესრიგება

შანხაი, 20 მარტი. უცხოეთის სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ პი-შუ-ჩენმა 20 მარტს თავისი წარმომადგენლები გაუგზავნა ეროვნული ჯარების აღმოსავლეთის ნაწილების სარდალს ხო-ინ-ჩანს, რომ მოლაპარაკება გაიმართოს „შანხაის საკითხის მშვიდობიანად მოსაწესრიგებლად". (ადს).



ჩან-კაი-ში

პი-შუ-ჩენის წინადადება უარყოფილია

შანხაი, 20 მარტი. შანდუნელების ჯარებმა შანხაი დასცალეს; ისინი ალბად ვუ-ზუნის მიმართულებით იხევენ.

პრესა იუწყება, რომ ეროვნული ჯარების სარდლობამ უარჰყო პი-შუ-ჩენის წინადადება „საკითხის მშვიდობიანად მოწესრიგების შესახებ" და პი-შუ-ჩენი იძულებული გახდა დაეცალა შანხაი ყოველგვარი პირობის გარეშე. (ადს).

ჩინეთის სამხედრო მდგომარეობის შეფასება

მოსკოვი, 21 მარტი. ავტორიტეტულ სამხედრო წრეებში, შანხაის დაცემის შესახებ მიღებული ცნობების გამო საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს მისცეს ჩინეთში სამხედრო მდგომარეობის შემდეგ შეფასება:

„შანხაის დაკავებას ეროვნულ - რევოლიუციონურ ჯარების მიერ და იმავე დროს ძალაუფლების ჩაგდებას ხელში შანხაის პროლეტარიატის მიერ აქვს არა მარტო უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა, არამედ ეს გარემოება რადიკალურად სცვლის სამხრეთელთა სასარგებლო სტრატეგიულ მდგომარეობას, როგორც ნანკინ - შანხაის ფრონტზე, ისე ხენანში. თვით შანხაის დაცემის ფაქტი მოწმობს იმას, რომ სერიოზული გახრწნა დაიწყო შანდუნელების ჯარებს შორის.

შანხაის დაცემა, ჩვენის აზრით, უშუალოდ იქონიებს გავლენას მთელი ნანკინ-შანხაის ფრონტის ოპერაციების შედეგებზე. შანხაის აღებით მცირდება ფრონტის ხაზი. ეს მისცემს საშუალებას ეროვნულ რევოლიუციონურ ჯარებს გააძლიერონ ფრონტის დანარჩენი ნაწილები იმ მიზნით, რომ ხელთ იგდონ ნანკინი და ნანკინ - შანხაის რკინისგზის მთელი ხაზი.



რაც შეეხება ეროვნულ - რევოლიუციონური არმიის შემდგომ ამოცანებს რკინისგზის მთელი ამ ხაზის დაკავების შემდეგ, ჩვენის აზრით, ეროვნულ - რევოლიუციონური არმია, უეჭველია, დაედევნება ჩუან - ცზუნ - ჩანის ჯარებს იმ მიზნით, რომ იგი სასტიკად დაამარცხოს პროვინცია ცზიან - სუში.

შანხაიში მყოფი უცხოეთის ჯარების პოზიციის შესახებ (რომელთაგან მხოლოდ ინგლისს, საკმაოდ ძლიერ საზღვაო ფლოტის გარდა შანხაიში ჰყავს 20.000-მდე კაცი), ჯერ ცნობები არ არის. რამდენადაც შანხაის შეიარაღებული დაცვის ინიციატორმა ინგლისმა დღემდე ვერ ჰპოვა აშკარა თანაგრძნობა შანხაიში დაინტერესებულ სახელმწიფოთა — იაპონიის და ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ და რამდენადაც ხო - ინ-ჩინის დეკლარაცია იძლევა გარანტიას იმისას, რომ არ შევლენ კვარტალში, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ინგლისი საეჭვოა დასთანხმდეს აშკარა გამოსვლაზე, რომელიც გაფიცვის არსებობის გამო კიდევ უფრო გაამწვავებდა ურთიერთობას ინგლისელებთან არა მარტო შანხაიში, არამედ ჩინეთში მთლიანად.

ჩუან - ცზუნ - ჩანისა და სუნ-ჩუან-ფანის ჯარების განადგურებას შანხაისთან და მთელ შანხაი - ნანკინის ფრონტზე უდიდესი მნიშვნელობა ექნება იმ ბრძოლის შედეგებისათვის, რომელიც დაიწყო მუკდენელებსა და ეროვნულ - რევოლიუციონურ არმიის მომხრეთა შორის ხენანში. ძალთა ურთიერთ დამოკიდებულება აქ სავსებით იცვლება სამხრეთელთა სასარგებლოდ. უკანასკნელ ხანებში ჩუანი ყოველი ძალღონით სცდილობდა თავის მხარეზე გადაეყვანა — იან - სი - შანი (შანდუნის გუბერნატორი) და მშვიდობიანობის დამამყარებელი არმია; მაგრამ იან - სი - მანი უკანასკნელ მომენტამდე არ მიემხრო არც ამ არმიას, არც ეროვნულ - რევოლიუციონურ მთავრობის ჯარებს და ნეიტრალიტეტი დაიცვა მებრძოლი ძალების მიმართ.

ადვილად მოსალოდნელია, რომ სამხრეთელი ჯარების გამარჯვებათა გამო იან - სი - შანი შეიძლება სამხრეთელთა მხარეზე გადავიდეს. ამ შემთხვევაში ძალთა ურთიერთ დამოკიდებულება მუკდენელებსა და სამხრეთელებს შორის კიდევ უფრო შეიცვლება უკანასკნელთა სასარგებლოდ. იან - სი - შანს ჰყავს არმია—50.000 კაცის შემადგენლობით. (ადს).

გამოძახილი საბჭოთა კავშირში

მოსკოვის პროლეტარიატის გამოძახილი შანხაის აღებაზე

მოსკოვი, 21 მარტი. ცნობას შანხაის აღების შესახებ აღფრთოვანებით შეხვდა მოსკოვის პროლეტარიატი. ყოველგან ფაბრიკა-ქარხნებში შესდგა მრავალ-რიცხოვანი მიტინგები; გამოტანილ რეზოლიუციებში მუშები ესალმებიან კანტონის არმიას და უსურვებენ შემდგომ წარმატებებს. დაღამებამდე კომინტერნის აღმასკომის შენობასთან არ შეწყვეტილა მუშების და მოწაფეების მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები. კომინტერნის აღმასკომის შენობის წინ გაიმართა მიტინგები, რომლებზედაც ილაპარაკეს ამხ. მერფიმ, დუნკანმა (ინგლისი), კოლაროვმა და სხვ.

რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებიდან—ლენინგრადიდან, როსტოვიდან, პერმიდან, ვორონეჟიდან მიღებულია ცნობები, რომ დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას შანხაის აღების შესახებ. (ადს).

დემონსტრაციები ხარკოვში

ხარკოვი, 21 მარტი. ცნობა შანხაის დაცემის შესახებ ელვის სისწრაფით გავრცელდა ქალაქში. დღის 3 საათზე მთელ რიგ ფაბრიკა-ქარხნებში შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგები. ქალაქში დაიწყო სტიქიური ხასიათის დემონსტრაციები. (ადს).

ჩინეთის დელეგაცია შანხაის დაცემის შესახებ

მოსკოვი, 21 მარტი. მოსკოვში „რემედსი"-ს მე-11 საერთაშორისო კონფერენციაზე დასასწრებლად ჩამოვიდა ჩინეთის დელეგაცია, საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში დელეგაციის წარმომადგენელმა ჩუნ-იმ განაცხადა შემდეგი: „ეროვნული-რევოლიუციონური მთავრობა, დაეყრდნობა რა ეხლა შანხაის მრავალრიცხოვან პროლეტარიატს, შესძლებს მტკიცედ და ბეჯითად განაგრძოს ბრძოლა ჩინეთის საბოლოო განთავისუფლებისათვის".

პროფინტერნის მოწოდება

მოსკოვი, 21 მარტი. პროფინტერნის აღმასკომის მოწოდებაში, რომელიც მიმართულია შანხაის მუშებისა და პროფკავშირთა საბჭოს მიმართ, ნათქვამია: „შანხაის აღებით ჩინეთის რევოლიუციამ გააკეთა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი წინ. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. მანამ, ვიდრე ჩინეთის ტერიტორიაზე დარჩება თუნდაც ერთი კონტრ-რევოლიუციონერი, თუნდაც ერთი უცხოელი ჯარისკაცი, სანამ ჩინეთის წყლებში იქნებიან უცხოეთის გემები არ შეიძლება იყოს და არც იქნება მშვიდობიანობა, პური და თავისუფლება. სალამი ჩინეთის რევოლიუციის ავანგარდს. ძირს შინაური და გარეშე კონტრ-რევოლიუცია. შორს იმპერიალისტები ჩინეთისაგან" (ადს)

ერთა ლიგის „რაინდები"

ზალესკი,
შტრეზემანი,
ბრიანი,
ჩემბერლენი



(„ლიუმანიტე"-დან.)

ფაშისტები სამხედრო ავანტიურას ამზადებენ

ვენა, 20 მარტი. ვენაში ტირანიდან (ალბანეთის დედაქალაქი) და ბელგრადიდან მიღებულია ცნობები იტალიის ახალ სამხედრო მზადების შესახებ. ბელგრადის მთავრობის გაზეთის „პოლიტიკა"-ს ცნობით, ვალონაში იტალიიდან ჩამოიტანეს დიდძალი იარაღი და ამუნიცია. იარაღის გადაზიდვას აწარმოებს იტალიის ფლოტი. რამოდენიმე ხნის წინად ვალონაში მოვიდა იტალიის ნაღმოსანი, რომლიდანაც ღამით გადმოიტანეს სამთო ზარბაზნები (ადს).

საფრანგეთი უარყოფს

პარიზი, 20 მარტი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, საფრანგეთის სამხედრო სამინისტრო აცხადებს, რომ ინგლისის გაზეთებში მოთავსებული ცნობა საფრანგეთის დასავლეთ საზღვრებზე გრანდიოზულ თავდაცვითი სიმაგრეების შესახებ მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

„სამშვიდობო მუშაობა"

პარიზი, 20 მარტი. „მატენ"-ის ბელგრადელი კორესპონდენტი იუწყება, რომ იტალია და ბულგარეთი აწარმოებენ მოლაპარაკებას საიდუმლო შეთანხმების შესახებ (ადს).

ნიკარაგუაში

ლონდონი, 20 მარტი. „ტაიმს"-ის ნიუ-იორკელ კორესპონდენტის ცნობით, ნიკარაგუას პრეზიდენტის დიაცის ჯარებმა კვლავ დაიკავეს ქალაქ ტიერა—სულ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა ამერიკელების 2 აეროპლანი, რომლებმაც ყუმბარები გადაყარეს ლიბერალთა ჯარებში (ადს).

ლიტვა-გერმანიის

მოლაპარაკება

სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ

კოვნო, 20 მარტი. მთავრობამ ლიტვის ელჩს ბერლინში დაავალა დაიწყოს მოლაპარაკება გერმანიის მთავრობასთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ.

უკანასკნელი ცნობები

მუშების გაფიცვა რიგაში

რიგა, 21 მარტი. ამ დღეებში რიგაში გამოცხადებული იყო ნავთსადგურის მუშების გაფიცვა, რომელშიაც 2.000 კაცი იღებდა მონაწილეობას. გაფიცვა უშედეგოდ დამთავრდა. (ადს).

იძულებული გახდნენ

ვარშავა, 21 მარტი. 19 მარტს ვარშავაში შესდგა პოლონეთის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თათბირი პროფკავშირების ცენტრალური კომისიის (ებრაელთა პროფკავშირთა გაერთიანება, რომელიც ამსტერდამს ემხრობა და რომელშიაც ხელმძღვანელ როლს პოლონელი სოციალისტები თამაშობენ) წარმომადგენლებთან.

თათბირმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც წინადადებას აძლევს პოლონეთის სოციალისტური პარტიის ცეკას და პროფკავშირთა ცენტრალურ კომისიას მოამზადონ მუშათა კლასის სოლიდარული გამოსვლა მისი უფლებების დასაცავად და მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. (ადს).

აჭარისტანის საბჭოთა მე-7 ყრილობა

ბათუმი, 21 მარტი. გუშინდელ დილის და საღამოს სხდომებზე სრულიად აჭარისტანის მე-7 საბჭოთა ყრილობამ მოისმინა ს. ს. ს. რ. მთავრობის წარმომადგენლის ამხ. ს. ჯუღელის და სახ. განათლების კომისარიატის მოხსენებები. დაწყებული კამათი გადატანილ იქნა 21 მარტის დილის სხდომაზედაც.

21 მარტის საღამოს სხდომაზე ამხ. ხიმერიკის მოხსენება ტერიტორიალური ნაწილების შესახებ. მოხსენების მოსმენისას სხდომაზე წაკითხულ იქნა ადს,—ის მიერ გავრცელებული დეპეშა შანხაის აღების შესახებ. შანხაის აღების ცნობას ყრილობა შეხვდა გაუწყვეტელი ტაშით და ვაშას ძახილით.

ხვალ სამანდატო კომისიის შემდეგ დანიშნულია არჩევნები, რითაც ყრილობა დაიხურება.

ბაქოს ბაზრობა

ბაქო, 21 მარტი. 21 მარტს ბაზრობაზე დიდი ვაჭრობა იყო. საქმიანი შეთანხმებები ხდებოდა უმთავრესად საიმპორტო - საექსპორტო საქონლების გარშემო. სულ დღის განმავლობაში აღრიცხულია 84 საქმიანი შეთანხმება 1.208.464 მანეთის ღირებულ საქონელზე. (ადს).

მარტის აჯანყების წლისთავი.

ბერლინი, 21 მარტი. გუშინ მერზებურგში იმართებოდა მასიური დემონსტრაციები 1921 წლის მარტის აჯანყების წლისთავის აღსანიშნავად. კომპარტიის ცეკას წევრმა ტელმანმა კომპარტიის საოლქო კომიტეტს და იმ ოლქის პროლეტარიატს, რომელშიაც აჯანყება სწარმოებდა, გადასცა საბჭოთა კავშირიდან მიღებული დროშები (ადს).

პატეკი ვარშავაში.

ვარშავა, 21 მარტი. 19 მარტს ვარშავაში ჩამოვიდა პოლონეთის ელჩი საბჭოთა კავშირში—პატეკი (ადს).

ლენინაკანის სამაზრო საბჭოთა ყრილობა

ლენინაკანი, 21 მარტი. გაიხსნა სამაზრო საბჭოთა ყრილობა. საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა სომხეთის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. კარინიანმა. მისი მოხსენების დროს მიღებულ იქნა დეპეშა შანხაის დაკავების შესახებ, რასაც მთელი კრება ოვაციებით შეხვდა (ადს).

კელეცკის სატრაპიაში.

ვარშავა, 20 მარტი. კელეცკის ოლქის მმართველმა მანტეუკელმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც, შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილების თანახმად, გლეხთა დამოუკიდებელ პარტიას არალეგალურ ორგანიზაციად აცხადებს (ადს).

ვინ აქეზებს ფაშიზმს ევროპაში.

რიგა, 20 მარტი. ლატვიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატების ორგანო „სოციალ-დემოკრატი" მოწინავე წერილში, სათაურით „ვინ აქეზებს ფაშიზმს ევროპაში", სწერს: „ინგლისის კონსერვატიული მთავრობა ჩემბერლენისა და ჩერჩილის სახით საყოველთაო ფრონტს აწყობს რუსეთის წინააღმდეგ, გასაგებია, რომ ინგლისის კონსერვატიულ მთავრობას სძულს რუსეთი: მას, თავისი მარცხის მიზეზად ჩინეთში, რუსეთი მიაჩნია" (ადს).

გამორიცხვა გერმანიის ს.-დ. პარტიიდან

ბერლინი, 21 მარტი. მუშა—სოციალ-დემოკრატი ვენსკე, რომელიც გამოვიდა სოც.-დემოკრატ. მუშების სახელით პარტიის ესსენის მეთერთმეტე ყრილობაზე, გამორიცხულია ს.-დ. პარტიიდან (ადს).

ფაშისტების შეტაკება წითელ ფრონტელებთან.

ბერლინი, 21 მარტი. გუშინ ბერლინის ერთ-ერთ ადგილას შეტაკება მოხდა რამდენიმე ფაშისტსა და წითელ ფრონტელების ჯგუფს შორის. დაჭრილია რამოდენიმე წითელი ფრონტელი (ადს).

იტალია ბალკანეთზე.

ბერლინი, 20 მარტი. ვოლფის სააგენტო იტყობინება: სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ გერმანიის მთავრობას მიღებული ჰქონდა ცნობა, თუ რა ნაბიჯებს სდგამდა იტალიის მთავრობა ბალკანეთის პრობლემასთან დაკავშირებით. იტალიის მთავრობა აღნიშნავს, რომ, მისი დაკვირვებით, სამხრეთ-სლავია გაძლიერებით სამხედრო სამზადისშია ალბანეთის წინააღმდეგ. იტალიის მთავრობა აცხადებს, რომ ის არ ფიქრობს ამ სამზადისს პასუხი გასცეს მარტო სამხედრო ხასიათის ზომებით, არამედ მას განზრახული აქვს გააცნოს გერმანიის მთავრობას დაწვრილებითი მასალები საქმის მდგომარეობის შესახებ, იტალიის საწინააღმდეგო მოძრაობის ჩაშლის მიზნით" (ადს).

ჩან-კაი-შის ახალი დეკლარაცია

შანხაი, 20 მარტი. შანხაის ინგლისურ წრეებში გამოაქვეყნეს ჩან-კაი-შის დეკლარაცია, რომელიც ამბობს:

„მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ რაც შეიძლება ჩქარა განხორციელებულ იქნეს პარტიების გაერთიანება. ვიწონებ იმ გადაწყვეტილებებს, რომელიც მიიღო გომინდანის ალმასკომის კონფერენციამ ხანკოუში, და თანახმა ვარ გაუქმებულ იქნეს სხვადასხვა თანამდებობანი და დაწესებულებების ერთპიროვნული ხელმძღვანელობა და შეცვლილ იქნეს ისინი კოლეგიებით. საჭიროა პარტიის გაძლიერება და განმტკიცება. ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ნაციონალური ჯარები მთლიანად და სავსებით პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ უნდა იმყოფებოდნენ. ნაციონალური არმიის ოფიცრებმა უნდა გაიგონ, რომ არმია იბრძვის არა ხელისუფლების და ტერიტორიის დასაპყრობად, არამედ მთელი ქვეყნის ინტერესებისათვის".

ამხანაგებისა და მეგობრების ხსოვნას

დღეს ორი წელი სრულდება, რაც ჩვენს შორის აღარ არიან საუკეთესო ამხანაგები და მეგობრები.

უაზრო შემთხვევამ გამოგვგლიჯა ისინი ჩვენი რიგებიდან. ისინი ჰაერში დაიწვნენ.

ჩვენ კი ამდენი საპასუხისმგებლო, სერიოზული, გადაუდებელი საქმეები გვაქვს, რომლებიც მოითხოვენ ლენინიზმის სულით გაჟღენთილ, საქმის მცოდნე და ურყევ ამხანაგებს, ხელმძღვანელებს და მშენებლებს.

ისინი ვეღარ გაიხარებენ შემოქმედების სიხარულით.

საქმეს, რომელიც მათთან ერთად იყო დაწყებული, რომელსაც ვანვითარებდით ჩვენ მათი უშუალო მონაწილეობით, ბოლომდის განვაგრძობთ.

ჩვენ გამოვიყენებთ მთელ ცოდნას, მთელ გამოცდილებას, მთელ ენერგიას იმისათვის, რომ ავაშენოთ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმი.

ჩვენ ისევე ულმობელი ვიქნებით მშრომელი ხალხის მტრების მიმართ, როგორც დაღუპული ამხანაგები იყვნენ, და ჩვენ ვსძლევთ ყველა მრავალრიცხოვან დაბრკოლებებს, რომლებიც ჩვენი აღმშენებლობის გზაზე ჩნდებიან.

და ჩვენ გავიმარჯვებთ საბჭოთა ქვეყნის მუშების და გლეხების მიერ დაწყებულ ბრძოლაში, გრანდიოზულ, ეპიურ ბრძოლაში.

გამარჯვებულნი ადიდებენ თავდადებულ მებრძოლთა სახელებს, რომელთაც თავი შესწირეს მუშებისა და გლეხების საქმეს.

მათ შორის იქნება მიასნიკოვის, ათარბეკოვის და მოგილევსკის სახელიც.

ა. ფ. მიასნიკოვის ხსოვნას

ორი წელი გავიდა, უკეთ რომ ვსთქვათ ორმა წელმა გაირბინა მას შემდეგ, რაც უაზრო, დღემდე გამოუცნობ შემთხვევამ გამოგვგლიჯა ამიერ-კავკასიის საუკეთესო მუშაკებთან—ამხ. ათარბეკოვთან და მოგილევსკისთან ერთად ტრაგიკულად დაღუპა ამხ. ალიოშა მიასნიკოვი. ორიოდე სიტყვა მინდა ვსთქვა დღეს, როცა ვიგონებ განსვენებული ამხანაგის, მეგობრის და მებრძოლის სახეს.



ამხ. ა. მიასნიკოვი

პირველად ამხ. მიასნიკოვს მე გავეცანი მოსკოვში, როცა იგი იქ მუშაობდა 1919 წელში. იგი პირველად იყო მოსკოვის კომიტეტის სამხედრო განყოფილების გამგე (მაშინ ჯერ კიდევ არსებობდნენ სამხედრო განყოფილებანი სპეციალური მუშაობისათვის წითელარმიელთა ნაწილებს შორის) და მოსკოვის კომიტეტის ბიუროს წევრი, ხოლო შემდეგ იგი იყო პარტიის მოსკოვის კომიტეტის მდივანიც. ხშირად შეიძლებოდა მისი ნახვა რუხ შინელში მოსკოვის რაიონებში—წითელარმიელთა და მუშათა კონფერენციებზე, მისი მაშინდელი მოხსენების ჩვეულებრივი თემა იყო საკითხი საშუალო შეძლების გლეხობასთან დამოკიდებულების შესახებ. მისთვის ჩვეული კეთილსინდისიერებით და ენერგიით მუშაობდა იგი სამხედრო განყოფილებაში; მას კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ სამხედრო მუშაობა და პროპაგანდა წითელარმიელთა ჯერ კიდევ ნედლ მასაში საერთო-პარტიული მუშაობის მეტად მნიშვნელოვანი დარგია. მაშინდელი მდგომარეობა კი მძიმე იყო. მოსკოვის მუშები დამშეულნი იყვნენ, ყოველ ფრონტიდან გვიტევდნენ მტრები—თეთრგვარდიელი გენერლები, შიგნით კი საძაგელ და დამარღვეველ მუშაობას აწარმოებდნენ ბურჟუაზიის და თეთრგვარდიელთა აგენტები—მენშევიკები, ესერები და გაცოფებული წვრილი ბურჟუები-ანარქისტები, რომელნიც იმის წინაშეც კი არ შეჩერდნენ, რომ ყუმბარა ჩაეგდოთ პარტიის მოსკოვის კომიტეტში.

ეს იყო იმავე—1919 წლის სექტემბერში. მოსკოვის ორგანიზაციის აქტიურ პარტიულ მუშაკების კრებაზე თავმჯდომარეობდა ამხ. მიასნიკოვი. მაშინ ანარქისტებმა მთელი თავისი ძალ-ღონით აწყობდნენ მუშაობას; ისინი მიზნად ისახავდნენ აქტიური მუშაკების აფეთქებას და მოსკოვის ბოლშევიკების ორგანიზაციის თავის მოკვეთას. ყუმბარა გადაისროლეს, იგი გასკდა და ამ საშინელი აფეთქების დროს დაიღუპა 13 ამხანაგი. მე, იმ სხდომის ერთ-ერთი დამსწრეს კარგად მახსოვს, რომ ამხ. მიასნიკოვი სრულიად არ დაიბნა, იგი ჩვეულებრივი სიმშვიდით, სიმტკიცით აძლევდა საჭირო განკარგულებებს. როგორც პარტიის მოსკოვის კომიტეტის



ამხ. მოგილევსკი

მდივანმა ამხ. მიასნიკოვმა გამოიჩინა არაჩვეულებრივი ორგანიზატორის და პარტიული ორგანიზაციის სერიოზული ხელმძღვანელის უნარი ჩვენი მუშაობის უძნელეს მომენტში.

მისი მუშაობის მოსკოვის პერიოდის შემდეგ, ორი წლის შემდეგ 1921 წელში ამხანაგი მიასნიკოვი მე ვნახე ამიერ-კავკასიის პარტიულ ორგანიზაციების როგორც ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ამიერ-კავკასიაში ჩამოსვლისას ამხ. მიასნიკოვმა თან ჩამოიტანა ამხ. ლენინის ცნობილი წერილი „საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, დაღესტანის და მთიელთა რესპუბლიკების კომუნისტებს"! ამ შესანიშნავ დოკუმენტში ამხ. ლენინი შემდეგ ძირითად დირექტივას აძლევდა ადგილობრივ კომუნისტებს:

„მხურვალედ ვესალმები რა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს, მე მსურს გამოვთქვა იმედი, რომ ამ რესპუბლიკების მჭიდრო კავშირი შექმნის ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს, რომელიც არ ნახულა ბურჟუაზიის დროს და რომელიც შეუძლებელია ბურჟუაზიულ წყობილებაში. მაგრამ როგორც მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს მშვიდობიანობა კავკასიის მუშებს და გლეხებს შორის, კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანია საბჭოთა ძალაუფლების, როგორც სოციალიზმისაკენ გარდამავალი ეტაპის, შენარჩუნება და განვითარება. ამოცანა ძნელია, მაგრამ მისი ასრულება შეიძლება".

ამ ძნელი ამოცანის შესრულებას—ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშის შექმნას ამიერ-კავკასიაში და პოლიტი-



ამხ. ათარბეკოვი

კური, სამეურნეო და კულტურული საძირკვლის ჩაყრას სოციალიზმისაკენ გადასვლისათვის, ამიერ-კავკასიის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად შეუდგა ამხ. ალიოშა მიასნიკოვი. და თამამად შეიძლება ითქვას, რომ თავისი 4 წლის თავდადებული მუშაობით უკანასკნელ წუთამდე, როცა იგი ჰაეროპლანით სასწრაფოდ მიემგზავრებოდა აფხაზეთის საბჭოთა ყრილობაზე დასასწრებლად, ამხ. მიასნიკოვმა მთელი თავისი ძალღონე შესწირა ძმობის, და ამიერ-კავკასიის ხალხების ინტერნაციონალური დაახლოების დიად საქმეს და იგი, როგორც მჭერმეტყველი ორატორი, როგორც ნიჭიერი ლიტერატორი ყველგან და ყოველთვის, იყო ეს ერევანში, თბილისში ან ბაქოში, მებრძოლის ენთუზიაზმით ავსებდა იცავდა ამიერ-კავკასიის ფედერაციის იდეას. სულ რამოდენიმე დღის წინედ,—12 მარტს,—ჩვენ ვიდღესასწაულეთ ამიერ-კავკასიის არსებობის 5 წლის თავი და კმაყოფილებით აღვნიშნეთ ის უდიდესი მიღწევანი, რომელიც მას აქვს, როგორც აქტივი. მაგრამ ამ დღეს არ შეიძლება არ მოვიგონოთ ამხ. მიასნიკოვი, იგი ხომ აღფრთოვანებული მოტრფიალე, პოეტი იყო 12 მარტის დღისა. ეს ჩანს თუნდაც მისი უკანასკნელი სიტყვიდან „ამიერ-კავკასიის ფედერაციის შესახებ", რომელიც მან წარმოსთქვა სრ. აზერბაიჯანის საბჭოთა მე-4 ყრილობაზე 1925 წ. 12 მარტს, ე. ი. მისი ტრაგიკული [illegible] 10 დღით წინ. ამ [illegible] ამხ. მიასნიკოვი ასე ამბობს: „12 მარტი [illegible] 12 მარტი ჩვენთვის ხდება შესანიშნავ, ღირსსახსოვარ, ისტორიულ დღედ, იმიტომ, რომ ამ დღიდან [illegible] სრულიად ახალი ფურცელი ამიერ-კავკასიის ხალხთა ისტორიაში"... ამხ. მიასნიკოვს, რასაკვირველია, [illegible] ჰქონდა, რომ ჩვენ ძალიან [illegible] რომ, რომ ჩვენ ბევრი რამ [illegible] ამიერ-კავკასიაში: [illegible] ჩვენი ხალხები [illegible] და იმ სიღატაკეს, რომელიც [illegible] და ნაციონალიზმის [illegible] უნდა მოუღოთ ბოლო, [illegible] მიწიდან ამოხვოფა, [illegible] გამოსვლა, საუკეთესოდ უნდა მოვაწყოთ ჩვენი სოფლები, ჩვენი სკოლები, [illegible] მძლავრია. კულტურული [illegible] ველ დარგში, [illegible] დარგში ეს მუშაობა უნდა წავსწიოთ წინ და მომავალში ჩვენი რესპ. [illegible] რომელთაც იქნებათ განსაზღ[illegible] [illegible] და იგრძნობენ თავს [illegible] მეზობლების დახმარებას, სრულიად გამოცვლებიან. ასეთ მდგომარეობაში [illegible] აზერბაიჯანი, იქნება საქართველო და სომხეთიც"...

ამხ. მიასნიკოვი ოცნებობდა იმ დროზე, როცა ჩვენი ქვეყანა სავსებით შეიცვლებოდა. სამწუხაროდ, იგი ამ სასიხარულო დღეებს ვერ მოესწრო. მაგრამ ახლა კი, როცა ამიერ-კავკასიის ფედერაციის საძირკვლად იდება მტკიცე სამეურნეო ბაზა, როცა ყველგან სწარმოებს გაცხოველებული აღმშენებლობითი მუშაობა, არავის არ შეუძლია დაივიწყოს ის, ვინც პირველი საფუძველი ჩაუყარა ამიერ-კავკასიის ფედერაციის შენობას. ამხ. მიასნიკოვის შესახებ შეიძლება ითქვას მისივე „გედის სიმღერის" უკანასკნელი სიტყვები: „ყოველ ჩვენთაგანს, ერთი სურვილი აქვს—კიდევ უფრო მეტად განამტკიცოს ჩვენი კავშირი, განამტკიცოს კავშირი ამიერ-კავკასიის ხალხებს შორის, რომ უფრო ძლიერი გახდეს ჩვენი მუშაობა, რომ უფრო ღრმად შევიჭრათ მშრომელთა ფართო მასებში და სრული გამარჯვება მოვიპოვოთ. ჩვენ. **მომავალ თაობას უნდა შეეძლოს ჩვენი მოგონება კეთილი სიტყვებით, რომ ოდესღაც იყვნენ ადამიანები, თავისი დროის საუკეთესო ადამიანები, რომლებმაც არაფერი არ დაიშურეს, არც თავისი ძალები, არც ენერგია, არც თავისი სიცოცხლე იმისათვის, რომ შეექმნათ მთლიანი ფრონტი მშრომელთათვის"...**

დიახ, ამხ. ალიოშა მიასნიკოვი იყო თავისი ეპოქის საუკეთესო ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მშრომელთა ინტერესებს, რევოლუციის საქმეს შესწირა. რა უყოთ, რომ მას თავისი ნაკლოვანებანი და შეცდომები ჰქონდა წარსულში, ამის შესახებაც ზოგი უადგილოდ მოიგონებს და შეიძლება მოიგონონ. მაგრამ ამ შემთხვევაში შეიძლებოდა გაგვემეორებინა ამხ. ლენინის სიტყვები იმ პირთა მიმართ, რომელნიც გადაჭარბებულად ძრახავენ როზა ლუქსემბურგს, მისი წარსული შეცდომების გამო: „არწივები ხანდახან ქათმებზე დაბლა ეშვებიან, მაგრამ ქათმები არწივებამდე ვერასდროს ვერ მაღლდებიან". ამხ. ალიოშა მიასნიკოვი იყო სწორედ კავკასიის არწივი, რომელიც მაღლა დაფრინავდა და რომელიც თავის უკანასკნელ გადაფრენის დროს დაიღუპა.

მიხ. კახიანი.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება

პარიზი, 20 მარტი. 19 მარტს შესდგა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის კონფერენციის პირველი სხდომა. ორივე დელეგაციების თავმჯდომარეებმა რაკოვსკიმ და დე-მონზიმ წარმოსთქვეს სიტყვები, რომლებშიაც ჯამი გაუკეთეს წინანდელ მოლაპარაკებებში მიღწეულ შედეგებს. მომავალ კვირაში დაიწყება კომისიის მუშაობა (ადს).

ლატვია-საბჭოთა ხელშეკრულების დადების შემდეგ

ვოლდემარასის განცხადება

კოვნო, 20 მარტი. „იდიშე შტიმე"-ს თანამშრომელთან საუბრის დროს, პრემიერ ვოლდემარასმა მოიწონა ლატვია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების ინიციალებით ხელისმოწერა და განაცხადა: „შესაძლო კონფლიქტების დროს უზრუნველყოფილი უნდა ვიქნეთ ყოველი მხრიდან". ვოლდემარასმა შემდეგ განაცხადა, რომ არ სჯერა თითქოს საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დადების გამო ლატვია იძულებული იქნება გამოვიდეს ერთა ლიგიდან". ამას ეწინააღმდეგება გერმანიის მაგალითი,—განაცხადა ვოლდემარასმა—ვინაიდან გერმანია საბჭოთა კავშირთან საგარანტიო ხელშეკრულების დადების შემდეგ შევიდა ერთა ლიგაში".

ლატვია-საბჭოთა ხელშეკრულება და ესტონეთი

რეველი, 20 მარტი. გაზეთ „რახვა სონა"-ს ცნობით, ესტონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა იაკელმა ფინეთის დეპეშათა სააგენტოს აცნობა, რომ ლატვია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების ინიციალებით ხელმოწერილი მუხლები ურთიერთ თავდაუსხმელობის შესახებ შეთანხმებული იყო ესტონეთთან. ეს ხელშეკრულება, მისი აზრით, არ ეწინააღმდეგება ერთა ლიგის წესდებას.

იაკელმა მწუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ ლატვია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების ინიციალებით ხელის მოწერასთან დაკავშირებით ესტონეთის პრესამ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ესტონეთ-ლატვიის კავშირის იდეა. (ადს)

შვეიცარია და საბჭოთა კავშირი

ბერლინი, 21 მარტი. უკანასკნელ დღეებში შვეიცარიის პრესა არჩევს საკითხს, რომ შესაძლებელია შვეიცარია-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების განახლება, რასაც ხელი უნდა შეუწყოს შვეიცარიის ელჩმა ბერლინში.

შვეიცარიის გაზეთები აღნიშნავენ, რომ მოლაპარაკების განახლებას აუცილებელს ხდის არა მარტო იმდენად შვეიცარიის, რამდენად ერთა ლიგის ინტერესები, რადგან სასურველად არის ცნობილი საბჭოთა კავშირის მონაწილეობა განიარაღების კონფერენციაზე.

გერმანიის კომპეტენტურ წრეებში უარყოფენ გავრცელებულ ცნობებს, თითქოს გერმანიის მთავრობა შუამავლობას იკისრებს შვეიცარიისა და საბჭოთა კავშირს შორის (ადს).

გერმანია და საბჭოთა კავშირი

გერმანიის ოფიციოზი უარყოფს

ბერლინი, 20 მარტი. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„დეიჩე დიპლომატიშე პოლიტიშე კორესპონდენც" რუსეთის პრესის კომენტარიებს ერთა ლიგის საბჭოს სესიის შესახებ შემცდარათ სთვლის და აცხადებს, რომ ინტერვიუს სტატს-სეკრეტარ ფონ-შუბერტთან, რომელიც ამას წინად უარყოფილ იქნა ჟენევაში, როგორც მისი ფორმის, ისე შინაარსის თვალსაზრისით, სრულიადაც არ ჰქონია ადგილი. გაზეთი უარყოფს იმას, თითქოს გერმანიის გამოცხადება ხიდად დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ნიშნავდეს ვითომ გერმანიამ ხელი უნდა შეუწყოს მშვიდობიან ან ძალდატანებით შეურას საბჭოთა კავშირს. გაზეთი ამტკიცებს, რომ მისი ცნობებით, პოლიტიკური და კერძო მოლაპარაკების დროს არც ჩემბერლენს და არც სხვა რომელიმე სახელმწიფოს წარმომადგენელს გერმანიის დელეგაციის წევრების წინაშე არ წამოუყენებია იდეა გერმანიის მონაწილეობის შესახებ იმ ღონისძიებებში, დემონსტრაციებში ან გეგმებში, რომლებიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამგვარად, რუსეთის შიში სრულებით უსაფუძვლოა".

გერმანია ამჟღავნებს ანტი-საბჭოთა ინტრიგებს

ვენა, 20 მარტი. გაზეთი „აბენდ" ბეჭდავს დოკუმენტებს, რომლებითგანაც სჩანს, რომ უკრაინის ემიგრაცია, რომელიც დახმარებას უწევს ლონდონის ანტისაბჭოთა პოლიტიკას, ფინანსიურ დახმარებას ღებულობს ინგლისისაგან. ეს დოკუმენტები წარმოადგენენ უკრაინის ეგრედწოდებულ სახალხო რესპუბლიკის მთავრობის „გარეშე საქმეთა მინისტრის" და ამ „მთავრობის" ბურჟუაზიული წარმომადგენლის მაცნევიჩის მოხსენებებს. (ადს).

ამერიკის „განიარაღება"

ბერლინი, 20 მარტი. შეერთებულ შტატების დელეგაციამ, რომელიც მონაწილეობას იღებდა ჟენევის მოლაპარაკებაში განიარაღების შესახებ, გამოაქვეყნა მემორანდუმი, რომელშიაც ჩამოყალიბებულია ვაშინგტონის დამოკიდებულება იმ შერეული კომისიის წინადადებებთან, რომელშიაც შეერთებული შტატები არ არიან წარმოდგენილნი. შეერთებული შტატები გადაჭრით უარყოფენ რაიმე კონტროლის დაწესებას სამხედრო მრეწველობაზე ქვეყნის შიგნით და ილაშქრებენ ქიმიური ომის აკრძალვის წინააღმდეგ, რაც საჭიროდ სცნო შერეულმა კომისიამ. ქიმიური ნივთიერებათა უმრავლესობა, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ომის დროს სამხედრო მიზნებისათვის, ეკუთვნიან ისეთ საგნების რიცხვს, რომლებშიც იხმარება მშვიდობიან დროის მრეწველობაში. კომისიის წინადადება, რომლის თანახმად გაზებით და ბაქტერიებით სარგებლობის სწავლება ჯარში უნდა ითვლებოდეს სისხლის სამართლის დანაშაულად, არ შეიძლება გატარებულ იქნეს ცხოვრებაში.

დასასრულ მემორანდუმში ნათქვამია, რომ ადგილობრივ ხელშეკრულებების დადება განიარაღების შესახებ დამოკიდებული იქნება არა იმდენად ცალკე ქვეყნების ეკონომიურ მდგომარეობაზე, რამდენადაც პოლიტიკურ პირობებზე და ამ ქვეყნების მთავრობათა განზრახვაზე (ადს).

პილსუდსკის რესპუბლიკაში

კანონი კომუნისტების წინააღმდეგ

ვარშავა, 20 მარტი. პოლონეთის სეიმის კომისიამ მიიღო კანონ-პროექტი კრებების თავისუფლების შეზღუდვის შესახებ.

სეიმის საკონსტიტუციო კომისიამ მიიღო კანონ-პროექტი, კომუნისტების წინააღმდეგ. კანონ-პროექტის წინააღმდეგ ხმა მისცა პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ, ნაციონალურ უმცირესობებმა, ვიზვოლენიემ და მუშათა ნაციონალურმა პარტიამ. ახალი კანონი სახელმწიფოს წესწყობილების წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეთ სთვლის იმ პირთ, რომლებიც სარგებლობენ უცხოეთის ორგანიზაციების დახმარებით კომუნისტური რევოლუციის მოსამზადებლად. კანონში იგულისხმება ყველა იმ პარტიის აკრძალვა, რომლებშიც მიზნად ისახავენ კომუნისტური რევოლუციის განხორციელებას. კანონის თანახმად, მანდატები უნდა წაერთვას კომუნალურ თვითმართველობების ყველა იმ წევრებს, რომლებიც არიან კომპარტიის წარმომადგენლები, ან „მისგან დამოკიდებული არიან". საარჩევნო კომისიას უფლება ეძლევა გააუქმოს ის საარჩევნო სიები, რომლებშიაც შეტანილი არიან კომუნისტური პარტიის წევრები. (ადს).

პოლონეთი ლიტვასთან საომრად ემზადება

პოლონეთის „მანევრები"

ლონდონი, 20 მარტი. ქრისტიანი დემოკრატების ორგანო „რიტას" სწერს: „არ შეიძლება სერიოზულად ჩაითვალოს წინადადებები პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობის მოწესრიგების შესახებ, სანამ ვილნოს საკითხი გადაუჭრელი რჩება. ჩვენ ვერ დავიჯერებთ, რომ პოლონელებს ამჟამად გადაწყვეტილი ჰქონდეთ მოახდინონ შეიარაღებული თავდასხმა ლიტვაზე. პოლონეთის მზადება დემარკაციულ ხაზთან ეს მხოლოდ განსაკუთრებული მანევრია". (ადს).

გერმანიის პრესა პოლონეთის სამხედრო მზადების შესახებ

ბერლინი, 20 მარტი. საბჭოთა პრესის ცნობებს პოლონეთის მზადების შესახებ ლიტვის წინააღმდეგ ბერლინის დიპლომატიურ წრეებში სერიოზულ მნიშვნელობას აძლევენ. ზოგიერთი გაზეთები იუწყებიან, რომ ბერლინის ავტორიტეტულ წრეებში აქვთ ცნობები, რომლების თანახმად შესაძლოა, რომ პოლონეთი ამზადებს ნამდვილ თავდასხმას ლიტვაზე. ბერლინის ზოგიერთი გაზეთები ფიქრობენ კიდეც, რომ ყოველ დღე შეიძლება დაიწყოს მოქმედება გენერალ ჟელიგოვსკის ვილნოზე თავდასხმის მაგვარად.

არბიტრაჟი ლოძში

ვარშავა, 20 მარტი. 18 მარტს, საღამოს, ლოძის პროფკავშირების წარმომადგენლებმა უარყვეს მთავრობის წინადადება არბიტრაჟის შესახებ. მაგრამ მთავრობამ კვლავ წამოაყენა წინადადება არბიტრაჟის შესახებ (გამოტოვებულია...), რომელშიაც ხელმძღვანელ როლს თამაშობენ პოლონეთის სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები არბიტრაჟის წინააღმდეგ წავიდა და საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადა ლოძში; მაგრამ კავშირის ხელმძღვანელი ზედა ფენა, რომელიც კონტაქტში იყო ხელისუფლების წარმომადგენლებთან და მათთან მოლაპარაკებას აწარმოებდა, ფაქტიურად აფერხებდა გაფიცვას.

19 მარტს ლოძში შესდგა ფეიქართა ყველა კავშირების წარმომადგენელთა თათბირი კომუნალურ მუშების კავშირის წარმომადგენელთა თანდასწრებით. ფარული კენჭის ყრის შემდეგ 16 ხმით 8-ის წინააღმდეგ მიღებულ იქნა მთავრობის წინადადება არბიტრაჟის შესახებ. მრეწველებმაც მიიღეს წინადადება არბიტრაჟის შესახებ (ადს).

ინგლისის ავიაცია

ლონდონი, 20 მარტი. „სანდი ტაიმს"-ის ცნობით დირიჟაბლი p—100, რომელსაც აშენებს კერძო ფირმა ხოუდენში, დამთავრებული იქნება მიმდინარე წლის შემოდგომაზე. გემის აშენებაზე დღე და ღამე მუშაობს 400 კაცი. გემს ექნება ოთახები 100 კაცისათვის. რადგან 750 ცხ. ძალიანი სპეციალური მანქანა სავსებით ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, ავიაციის სამინისტრომ გადასწყვიტა დადგას დამატებით 6 ძრავი „როლროის" და „კონდორის" სისტემის, რომლებიც ყველა ერთად აღებული შეადგენენ 4.500 ცხ. ძალას, ახალი ძრავების დადგმით შესაძლებელი გახდება ამერიკაში გაფრენა.

ვისკენ მიილტვის დანციგი

ბერლინი, 20 მარტი. დანციგის პარლამენტის სხდომაზე სენატის თავმჯდომარის მოადგილემ რიპემ განაცხადა, რომ დანციგის მთავრობის ყველა წევრები განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევენ კეთილმეზობლურ ეკონომიურ ურთიერთობის დამყარებას პოლონეთსა და დანციგს შორის. გარეშე საქმეთა მინისტრმა ფოლკმანმა განაცხადა, რომ დანციგის დამოკიდებულება გერმანიასთან უკანასკნელ 7 წლის განმავლობაში უცვლელი დარჩა. საერთო ენა, კულტურა და საერთოდ დანციგის მჭიდრო კავშირი გერმანიასთან უდიდეს ფაქტორად დარჩება დანციგის სახელმწიფოს ცხოვრებაში (ადს).

მოჭადრაკეთა ტურნირი

ლონდონი, 20 მარტი. ნიუ-იორკიდან მიღებულ ცნობით, მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე კაპაბლანკამ მოუგო ვიდმარს მე-21 სვლაზე, ალიოხინმა—მარშალს მე-26-ე სვლაზე და შპილმანმა—ნიმცოვიჩს მე-34-ე სვლაზე (ადს).

უშედეგო მგზავრობა

ნიუ-იორკი. 21 მარტი. პოლონეთის ბანკის თავმჯდომარის ამხანაგი მლინარსკი და პროფესორი კუჯანოვსკი გაემგზავრენ ევროპაში. მათ ვერ მოახერხეს სესხის მიღება პოლონეთისათვის.

სხვადასხვა

გადაფრენა ატლანტის ოკეანეზე

ლონდონი, 20 მარტი. რეიტერის სააგენტოს ოკეანეზე მფრინავი ფონკი პარიზიდან ბრუნდება შეერთებულ შტატებში იმ მიზნით, რომ მომავალ საფხულში კვლავ სცადოს ატლანტიურ ოკეანეზე გადაფრენა. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ჩეხო-სლოვაკიის კოოპერატორთა დელეგაცია.

მოსკოვი, 21 მარტი. ჩეხო-სლოვაკიის ცენტრალურმა კოოპერატიულმა კავშირმა შეატყობინა „ცენტროსოიუზ"-ს, რომ იგი აგზავნის საბჭოთა კავშირში დელეგაციას 15—20 კაცის შემადგენლობით.

დელეგაცია საბჭოთა კავშირში მოვა მაისში (ადს).

შვეციელ მეტალისტთა კონგრესზე

მოსკოვი, 21 მარტი. 20 მარტს შვეციაში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის მეტალისტთა ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. პუშკაროვი. პუშკაროვის გამგზავრების მიზანია შვეციის მეტალისტთა კონგრესზე დასწრება, რაც უნდა გაიხსნას 24 მარტს (ადს).

საბჭოთა კავშირთან დაახლოების საზოგადოება ამერიკაში.

მოსკოვი, 21 მარტი. უცხოეთთან კულტურული კავშირის საკავშირო საზოგადოების ცნობით, შეერთებულ შტატებში ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა ინიციატივით დაარსდა საბჭოთა კავშირთან კულტურული კავშირის საზოგადოება (ადს).

ბავშვთა კომისიის ლატარიის მოგება

ჩიტა, 21 მარტი. ბავშვთა კომისიის ლატარიის მთავარი მოგება—კედლის ოქროს საათი მოიგო ჩინელმა მუშამ, რომელიც ამ ჟამად ჩიტაში არ არის (ადს).

100.000 მანეთის მოგება.

მოსკოვი, 21 მარტი. სახელმწიფო ბანკში წარმოდგენილ იქნა 1926 წლის მომგებიანი სესხის ობლიგაციის მეოთხედი ნაწილი, რომელმაც მოიგო 100.000 მან. ობლიგაციის მეოთხედი ნაწილის პატრონია კიევის ერთ-ერთი ამბულატორიის კბილის ექიმია (ადს).

მადნის მარაგი ციმბირში

ნოვოსიბირსკი, 21 მარტი. გამოკვლევამ ტელბესას ქვანახშირ-ლითონის კომბინატის აგების ადგილას გამოარკვია, რომ რკინის მადნეულის მარაგი ტემირ-ტაუში და ტელბესში 1 მილიარდ ფუთამდე აღწევს. ტელბესის რაიონის მადნის ლითონის ქარხნის მუშაობა შეუძლია უზრუნველჰყოს 25 წლით, თუ ყოველწლიურად მიღებული იქნება 20 მილ. ფუთი შავი ლითონი. ტელბესტროიმ შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას დიდი ქარხნის ასაგებად (ადს).

უდიდესი ბრძმედი

დნეპროპეტროვსკი, 21 მარტი. კამენსკოეს ძერჟინსკის სახელობის ქარხანაში, ამუშავებულია პირველი მთელს საბჭოთა კავშირში ასტონიანი ბრძმედი. ბრძმედი გადაკეთებულია ჩვეულებრივ ათტონიან ღუმელიდან. ბრძმედის მუშაობამ პირველ დღეებშივე სასურველი ნაყოფი გამოიღო. ამის გამო „იუგოსტალის" გამგეობამ გადასდო თანხები კიდევ ერთი ათტონიანი ღუმელის გადასაკეთებლად ასტონიან ბრძმედათ. (ადს).

უფლებრივ მნიშვნელობას მოკლებული აქტი

მოსკოვი, 20 მარტი. „იზვესტია" მოწინავეში სწერს: „10 მარტს ჩვენ გამოვაქვეყნეთ ცნობა იმის შესახებ, რომ იტალიამ მოახდინა ეგრედ წოდებული პარიზის ოქმის რატიფიკაცია, რომელიც ბესარაბიას 1920 წლიდან რუმინიის სამეფოს შემადგენელ ნაწილად სცნობს. ჩვენ მაშინაც გავიმეორეთ ჩვენი თვალსაზრისი, რომ ეს აქტი წარმოადგენს იტალიის მთავრობის არამეგობრულ მოქმედებას საბჭოთა კავშირის მიმართ და გამოვააშკარავეთ ის მიზეზები, რომელთა გამოც მოახდინა იტალიამ ამ ოქმის რატიფიკაცია. დღეს ჩვენ ვბეჭდავთ იტალიის მთავრობის ნოტას, რომელიც იუწყება რატიფიკაციის მოხდენის შესახებ და აგრეთვე ჩვენს პასუხს ამ ნოტაზე.

ჩვენ ვიცავთ რა სავსებით ჩვენს თვალსაზრისს, როგორც ბესარაბიის ანექსიაზე, ისე პარიზის ოქმის რატიფიკაციაზე, საბჭოთა კავშირის მთავრობის ნოტასთან ერთად ვამტკიცებთ, რომ ეს რატიფიკაცია არის ისეთი აქტი, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ უფლებრივ მნიშვნელობას. ჩვენ კიდევ და კიდევ მივაქცევთ მთელი ქვეყნის ფართო მასების ყურადღებას იმაზე, რომ ბესარაბიის ძარცვის „ლეგალურ-კურთხევა", განსაკუთრებით მაშინ, როცა პოლიტიკური ურთიერთობის ატმოსფერო დამძიმებულია ევროპაში, არა მარტო არ უზრუნველჰყოფს მშვიდობიანობას, არამედ, პირიქით, ართულებს სამხედრო საფრთხეს" (ადს).

ფასების დაკლება პურზე

ამხ. სოკოლნიკოვის მოხსენება შრომისა და თავდაცვის საბჭოში

მოსკოვი, 21 მარტი. შრომის და თავდაცვის საბჭომ მოისმინა საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. სოკოლნიკოვის მოხსენება იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გამომდინარეობენ სახალხო მეურნეობის კონიუნქტურიდან 1926 წლის 1 ოქტომბრიდან მიმდინარე წლის პირველ თებერვლამდე. შრომის და თავდაცვის საბჭომ არასაკმაოდ სცნო პურის გასაყიდ ფასების დაკლება, რომელიც მიღწეულია ვაჭრობის სახ. კომისარიატის ღონისძიებებით და წინადადება მისცა ვაჭრობის სახ. კომისარიატს გააძლიეროს სახელმწიფოს მომწესრიგებელი როლი პურით მოვაჭრე სამეურნეო ორგანოების მუშაობაში. პურზე მოთხოვნილების სეზონურ ზრდასთან დაკავშირებით, შრომის და თავდაცვის საბჭომ საჭიროთ სცნო ადგილობრივ ბაზრებისათვის პურის მიწოდების გაძლიერება, რითაც თავიდან აცილებული იქნება პურის ფასების ზრდა. ამასთანავე ერთად საჭიროა განხორციელებულ იქნეს პურის ფასების დაკლება იმ რაიონებში, რომლებიც ამზადებენ ტეხნიკურ ნედლეულს.

ვაჭრობის სახ. კომისარიატმა სასწრაფო წესით უნდა დაამუშაოს საკითხი სწორი შეფარდების დამყარების შესახებ პურის ფასებსა და ტეხნიკურ კულტურების ფასებს შორის და ამის შესახებ თავისი მოსაზრებები უნდა წარუდგინოს შრომისა და თავდაცვის საბჭოს (ადს).

ალბანელ ემიგრანტების პროტესტი

მოსკოვი, 21 მარტი. ამ დღეებში საბჭოთა კავშირის მთავრობამ მიიღო ვენაში მცხოვრებ ალბანელ ემიგრანტების პროტესტი იტალიის მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ. ამ პროტესტში ნათქვამია:

„იტალიის პროვინციალურმა ხელისუფლებამ დააპატიმრა ალბანელი პოლიტიკური ემიგრანტები, რომელთა შორის არის 8 ყოფილი მინისტრი, 12 დეპუტატი და ოფიცრები, რომელთაც შეუქმნეს სამხედრო ტყვეების რეჟიმი იმ მიზნით, რომ აიძულონ ისინი საჯაროთ მოიწონონ იტალია-ალბანეთის შეთანხმება და აგრეთვე იტალიის პროტექტორატის დაწესება ალბანეთზე. ჩვენ აღშფოთებით პროტესტს ვაცხადებთ უღირს განათლებულ სახელმწიფოს ამ გაუგონარ შეთანხმების წინააღმდეგ. ეს იძულებითი მოწონება არავითარ ღირებულებას არ უმატებს შეთანხმებას, რომელიც ალბანეთის ხალხს თავზე მოახვიეს მოსყიდულ ტირანის ახმედ ზოგუს ტერორისტულ მოქმედებებით, იმ ახმედ ზოგუს, რომელიც ძალა-უფლების სათავეში ჩადგა სამხრეთ-სლავიის შეიარაღებულ ძალების დახმარებით და უკანასკნელ დროს გადაიქცა მუსოლინის ვასალათ.

ალბანელ ემიგრანტების სახელით გთხოვთ გამოიყენოთ თქვენი კეთილმეზობლური დამოკიდებულება იტალიის მთავრობასთან ამ საცოდავ ემიგრანტების ტანჯვა-წვალების შესაწყვეტათ".

წერილს ხელს აწერენ:

ფან-ნოლი (ყოფ. პრემიერი), კოჩული (ყოფ. მინისტრი) და სხვ.

პარტიული ცხოვრება

მისალმება საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას

ახალციხის მაზრის საბჭოთა ყრილობისაგან

ახალციხის მაზრის საბჭოთა მეხუთე ყრილობა მხურვალე სალამს უძღვნის მშრომელთა მასების იდეურ ხელმძღვანელს, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და ერთხმად აცხადებს, რომ ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენ მტკიცედ და შეურყევლად წავალთ წინ სასოფლო მეურნეობის განმტკიცების და მშრომელი მასების პოლიტიკურ - კულტურული დონის ამაღლების გზით. ამასთანავე ყრილობა უცხადებს ლენინურ ცეკას, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოების ყოველგვარ ცდას დაესხან თავზე საბჭოთა რესპუბლიკას, ერთსულოვნად შეებრძოლებიან ჩვენი მაზრის მტკიცედ დარაზმული და შეკავშირებული მშრომელთა მასები.

გაუმარჯოს საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას!

საბჭოთა უჯრედების თათბირისათვის

22 მარტისათვის მოწვეულია საბჭოთა უჯრედების საქალაქო თათბირი. ამ თათბირს დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი საბჭოთა უჯრედების მომავალ მუშაობისათვის, იმ ამოცანების განხორციელებისათვის, რომელიც დაუსახა პარტიამ საბჭოთა უჯრედებს. ეს თათბირი იქნება პირველი ნაბიჯი, რომლითაც ჩვენ პრაქტიკულად დავაყენებთ საკითხს იმ ამოცანების შესრულების შესახებ, რომელიც ისმება მათ წინაშე ბიუროკრატიზმის, უყაირათობის და სხვა მრავალ უმგზავსოების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მხრივ საბჭოთა უჯრედების წინაშე იშლება მუშაობის ფართო ასპარეზი. ცეკას დადგენილება მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს საბჭოთა უჯრედებს, ვინემ ეს იყო დღემდე და თითქოს აფართოვებს კიდეც მათ უფლებებს.

„თუ დაწესებულების მდგომარეობასა და მუშაობაში ფორმალურად და არსებითად პასუხისმგებელია ხელმძღვანელი, მასთან ერთად ყოველგვარ უწესობის, უყაირათობის, ბოროტმოქმედების და ბიუროკრატიზმისათვის პარტიული ორგანიზაციის წინაშე პასუხი უნდა აგოს მთელმა უჯრედმა და განსაკუთრებულ მნიშვნელოვან შემთხვევებში შეიძლება მთელი უჯრედი იქნეს მიცემული პასუხისგებაში" (ც. კ. დადგენილებიდან 1926 წ. 15 ნოემბერი).

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი საბჭოთა უჯრედები ჯერ კიდევ ვერ იჩენენ საკმაო უნარს და ინიციატივას, ჯერ კიდევ არ გრძნობენ იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელსაც მათ პარტია აკისრებს დღევანდელ პირობებში. ბიუროკრატიზმის, ბოროტმოქმედების და უყაირათობის აურაცხელი ფაქტები რჩებიან ჩვენი საბჭოთა უჯრედების მხედველობის გარეშე. ამ ფაქტების შესახებ მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უკეთ იცის, ვინემ იმ უჯრედებმა, რომლის ცხვირწინ ხდება ყოველივე ეს.

ერთი ხელის დაკვრით ბიუროკრატიზმს ვერ მოვსპობთ. აპარატის გაუმჯობესება და რაციონალიზაცია ისეთ პირობებში, როდესაც ზოგიერთები გამოდიან რა თავის პირად ინტერესებიდან ხელს მეწყობის ნაცვლად ხელს უშლიან ამ მუშაობას არ არის ერთი და ორი დღის საქმე. ძნელია ბრძოლა ბოროტმოქმედებასთან ისეთ პირობებში, როდესაც საბჭოთა დაწესებულებებში მოიპოვებიან საბჭოთა მუშაკის ქურქში გახვეული ანტი-საბჭოთა ელემენტები, სწორედ ამისათვის, რომ შევსძლოთ ყოველივე ამ სიძნელეთა გადალახვა, საჭიროა საბჭოთა უჯრედების კოლექტიური ინიციატივა და აქტიური მონაწილეობა იმ დიდ მუშაობაში, რომელსაც დღეს პარტია აწარმოებს საბჭოთა აპარატის გასაუმჯობესებლად.

დაწესებულების ხელმძღვანელები საბჭოთა უჯრედების დახმარების გარეშე ვერ შესძლებენ ამ დიდი საქმის შესრულებას.

წარსულში ჩვენ გვქონდა ხშირად ისეთი მდგომარეობა, როდესაც დაწესებულების ხელმძღვანელი—კომუნისტი არ უწევდა დიდ ანგარიშს უჯრედის აზრს, მას არ ჰქონდა შეგნებული უჯრედის დიდი მნიშვნელობა, დაწესებულების მუშაობის გაუმჯობესებაში, ანდა თუ ჰქონდა შეგნებული, განზრახ სცდილობდა უჯრედისათვის გვერდის ავლას და ის უყურებდა მას, როგორც პოლიტ-განათლების შემსწავლელ წრეს. ეს მდგომარეობა რა თქმა უნდა, მუშაობის ყოველგვარ ხალისს უკარგავდა უჯრედს, თუ უჯრედი რაიმე მნიშვნელოვან სამეურნეო საკითხს წამოაყენებდა, დაწესებულების ხელმძღვანელი ამას ჩასთვლიდა „ჩარევად ადმინისტრატიულ ფუნქციებში" და მიუთითებდა უჯრედს, რომ ეს მის არ ეხება და სხვა. რა თქმა უნდა, ასეთ მოვლენებს არა აქვთ საზოგადო ხასიათი, ისინი უფრო გამონაკლისს შეადგენენ, მაგრამ დღეს ამას ხაზი უნდა გაესვას, რათა მომავალში სავსებით აღმოფხვრათ ასეთი დამოკიდებულების ნაშთები და უჯრედსა და დაწესებულების ხელმძღვანელ შორის კონტაქტი გავაძლიეროთ.

როგორც ნაკლი ჩვენი საბჭოთა უჯრედების წარსულ მუშაობაში უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არ ექცეოდა საკმაო ყურადღება უპარტიო მასის ჩაბმას დაწესებულების მუშაობის გაუმჯობესებაში, ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში და სხვა. სუსტად იყო დაყენებული მასიური მუშაობის ისეთი ფორმა, როგორიც არის ეკონომიური თათბირი, რომლის მუშაობა უმრავლეს შემთხვევებში დღეს მოიკოჭლებს. ამ მუშაობას საკმაო ყურადღება დღემდე არ ექცეოდა.

შიგა საუჯრედო მუშაობაში აღსანიშნავია ის, რომ არ გვქონდა პარტიულ მოვალეობათა წესიერი განაწილება უჯრედის წევრთა შორის, ზოგიერთები ზედმეტად იყვნენ დატვირთულნი და ზოგი კი თითქმის სრულიად მოწყვეტილი იყო პარტიულ მუშაობას, დაწესებულებების ხელმძღვანელები უმრავლეს შემთხვევაში არ იყვნენ ჩაბმულნი უჯრედის მუშაობაში, ადგილი ჰქონდა ადმინისტრატიულ დამოკიდებულების პარტიულ წრეში გადატანას, რაც ასუსტებდა პარტიულ შეკავშირებას და დაღს ასვამდა უჯრედის მთელ მუშაობას.

ყველა ამ საკითხებზე იმსჯელებს თათბირი. საკითხების ყოველმხრივ გაშუქებისათვის თათბირზე მოწვეულნი არიან უჯრედის მდივნებთან ერთად დაწესებულებების ხელმძღვანელები (კომუნისტები) ადგილკომების და ეკონომკომისიის თავმჯდომარეები (კომუნისტები).

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თათბირის მონაწილენი მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ საკითხების გარჩევაში და თათბირი გამოიმუშავებს პრაქტიკულ ღონისძიებებს საბჭოთა უჯრედების მუშაობის გაცხოველებისათვის.

გ. ბულაძე.

რა სთქვა პარტორგანიზატორთა თათბირმა

პარტორგანიზატორთა თათბირის რეზოლუცია

პარტორგანიზატორთა წელიწადნახევრის მუშაობის გამოცდილებამ თბილისის ორგანიზაციაში დაამტკიცა მათი სრული უნარიანობა, და მთელ რიგ უჯრედებში, სადაც პარტორგანიზატორთა მუშაობა სწორ ნიადაგზე იყო დაყენებული, ადგილი აქვს მიღწევებს, რომლებიც გამოიხატებიან შიგა საუჯრედო მუშაობის გაუმჯობესებასა და უჯრედის გავლენის გაძლიერებაში უპარტიო მასებზე.

მაგრამ ყველა უჯრედებს არა აქვთ საკმაოდ შეთვისებული პარტორგანიზატორთა მნიშვნელობა, ზოგიერთ მათგანს წარმოებებში ჯერ კიდევ არა ჰყავთ გამოყოფილი პარტორგანიზატორები და უჯრედების უმეტეს ნაწილში მოისუსტებს პარტორგანიზატორთა მუშაობის ხელმძღვანელობა.

პარტორგანიზატორთა მუშაობაში არის მთელი რიგი ნაკლულევანებები:

ა) პარტორგანიზატორებს საკმაოდ არა აქვთ შეთვისებული თავისი ამოცანები და ფუნქციები;

ბ) პარტორგანიზატორთა მუშაობა ხშირად განისაზღვრება მხოლოდ ტეხნიკური მოვალეობებით (უწყებები კრებების მოწვევის შესახებ, საწევრო გადასახადების შემოტანის შემოწმება და სხვა);

გ) სუსტია პარტორგანიზატორთა კავშირი უპარტიოებთან;

დ) პარტორგანიზატორები სუსტად აწარმოებენ მუშაობას ინდივიდუალური დამუშავებისა და ჩვენთან ახლო მდგომ ცალკე უპარტიოთა ჩაბმის მხრივ სხვადასხვა საზოგად. ორგანიზაციებში;

ე) პარტორგანიზატორები ჯერ კიდევ არ წარმოადგენენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ცენტრებს და ხელმძღვანელებს საამქროებსა, განყოფილებებში და სხ.

პარტორგანიზატორებად ხშირად გამოყოფენ ხოლმე პოლიტიკურად გაუთვითცნობიერებელ ახალგაზრდა ამხანაგებს, იმ დროს, როდესაც პარტორგანიზატორთა მუშაობის პასუხისმგებლობა მოითხოვს, რომ მათი შერჩევა უნდა ხდებოდეს უფრო გავლენიან და მომზადებულ ამხანაგებს შორის.

პარტორგანიზატორი თავისი კულტურულ-პოლიტიკური განვითარების დონით მაღლა უნდა იდგეს მის გარშემო მყოფ უპარტიო მასაზე და მათში სარგებლობდეს ავტორიტეტით. პარტორგანიზატორთა პრაქტიკულ ამოცანას, საუჯრედო მუშაობაში უნდა წარმოადგენდეს:

ა) უპარტიოთა შორის სისტემატიური მუშაობის წარმოება, მათთვის საინტერესო საკითხების გაშუქება და პარტიის პოლიტიკისა და უჯრედის მუშაობის პოპულარიზაცია;

ბ) უპარტიოთა ჩაბმა სხვადასხვა საზოგადოებრივ ფორმებში (ორგანიზაციებში, კლუბებში და სხ.) და ჩვენთან ახლო მდგომ უპარტიოთა ინდივიდუალური დამუშავება, პარტიაში მათი მოზიდვის მიზნით;

გ) საამქროში, განყოფილებაში და სხ. უპარტიოთა საუკეთესო აქტივის აღრიცხვა, მათთან სათანადო მუშაობის ჩატარება, აქტივის ახლო კადრების გამოყოფა, აქტივის კანდიდატთა შესწავლა, მათი დაწინაურების მიზნით, და სხ.

დ) საამქროსა და განყოფილებებში სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური კამპანიების მომზადება და ჩატარება.

ე) სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობაში მონაწილეობა და მათთვის ხელის შეწყობა საამქროებსა, განყოფილებებსა და სხვა.

ვ) წარმოებას, დაწესებულების პარტიულ და ადმინისტრატიულ ცენტრების წინაშე საზოგადოებრივ-სამეურნეო, საამქროს, განყოფილების მუშაობის საკითხების წამოყენება და სხ.

ზ) პარტიული და უპარტიო მასების სულიერი განწყობილების შესწავლა.

თ) უჯრედის (ბიუროსი და კრების) გადაწყვეტილებათა გატარება საამქროში და განყოფილებაში.

ი) საამქროს, განყოფილების კომუნისტების მიერ პარტდავალებათა შესრულების შემოწმება, მათი მოზიდვა უჯრედის კრებებზე, პარტ-საწევრო გადასახადების შემოტანის შემოწმება, კომუნისტების ჩაბმა მთელ იმ მუშაობაში, რომელსაც აწარმოებს პარტორგანიზატორი საამქროში, განყოფილებაში და სხ.

თათბირი, უკეთეს რა ჯამს პარტორგანიზატორთა მიერ თბილისის ორგანიზაციის უჯრედებში ჩატარებულ მუშაობას, მათ წინაშე წამოჭრილი ამოცანების განსახორციელებლად საჭიროდ სთვლის შემდეგს:

1) გაძლიერდეს უჯრედების ყურადღება და ხელმძღვანელობა პარტორგანიზატორთა მუშაობაზე. გამოყოფილ იქნან პარტორგანიზატორები ყველა იმ უჯრედებში, სადაც ეს შესაძლებელია და საჭიროა მდგომარეობის მიხედვით.

2) პარტორგანიზატორთა შემადგენლობაში გამოყოფილ იქნან პოლიტიკურად გათვითცნობიერებული და ავტორიტეტული ამხანაგები, რომლებიც გაუძღვებიან პარტორგანიზატორთა მუშაობის ამოცანებს.

3) პარტორგანიზატორთა მიერ თავისი მუშაობის ამოცანების შეთვისების, ამ მუშაობის დაუფლების და შეთანხმების და სამუშაო გამოცდილების გაზიარების მიზნით, ჩატარდეს პარტორგანიზატორთა რეგულიარული საუჯრედო და რაიონული თათბირები.

4) უჯრედებმა უნდა მოაწყონ პარტორგანიზატორთა მუშაობის ყოველდღიური ხელმძღვანელობა, მათი მოხსენებების მოსმენით უჯრედის ბიუროში, მუშაობის დროს სპეციალური დავალებების მიცემით და სხ.

5) უჯრედთა ბიუროს სხდომებზე მუშაობის ძირითადი საკითხების განხილვის დროს მოწვეულ იქნან პარტორგანიზატორები, ისინი გაცნობილი უნდა იყვნენ უჯრედის მიერ წარმოებულ მთელ მუშაობასთან.

6) საჭიროა პარტორგანიზატორების მუშაობა შეთანხმებულ იქნეს კომკავშირის ორგანიზატორის, პროფრწმუნებულის მუშაობასთან და სხ.

7) პარტორგანიზატორთა მუშაობის უკეთესად დაყენების მიზნით, საჭიროა მათი განთავისუფლება სხვა საზოგადოებრივი მოვალეობებისაგან. და კონტროლის გაძლიერება პარტორგანიზატორთა მიერ თავის მოვალეობათა შესრულებაზე.

8) თავის მუშაობის დროს პარტორგანიზატორები უნდა შეეცადონ მჭიდრო ამხანაგური კავშირის გაბმას უპარტიო მასასთან.

9) პარტცხოვრების განყოფილებებმა ფართოდ უნდა გააშუქონ პარტორგანიზატორთა მუშაობა.

10) პარტორგანიზატორთა მუშაობის სახელმძღვანელოს სახით, თათბირი საჭიროდ სთვლის „პარტორგანიზატორის ცნობარის" გამოცემას ქართულ და რუსულ ენებზე.

11) პარტორგანიზატორთა მოსამზადებლად რაიონებში მოეწყოს პარტორგანიზატორთა მოსამზადებელი მოკლევადიანი საღამოს კურსები.

საორგანიზაციო თათბირი

გუშინ საღამოთი საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტთან შესდგა საორგანიზაციო განყოფილებების გამგეთა, რაიკომების ინსტრუქტორების და გამოყოფილი ტიპიურ უჯრედთა მდივნების თათბირი.

თათბირის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: დაზგის მუშათა პარტთათბირის, უჯრედთა მდივნების მოადგილეების, კომისიური მუშაობის, საუჯრედო კრებაზე თავმჯდომარეობის და მასწავლებელთა შორის მუშაობის საკითხი.

პირველი საკითხის შესახებ მომხსენებელმა ამხ. ბელელაძემ აღნიშნა, რომ ჯერ-ჯერობით არ გვაქვს ამ თათბირების გამოცდილება, ვინაიდან ისინი მხოლოდ ზოგიერთ რაიონში იწყობოდა. ეს თათბირები უნდა მოეწყოს რაიონებში და უნდა დაესწრონ დაზგის მუშა-პარტიულები ყოველი წარმოებიდან. თათბირმა უნდა გამოარკვიოს ქვედა საფეხურების პარტიული, საზოგადოებრივი და პროფესიონალური მუშაობის ნაკლულევანებანი. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ვეფხვაძემ, კეკელიამ, ლუსკინმა, [illegible] და კუდრიავცევმა. კამათში მონაწილეთა უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ თათბირებს დიდი მნიშვნელობა ექნება მუშათა ფართო მასების სულისკვეთების გაგებისა და მუშაობის შემოწმებისათვის ადგილობრივ.

კომუჯრედთა მდივნების მოადგილეთა ინსტიტუტის შემოღების მიზანშეწონილობის საკითხზე გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. გუდვაძემ, ლუსკინმა, ბელელაძემ, კუდრიავცევმა, შაპელევმა, ერკომაიშვილმა. კამათში გამოირკვა, რომ აუცილებელია მდივნების მოადგილეთა გამოყოფა, როგორც ცდა მსხვილ უჯრედებში.

საუჯრედო კომისიების მუშაობის შესახებ თათბირმა აუცილებლად სცნო იმ საკითხების გამორკვევა, რომელნიც საორგანიზაციო კომისიებმა უნდა გადასწყვიტონ უშუალოდ.

პარტკრებებზე თავმჯდომარეობის საკითხის შესახებ თათბირმა მიზანშეწონილად სცნო ძველი წესის—მორიგეობით თავმჯდომარეობის დატოვება, ვინაიდან თავმჯდომარის გამოუცდელობის გამო კრებები ხშირად უწესრიგოდ მიმდინარეობდა.

აუცილებლად იქნა ცნობილი კომუჯრედის მთელი აქტივის გამოყენება მორიგეობით თავმჯდომარეობისათვის, რაიც მოგვცემს საშუალებას მოვამზადოთ პარტიულების საკმაო რიცხვი, რომელთაც შეეძლებათ კრების ძღოლა.

საკითხი მასწავლებლებს შორის მუშაობის შესახებ შემდეგი სხდომისათვის გადაიდო.

საბჭოთა ყრილობები

აზერბეიჯანის საბჭოთა ყრილობა

მესამე დღე.

ბაქო, 21 მარტი. სრ. აზერბეიჯანის საბჭოთა ყრილობის 20 მარტის დილის სხდომაზე წაკითხულ იქნა მისასალმებელი დეპეშები, რომელნიც ყრილობამ მიიღო სხვადასხვა ორგანიზაციებიდან. შემდეგ ყრილობამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და ცაკს, კომინტერნის აღმასკომს, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას, გლეხთა ინტერნაციონალს, სამხედრო-რევოლუციონურ საბჭოს, აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცეკას და ბაქოს კომიტეტს და ამხ. კიროვს და ორჯონიკიძეს (ადხ).

ამხ. ლევანდოვსკის მისალმება

ამხ. ლევანდოვსკი ესალმება ყრილობას წითელ არმიელთა, უფროსთა შემადგენლობის და არმიის სამხედრო-რევოლუციონურ საბჭოს სახელით. სხვათა შორის იგი ამბობს:

„ჩვენ ეხლა ყოველმხრივ განვმტკიცდით როგორც სამხედრო სწავლებით, ისე დისციპლინის დარგში და უეჭველად დიდ საშიშ ძალას წარმოვადგენთ ინტერვენციის ყოველგვარი ცდისათვის. ყველა ჩვენი მიღწევები მოწმობენ იმას, რომ მომავალ ბრძოლებში ჩვენ გამოვიყენებთ კლასიურ ბრძოლის უდიდეს გამოცდილებას და ყველა იმ ცოდნას, რომელიც სამოქალაქო ომის შესვენების განმავლობაში მივიღეთ. ჩვენ მართლაც წარმოვადგენთ შეურყეველ ძალას მსოფლიოში ერთად-ერთი სოციალისტური სახელმწიფოს დასაცავად“.

შემდეგ გრძელდება

კამათი აზერბეიჯანის მთავრობის მოხსენების გარშემო

ამხ. **ქაზიმოვი** ამბობს: „როცა თანხებს ხდებენ საკურორტო აღმშენებლობისათვის ამიერ-კავკასიის მასშტაბით, ჩვენ მას არ გვაძლევენ, იმ მოსაზრებით, რომ ჩვენ არ გვაქვს კურორტები. მაგრამ ჩვენ გვაქვს მთელი რიგი მინერალური წყლები, რომელნიც თავისი თვისებით არ ჩამოუვარდებიან ანაპის გოგირდის წყალს, კისლოვოდსკის ნარზანს და სხვა წყლებს. ქურდისტანში არის ისეთი წყლები, როგორიცაა ემსის წყლები გერმანიაში, რომლითაც მკურნავენ სასუნთქი ორგანოების კატარალურ მდგომარეობას, სიმსივნეს და კუჭისა და წყლების ავადმყოფობებს; ამ წყლებს მსოფლიო მნიშვნელობა აქვთ. მთავრობის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში უნდა შევიტანოთ მუხლი იმის შესახებ, რომ აუცილებელია საკურორტო აღმშენებლობა აზერბეიჯანში და სათანადო თანხების გადადება ამისათვის“.

მუხტარ-ზადე, ბალახანელი მუშა ამბობს:

„ამხ. მუსაბეკოვის მოხსენება ჩვენ არა მარტო მოვისმინეთ, არამედ დავინახეთ საკუთარი თვალებით — ეს არის კარგად მოწყობილი სამოსახლო ადგილები, ტრამვაი და საბჭოთა ხელისუფლების სხვა მიღწევანი. თუ წინად ნავთის მოედნიდან გაზი ქრებოდა, ეხლა ჩვენ მას ვიჭერთ. თუ ინგლისი გაზებს ხმარობს ხალხის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლება ამ გაზებით ათბობს ქურას.

ამხ. **სულთანოვი**, ქალთა განყოფილების მუშაკი ამბობს, რომ სოფლად არ არის საექიმო დახმარება. „სოფლებში უნდა მოეწყოს აბანოები, ვინაიდან როცა გლეხ-ქალებს ელაპარაკები დედათა და ბავშვთა დაცვაზე, ისინი ჩვეულებრივ ამბობენ: ჯერ მოგვეცით აბანოები, რომ ვიცოდეთ, თუ რა არის სისუფთავე. საჭიროა, რომ საბჭოს თავმჯდომარედ ან წევრებად არჩეულ ქალებს შორის წარმოებდეს მუშაობა, რომ მომავალში ამ აქტივიდან ქალები იქნან წამოყენებული უფრო საპასუხისმგებლო სამეურნეო და საადმინისტრაციო სამუშაოზე.

ამხ. **აბუნდოვი** (შემახა) აღნიშნავს, რომ აზერბეიჯანის ეკონომიურ და ადმინისტრატიულ რაიონებად დაყოფის საკითხი დღემდე გადაუწყვეტელია. ამიტომ ამ საკითხს უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს უახლოეს ხანში. შემდეგ იგი ამბობს, რომ სახოფლო-სამეურნეო მანქანების საწყობთა არსებული ქსელი არაა საკმაო. ცაკის ახალმა შემადგენლობამ აუცილებლად უნდა გააფართოვოს სახოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა ქსელი და სახოფლო-სამეურნეო მანქანების საწყობები, დაუახლოვოს აზერბეიჯანის სოფელს.

საღამოს სხდომა

აზერბეიჯანის საბჭოთა ყრილობის 20 მარტის საღამოს სხდომაზე გაგრძელდა კამათი მთავრობის მოხსენების გარშემო.

ამხ. **ბაბიროვი** (ბაქო) ლაპარაკობს ბიუროკრატიზმის შესახებ. „მთელი რიგი ჩვენ პასუხისმგებელ ამხანაგთა, ამბობს, იგი, მოწყვეტილნი არიან მასებიდან. ისინი იშვიათად არიან მუშებისა და გლეხების წრეში. პასუხისმგებელი მუშაკები ფართო მასებს უნდა დაუახლოვდენ“. შემდეგ იგი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი პასუხისმგებელი ამხანაგი უდიერად ექცევა თავის თანამშრომლებს. მე, მაგალითად, თვითონ დავინახე ევლახის აღმასკომის თავმჯდომარე, რომელმაც მილიციონერს წაართვა თავისი პალტო. ასეთი წვრილმანები მეტად დამახასიათებელია გაბიუროკრატებული მუშაკებისათვის.

ამხ. **მონომახოვი** (კოლონია გეორგიევსკი, განჯის მაზრა) ლაპარაკობს კოლონისტ-გერმანელთა პოლიტიკურ ჩამორჩენილობაზე. გარეგნულად გერმანელთა მდგომარეობა თითქოს საუცხოოა; ბევრ მუშაკს ისეთი შთაბეჭდილება აქვს, რომ თითქოს კოლონიაში არ იყონ ღარიბები, არ არსებობდეს უკულტურობა. ეს მცდარი აზრია. ღარიბი გერმანელები სავსებით იმყოფებიან კულაკი გერმანელების გავლენის ქვეშ. იგი აღნიშნავს, რომ პარტკლუბთან მოწყობილ კოოპერატიულ კურსებზე სწავლობენ კულაკები, რომელნიც საშუალო შეძლების გლეხებად ასაღებენ თავს. საზოგადოებრივ სამუშაოზე დაწინაურებულ უნდა იქნან ღარიბი ფენები და მათ შორის უნდა იქნას წარმოებული პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა“.

ყრილობამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ამიერ-კავკასიის ცაკს, სომხეთის ცაკს და სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს ცაკს (ადხ).

მისალმება

საქართველოს საკომსაბჭოს

ბათომიდან

აჭარისტანის საბჭოთა მეშვიდე ყრილობა მხურვალედ ესალმება თქვენის სახით საქართველოს მშრომელ ხალხს და გამოსთქვამს შეურყეველ რწმენას, რომ აჭარისტანის ღარიბი ხალხი საქართველოს მუშებთან და გლეხებთან ერთად მათი ხელმძღვანელობით და დახმარებით მტკიცედ აწარმოებს სოციალისტურ აღმშენებლობას.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

ყრილობის პრეზიდიუმი.

ოზურგეთის მაზრის საბჭოთა ყრილობა

ყრილობის დადგენილებები

ოზურგეთი, 21 მარტი. დასრულდა საბჭოების მე-5 ყრილობა, რომელიც სამ დღეს გაგრძელდა. ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც გამოსთქვამს სურვილს, რომ რაც შეიძლება მოკლე ხანში დასრულებულ იქნას ოზურგეთ-საჯავახოს და სურებ-კობულეთის შარა-გზების გაყვანა. ეს გზები წარმოადგენენ მაზრის განაპირა პუნქტების შემაერთებელ ხაზს შავი ზღვის სანაპიროსთან. გარდა ამისა ყრილობამ გამოსთქვა სურვილი, რომ ჩოხატაურამდე იქნას გაგრძელებული არსებული სარკინიგზო შტო, რომ ბახმაროში გაყვანილ იქნას გზა და თვით ეს კურორტი—კეთილმოწყობილი.

სახოფლო მეურნეობის დარგში ყრილობა წინადადებას იძლევა, რომ ყურადღება მიექცეს სუბტროპიკული კულტურების შემდგომ განვითარებას, აგრონომიულ, საზეითლო ქსელის გაფართოებას და საქონლის ჯიშის გაუმჯობესებას.

ყრილობამ აღნიშნა ბიბლიოთეკების სუსტი მუშაობა პერიფერიებში. მიღებულია გადაწყვეტილება, რომ შერჩეულ იქნას უკეთეს მუშაკთა კადრი და გაუდიდდეს მათ ჯამაგირი.

საფინანსო-საბიუჯეტო დარგში ყრილობა ადასტურებს, რომ მაზრა არსებობს მხოლოდ მთავრობის დოტაციებით, რომლებიც სამაზრო ბიუჯეტში შეადგენენ 70 პროც. ყრილობა წინადადებას იძლევა, რომ ადგილობრივი საშემოსავლო წყაროები გამოყენებულ იქნას ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის დასაფარავად მთლიანად, 100 პროცენტით.

ყრილობა, აღნიშნავს რა ნაყოფიერ მუშაობას რევოლუციონური წესრიგისა და კანონიერების დაცვის დარგში, საჭიროდ სთვლის არსებულ სახალხო სასამართლოების განტვირთვას წვრილ საქმეებისაგან, რომლებიც უნდა გადაეცეს თემადმასკომების სათანადო ორგანოებს.

საქართველოს ეკონომიკაში ყრილობა, აძლევს რა უდიდეს მნიშვნელობას სოფ. ომფარეთში წარმოებულ ნავთის საძიებელ მუშაობას, წინადადებას იძლევა, რომ ყოველგვარი დახმარება გაეწიოს ამ მუშაობას (ადხ).

თელავის მაზრის საბჭოთა ყრილობა

კამათი ამხ. ტალახაძის მოხსენების გარშემო.

თელავი, 21 მარტი. თელავის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ტალახაძის მოხსენების გარშემო (სამაზრო აღმასკომის ანგარიში) გამართულ კამათში გამოვიდა 38 დელეგატი.

პირველად გამოსულმა ხევსურ-დელეგატმა ითხოვა „ხევსურების გამოყვანა ტყიდან და მათთვის ქვეყნის დანახვა“, ხევსურთა მიწათმოწყობა და ერთ ადგილზე დაბინავება.

თუში, ქისტი, თურქი და ლეკი-დელეგატები ითხოვდენ მეტი ყურადღების მიქცევას განათლებასა და სამკურნალო დახმარების საქმისათვის. მთელი რიგი გლეხი-ორატორები აღნიშნავენ სახოფლო მეურნეობის უმთავრესი დარგის—მევენახეობის დაღუპვას და, შედარებით, სუსტ დახმარებას საკრედიტო ორგანიზაციების მხრივ.

წამოჭრილია მაზრის ელექტროფიკაციის და 1924 წელში გამომუშავებულ „სტორის“ პროექტის (მდინარე სტორზე) განხორციელების საკითხები. გამოთქმულ იქნა თხოვნა მთავრობის მიმართ, რათა დაჩქარდეს კახეთის რკინის გზის გაგრძელება თელავიდან სოფელ ახმეტამდე, რაც შესაძლებელს გახდის ამ რაიონის ექსპლოატაციას, რომელიც მდიდარია ტყით და აგრეთვე მთისა და მინერალური ჯიშებით. დღის, საღამოს 5 საათზე, ყრილობამ ტერიტორიალურ ნაწილს ზეიმით გადასცა დროშა.

ყრილობის მისალმებანი

ყრილობამ შემდეგი მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა საქ. კომ. პარ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტს

„ამიერ-კავკასიის მშრომელთა ბელადს, ლენინის სამხარეო კომიტეტს თელავის მაზრის საბჭოების მე-5 ყრილობა უძღვნის მხურვალე სალამს. გისურვებთ გამარჯვებას სოციალიზმის მშენებლობისათვის წარმოებულ საპასუხისმგებლო მუშაობაში. მაზრის ყველა მშრომელთა სახელით ვაცხადებთ, რომ განვახორციელებთ სახალხო მეურნეობის მაქსიმალური განვითარების, მისი განმტკიცების და ყოველგვარ ბიუროკრატიულ სიმახინჯეებთან ბრძოლის ამოცანებს. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მშრომელებს! გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!“

ამიერ-კავკ. ცაკს.

„მრავალმილიონიან ამიერ-კავკასიის მშრომელთა ორგანიზატორს და ხელმძღვანელს თელავის მაზრის საბჭოების მე-5 ყრილობა გიძღვნისთ მხურვალე სალამს. დაე, თქვენმა მუშაობამ შემდეგშიც წარმართოს ქვეყანა სახალხო მეურნეობის გაფურჩქვნისაკენ სოციალიზმის გზაზე. მაზრის ყველა მშრომელთა სახელით ვაცხადებთ, რომ ყველა ეროვნების მუშებისა და გლეხების ერთსულოვანი მუშაობით ჩვენ განვახორციელებთ ქვეყნის გაძლიერებისა და განმტკიცების ამოცანებს, ამოცანებს, რომლებიც წამოჭრილია ჩვენს წინაშე. გაუმარჯოს ყველა ეროვნების მშრომელებს და მათ ბელადს—კომუნისტურ პარტიას“.

ამხ. ორჯონიკიძეს.

„თელავის მაზრის საბჭოთა მე-5 ყრილობა გიძღვნისთ თქვენ, მტკიცე ლენინელს, თავის მხურვალე სალამს და გისურვებთ გამარჯვებას სოციალიზმის მშენებლობის მძიმე მუშაობაში. სიტყვას გაძლევთ, რომ ყრილობის მუშაობის შემდეგად, კავშირის წინაშე მდგარ ამოცანების საფუძველზე, თელავის მაზრის მშრომელნი აწარმოებენ ინტენსიურ მუშაობას სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის და ბრძოლას ყოველგვარი ბიუროკრატიული გადამახინჯების წინააღმდეგ“.

ყრილობის პრეზიდიუმი.

სამხრეთ-ოსეთის საბჭოთა ყრილობა

არჩევნები საბჭოთა ყრილობაზე.

ცხინვალი, 21 მარტი. სამხრეთ-ოსეთის საბჭოების მე-7 საოლქო ყრილობამ აირჩია ცაკის ახალი შემადგენლობა 38 წევრით. ცაკის ახალ შემადგენლობაში შევიდა მრავალი წარმომადგენელი სახოფლო რაიონებიდან. სამხრეთ-ოსეთის ცაკის წევრებად არჩეული არიან ამხ. **მარიამ ორახელაშვილი** და **ალ. ზგვეჭკუა**.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე სამხრეთ-ოსეთიდან არჩეულია 9 კაცი: ამხ. **ლევანდოვსკი, ალექსანდრე აბაევი, ალექსანდრე ჯატიევი, კვინიკაძე, ბიჭუზაროვი, გადიევი, ყაზაევი, ძორიევი** (გლეხი) და **თედეევი** (გლეხი).

ამხ. ლევანდოვსკის (ა.-კ. წ.-დრ. არმიის მთავარსარდალი) არჩევას შეხვდენ მქუხარე ტაშით (ადხ).

სამხრეთ-ოსეთის მთავრობის შემადგენლობა.

ცხინვალი, 21 მარტი. შესდგა სამხრეთ-ოსეთის ახლად არჩეული ცაკის პირველი სესია. არჩეულია ცაკის პრეზიდიუმი და სახალხო კომისრები. ცაკის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. **ჯატიევი**, მის მოადგილეებად ამხ. **კვინიკაძე** და **გადიევი**, მდივნად — ამხ. **ყაზაევი**, მიწათმოქმედების სახალხო კომისრად—ამხ. **სალოყაევი**, განათლების სახ. კომისრად—ამხ. **ფილიევი**, შინ. საქმ. სახ. კომისრად—ამხ. **შავლოხოვი**, იუსტიციის სახ. კომისრად—ამხ. **გადიევი**, სახ. მეურნ. უმაღლ. საბჭოს თავმჯდომარედ—ამხ. **გაგლოევი**, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისრად—ამხ. **ბიჭუზაროვი**, ფინსახკომის რწმუნებულად—ამხ. **ბალაევი** და სხვ. (ადხ).

საქართველოს რადიოფიკაცია

1. ბურჟუაზია და რადიო.

ბურჟუაზია რადიოსაც თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის იყენებს.

უკვე იყო ცდები შორეულ მანძილიდან უმფრინავი აეროპლანის და უმძღოლო ავტომობილის მართვისა რადიოს საშუალებით. ცხადია, ამ იარაღს ბურჟუაზია მომავალ ომებში გამოიყენებს. პოლიციის საქმეში რადიო უკვე გამოყენებულია — პოლიციის უფროსი ადგილიდან არც კი იძვრის, ისე იძლევა განკარგულებას, ამ განკარგულებას ღებულობენ პოლიციელნი, რომელთაც ზურგზე გაკეთებული აქვთ ანტენა, ხოლო გულზე რადიო - მიმღები ჰკიდიათ.

განსაკუთრებით იყენებს რადიოს ბურჟუაზია—აგიტაცია პროპაგანდისათვის. სისტემატიურად სწარმოებს სიტყვებისა და მოხსენებების გადაცემა რადიოთი. ერთხელ ერთ-ერთი ამერიკელ მინისტრის სიტყვას ერთდროულად უსმენდა 50 მილიონი მსმენელი.

ამრიგად მინისტრები და ძმანი მათი რადიოთი სცდილობენ განამტკიცონ შოვინისტურ-პატრიოტული სულისკვეთება, ისინი ეწევიან გაძლიერებულ რელიგიურ პროპაგანდას (თუმცა რადიო თავის არსებით საუცხოვო ანტი-რელიგიური პროპაგანდისტია) აღვივებენ მასებში დაბალ ინსტიქტებს. ამერიკაში მაგალითად რადიოთი გადასცეს ბრბოს მიერ თვითნებურათ გასამართლებულ მომაკვდავ ზანგის ხრიალი და სხვა.

2. რადიო საბჭოების სამსახურში

არა ნაკლები სამსახურის გაწევა შეუძლია რადიოს პროლეტარული დიქტატურის განმტკიცებისათვის. რუსეთში და უკრაინაში ამ მხრივ დიდი მუშაობა სწარმოებს. იქ არის, მაგ. ისეთი გუბერნიები (ვორონეჟის), სადაც ყველა თემების რადიოფიკაცია მოთავდება ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავზე. ე. ი. მიმდინარე წელს. არის რაიონები (სტავროპოლის გუბერნია), სადაც ჯგუფ - ჯგუფად ერთდებიან და ყიდულობენ აპარატს ან და თვითონ აკეთებენ მას.

ამას წინად ერთ-ერთ წამოწყებაში მომუშავე გლეხ - ქალებმა შეჩივლეს „რადიო გაზეთის“ რედაქციას, რომ ადმინისტ. არღვ. შრ. დაც. კანონებს და ადგილობრივად მის წინააღმდეგ რაიმეთარი სამართალი ვერ ვიპოვეთ. მეორე დღესვე ეცნობა მათ რადიოთი, რომ პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის წარმომადგენელი უკვე გაემგზავრა საქმის გამოსარკვევად ადგილობრივად. გლეხი, შემადგ. ტლენოვი (მოსკოვის გუბერნია) სთხოვდა მიეცათ რჩევა - დარიგება, იმის შესახ. თუ როგორ უნდა მოევლო მას ფურის ხბოსათვის, რომელსაც კანი შემოაძრობა თავზე. რამოდენიმე დღის შემდეგ აგრონომმა მას მისცა დაწვრილებითი დარიგება რადიოთი, რომელიც ალბათ ბევრ სხვასაც გამოადგა. გაზეთი „პრავდა“ წერდა: „უმანძილოთ, უმავთულოთ, რომელსაც თქვენ ასეთი დიადი საქმეა, სწერდა ის ნიჟეგოროდის რადიო - ლაბორატორიის ხელმძღვანელს, ბონჩ-ბრუევიჩს (ეს ლაბორატორია, რომელსაც დღეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ლენინის ენერგიულ დახმარებით და მზრუნველობით იქნა აშენებული) „განახორციელეთ მიტინგი მრავალ მილიონიანი აუდიტორიით რ-ც უზარმაზარ ქვეყანას დაქსაქსულ - დაფანტულ, დაქუცმაცებულ, მილიონების და ახლოს მილიონებისაგან შექმნით მილიონი ნება“, სწერდა ამხ. ლენინი იმავე ბონჩ-ბრუევიჩს

3. რადიო ჩვენში

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს რადიოს ჩვენი ქვეყნისათვის. ჩვენში არის ისეთი კუთხეები (ხევსურეთი, თუშეთი, სვანეთი, რაჭა - ლეჩხუმი, ახალციხე, ახალქალაქი და სხვა), რომლებიც ზამთრობით სრულიად, ან რამოდენ ხნით მაინც სწყდებიან ცენტრს. ზოგიერთ ამ ადგილებზე ფოსტა, გაზეთი ორი - სამი კვირის შემდეგ აღწევს. აქ პირდაპირ დაუფასებელი სამსახურის გაწევა შეუძლია რადიოს, რადიო დაუკავშირებს ამ კუთხეებს ცენტრს და მთელ ქვეყანას.

რადიოს საშუალებით შევძლებთ ჩვენ პირდაპირ უშუალოთ მივაწოდოთ წერა - კითხვის უცოდინარ გლეხსაც კი ცნობა იმის შესახებ, თუ რა გადასწყვიტა, რა კანონები გამოუშვა საბჭოთა მთავრობამ, რა გააკეთა საერთოდ გლეხობისათვის მან, როგორია ჩვენი საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა და სხვა. რადიოს საშუალებით გლეხებს ადვილათ შეუძლიათ მიიღონ ცნობები აგრონომიულ და ჰიგიენა - სანიტარულ დარგიდან, გაიგონ ფასები ქალაქის და სოფლის ნაწარმოებებზე, ამ ძლიერი იარაღითვე შევძლებთ ვაწარმოოთ ანტირელიგიური პროპაგანდა.

რუსეთში რადიოს იყენებენ გამაძლიერებელ სახლებში კულტურულ მუშაობის გასაძლიერებლად. სისტემატიურად ხდება მუშათა, გლეხთა, კომკავშირის და პიონერის რადიო - გაზეთის, მოხსენებების, ლექციების, სპეციალურ (გლეხთა და ბავშვთა) კონცერტების გადაცემა და სხვა. რადიოთი მოხსენებებს კითხულობენ ამხ. კალინინი, კუიბიშევი, კვირინგი და სხვები.

საუცხოვოთ გამოიყენეს რუსეთში რადიო საარჩევნო კამპანიაში: ჩატარებულ იქნა მთელი რიგი მოხსენებებისა მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის. მაგალითად: „რა მისცა საბჭოთა ხელისუფლებამ სოფელს?“ „რა გააკეთა მან სოფლის ღარიბებს გლეხობისათვის?“ „ვის აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა არჩევნებში?“ და სხვა. გადაცემულ იქნა აგრეთვე მოხსენებები ბიუროკრატიზმთან ბრძოლის, მომჭირნეობის რეჟიმის, ბინის საკითხის, ბავშვთა უპატრონობის, სკოლის საკითხის, წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის და სხვა საკითხების შესახებ.

4. ლენინი და რადიო.

რადიოს უდიდესი მნიშვნელობა ძლიერ კარგად ესმოდა ამხ. ლენინს.

რადიო უნდა გახდეს მასების პოლიტიკურ და კულტურულ აღზრდის მძლავრი იარაღათ. მისი საშუალებით ახალი ყოფა - ცხოვრება უნდა შეიჭრას სოფლად, მასებში, მასები უნდა ეზიარონ ხელოვნების მიღწევას (განსაკუთრებით მუსიკის დარგში), რადიო უნდა დაეხმაროს სოფლის გონიერი გართობა - დასვენების მოწყობის საქმეში (კონცერტი, ცეკვა რადიოთი და სხვა). ერთი სიტყვით, რადიო უნდა შეიქმნეს ქოხ - სამკითხველოს და სახალხო სახლის გამოცოცხლების უებარ საშუალებათ. დღევანდელ სამკითხველოების და სახალხო სახლების სიცარიელე, რაზედაც ჩივიან ამ დარგის მუშაკნი, რადიომ უნდა მოსპოს.

რადიო შეიძლება და აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული მით უმეტეს მივარდნილ რაიონებში, სოფლის ძირითად მომუშავეთათვის ინსტრუქციების მისაწოდებლად.

რუსეთის მსგავსად, ჩვენშიაც უნდა მოეწყოს მუშათა, გლეხთა და პიონერთა გაზეთი, შეძლებისდაგვარად სამხედრო გაზეთიც, რაიც წითელ არმიის დახმარების გარდა, ძლიერ შეუწყობს ხელს მოსახლეობის გასამხედროებას.

საჭიროა მუშურ - გლეხურ მასაში ვაწარმოოთ გაძლიერებული აგიტაცია რადიოს საშუალებით. საქართველო უნდა მოიფინოს რადიო-მიმღებებით. 87 რადიო „სტაციონალური“ და 13 მოძრავი სადგური, რომელიც ამ რამოდენიმე თვეში დაიდგმება საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, ცხადია, არ კმარა. საქართველოში არის (ყველა ავტონომიურ რესპუბლიკებთან ერთად) 400-ზე მეტი თემი. ჩვენი ლოზუნგი უნდა იყვეს თითო თემში — თითო რადიო მიმღები. დაარსებულნი უნდა იქნას „რადიო მეგობართა საზოგადოების“ უჯრედები და ორგანიზაციები, ჯერ. - ჯერობით რადიო პუნქტების გარშემო. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამ საზოგადოებაში, რომლის სარგებლობას გლეხი პირდაპირ უშუალოდ ხედავს და გრძნობს, მასიურად ეწერება. საჭიროა მხოლოდ უჯრედებმა თავიდანვე აწარმოონ პრაქტიკული მუშაობა, დაარსონ რადიო-წრე, მოუარონ არსებულ რადიოაპარატს, რჩევა - დარიგება მისცენ მსურველთ და სხვა.

სხვათაშორის, რადიოს მეტი გავლენა აქვს, აპარატს უფრო უვლიან და ის უფრო უყვართ, როცა ის შეძენილია გლეხების მიერ მოგროვილი ფულით, ვიდრე მაშინ, როცა ის ნაჩუქარია შეფის, კოოპერატივის ან სხვების მიერ.

გლეხები ამბობენ: „დახე ჩვენი კაპეიკი როგორ ყვირის“—ამ საჭიროა რადიოს შესახებ პოპულარული ლიტერატურის გამოცემა.

ჩვენ სავსებით უნდა გამოვიყენოთ ის დიდი გამოცდილება, რომელიც აქვს რუსეთს რადიოფიკაციის საქმეში. ამ გამოცდილებიდან ვიცით, რომ სოფლად, ხშირად ქალაქადაც, რადიო - აპარატი მოუვლელობით ფუჭდება. ის წაიმუშავებს ორიოდე კვირას და შემდეგ აღარ მოქმედებს, რადგან საქმის მცოდნე მომვლელი ადგილებზე არ მოიპოვება. ეს გარემოება კი სახელს უტეხს რადიოს გლეხის თვალში. ასე რომ არ მოხდეს, ადგილობრივ უნდა შეიქნას მცოდნე პირთა კადრები. იქ, სადაც იქნება რადიო - მიმღები, უნდა მოწყობილ იქნეს რადიო საქმის შესასწავლი მოკლევადიანი კურსები. მართალია ამისათვის ნივთიერი საშუალებებია საჭირო, მაგრამ ეს საშუალებები უნდა გამოინახოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მიზანს ვერ მივაღწევთ. სპეციალური კურსების გარდა ლექციები რადიოს შესახებ უნდა იკითხებოდეს კოოპერატიულ, პროფკავშირთა, პარტიულ, კომკავშირულ მასწავლებელთა, ქალთა განყოფილების მუშაკთა და სხვა ამგვარ კურსებზეც. ეს გაადვილებს მუშაობას სოფლის რადიოფიკაციისათვის, ხოლო რამოდენიმე ზედმეტი საათი, რომელიც დაეთმობა მსმენელთათვის ფრიად საინტერესო საკითხს — რადიოს, არ დაამძიმებს კურსების პროგრამას.

ჟ. იმედაძე.

საბჭოთა საქართველო

წერილები

საკრედიტო ამხანაგობათა ტკივილები

(წერილი სენაკიდან)

ჩვენს მაზრაში 7 სარაიონო სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობაა. რაც უფრო დრო გადის, მათი მუშაობაც ფართოვდება, მაგრამ გასულ საოპერაციო წლის მუშაობამ რამოდენიმე ტკივილები გვიჩვენა ჩვენს საკრედიტო ამხანაგობებში.

რა ტკივილებია ეს? გლეხი იღებს სესხს, უნდა ხარი იყიდოს. მას აძლევენ დაახლოვებით ცოცხალი ხარის საფასურს სესხად 6 თვის ვადით. თებერვალში ან მარტში გლეხი ყიდულობს ხარს, ამუშავებს ზაფხულში. მაგრამ გადის 6 თვე—ივლისი და გლეხის კარს ადგება საკრედიტო ამხანაგობის უწყება: თებერვალში რომ სესხი წაიღე—1 აგვისტოს უნდა წარმოადგინო ამხანაგობაში. ბევრ გლეხს შეუძლია გადაიხადოს ვადაზე დროზე. ამისთვის ის მოიმარაგებულია, მაგრამ რა ეყოთ ღარიბ გლეხს, რომელმაც ხარი იმისთვის იყიდა, რომ მოსავალი მოიწიოს, შემოდგომაზე ის ისევ გაყიდოს და სესხი გადაიხადოს? სხვა საშველი მას არ გააჩნია, საკრ. ამხანაგობა ვადას არ უგრძელებს; გლეხი დაწინწალებს და ბოლოს იძულებული ხდება მევახშისაგან აიღოს ფული სესხად და ორმაგი სარგებელი მისცეს ან ისევ ხარს მიუბრუნდეს, ბაზარზე გაიყვანოს და გაყიდოს.

რა გამოვიდა აქედან? დახმარება? მეურნეობისათვის ხელის შეწყობა?

ღარიბი გლეხობა ამ შემთხვევაში ვერაფრით სარგებლობს. მას ექვსი თვე არ ყოფნის.

საკრ. ამხ. ავტორიტეტი ამ დღიდან შეირყა. ცდება. საშუალო გლეხი კი სარგებლობს სესხით. მას ფულიც ჰყოფნის, კარგად ამზადებს და დროზედაც შეაქვს, რადგანაც ამის გასაქანი აქვს.

რა არის საჭირო, რომ საკრ. ამხანაგობები გახდნენ ნამდვილ სასარგებლო ორგანოთ გლეხობისათვის?

საჭიროა სესხი იცემოდეს უკლებლივ და ღარიბ გლეხობაზე არანაკლებ ერთი წლის ვადით.

გარდა ამისა, სას.-სამ. იარაღები უკანასკნელ ხანებში ძლიერ ვრცელდება სოფლად. გუთნები სათესი მანქანები, მათოხები, ვერმორელი, დანები, მაკრატლები და სხვა ბლომათ საღდება გლეხობაში. მაგრამ წინა წლების გამოცდილება გვეუბნება, რომ გლეხობას გუთანს მაშინ ვაძლევდით, როცა მიწები დახნული იყო, მათოხები მაშინ მოგვქონდა, როცა სიმინდის გათოხნა მოთავებული იყო. ეს იყო, ყოველ შემთხვევაში, უმრავლეს შემთხვევაში.

კარგია ეს?

არ ვარგა!

საჭიროა წელს მაინც სას.-სამ. იარაღების მიწოდება დავიწყოთ მარტიდან მაინც.

ამასთან ერთად საკრედიტო ამხანაგობათა იდეის პოპულარიზაცია სოფლად, ამხანაგობის მიზნების შესახებ საუბრების გამართვა გლეხობაში ამხანაგობის მუშაობის შესახებ, საინფორმაციო მოხსენებების გაკეთება და სხვა მეტად მოისუსტებს ჩვენს მაზრაში. იარაღების გავრცელების შესახებ პროპაგანდა არ სწარმოებდა სათანადოთ, სოფელმა კანდიდატად იცის ყველა ამათ შესახებ.

საკრ. ამხ. გამგეობები გულზე ხელდაკრეფილნი ისხდნენ მთელი წლის განმავლობაში და ამ მხრივ არაფერი გაუკეთებიათ.

გარდა ამისა ძალიან სუსტად შემოდის ანაბრები. ჩვენი მაზრის გლეხობას აქვს ცოტა შენახვი ფული. ის განზე ასხებს მას და ამხანაგობაში არ შემოაქვს.

რომ იყოს სწორი მიდგომა ამ საკითხისადმი ამხანაგობათა გამგეობისაგან—ანაბრები ბევრი შემოვიდოდა.

ხშირია შემთხვევა, რომ ჩვენს ამხანაგობებში წევრებად ასეთი პირები ირიცხებიან, რომელთაც წესდებით ამის უფლება არა აქვთ: მოსამსახურეები, ვაჭრები, მიწოლა გლეხები და სხვა. ასე იყო მაგ. სენაკის საკრ. ამხანაგობაში, სადაც გაწმენდის შემდეგ, 80-მდე წევრი გარიცხეს.

ეს ხალხი: მოსამსახურეები და სხვა ხელს უშლიან გლეხებს სესხის მიღებაში, რადგანაც ესენი ყოველთვის ახერხებენ სესხის აღებას, ხოლო გლეხები არა. ამიტომ ირღვევა გლეხების ინტერესები.

რა არის საჭირო, რომ ეს არ მოხდეს?

საჭიროა თითეულ წევრის კარგათ შესწავლა, გასინჯვა, გაცხრილვა და გამოყრა ყველა იმათი, ვისაც სოფლის მეურნეობა მთავარ წყაროდ არა აქვს.

გ. უჩანეიშვილი.

მადლობა ღარიბ სკოლიდან

(გოგიეთი, გურია)

1927 წ. იანვრის რიცხვებში, შესდგა ოზურგეთის რაიონის მასწავლებელთა კონფერენცია, რომელსაც ესტუმრა ამხ. მარ. ორახელაშვილი. მასწავლებლობა აღფრთოვანებით მიესალმა ძვირფას სტუმარს. კონფერენციის დასრულების შემდეგ ამხ. მარ. ორახელაშვილმა დაათვალიერა სკოლები. გაეცნო მათ მუშაობის პირობებს და. გაითვალისწინა რა მეტად უმწეო მატერიალური მდგომარეობა, საჭირ. სცნო სკოლებისათ. დახმ. გაეწია, რაც სისრულეში მოიყვანა არ იქნა დავიწყებული არც პატარა და ღარიბი სოფელ გოგიეთის სკოლა, სადაც მოვიდა ამხ. მარიამ ორახელაშვილის მიერ გაწეულ დახმარების წყალობით, რომელიც დიდ შეღავათს წარმოადგენს ჩვენი სკოლისათვის. გლეხები, მოწაფეები და მასწავლებლები უღრმეს მადლობას უძღვნიან საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატს, ასეთ მნიშვნელოვან დახმარებისათვის.

ფლორენცია ქუთნია.

მუშათა ცხოვრება

„ფასები ყველაფერზე დაკლებულია“

მრავალ კოოპერატივებში და სხვა სახელმწიფო სავაჭროებში ვხედავთ ჩვენ დღეს გამოკრულ განცხადებებს: „ფასები ყველაფერზე დაკლებულია“ საქონელზე ფასების დაკლებას დიდი ხანია მოაქცია პარტიამ და ხელისუფლებამ დიდი ყურადღება და აი დღეს ჩვენ უკვე ვხედავთ ამის ნაყოფს. ბევრი საქონელი გაიაფდა, ბევრი საგრძნობი მიღწევებია ამ დარგში. მუშა-მშრომლები ამ მოვლენას სიხარულით ხვდებიან. მაგრამ ჯერ კიდევ ზოგიერთი ტრესტი და კოოპერატივი, როგორადაც გამოხმებული არიან [illegible] არ იღებენ.

დღეს კერძო ვაჭრებმაც კი აუღეს ალღო შექმნილ მდგომარეობას და იმათ სავაჭროებშიც ხშირია განცხადებები: „ფასები ყველაფერზე დაკლებულია“, ხოლო ზოგი ტრესტი და კოოპერატივი კი რაღაცას ელოდება. ის ვეღარ უძლებს კონკურენციას კერძო მოვაჭრეს რომელმაც მის გვერდში საქონელი გააიაფა.

მაგალითისათვის მოვიყვან გორის ხე-ტყის საწყობის ფასებს.

ამ ტრესტში მაგალითად სახურავისათვის ასე საჭირო „შიტკა“ იყიდება ასი ცალი 60 კაპ. კერძო სავაჭროში კი 30 კაპ. ამდენივე „შიტკა“. ასეა სხვა მასალის ფასებიც. ხე-ტყის მასალა აწყვია საწყობში, ლპება, ფუჭდება. მყიდველი რა თქმაა მიდის კერძო საწყობში და იქ იაფად ყიდულობს. ტრესტს აქვს ხარჯები, ვაჭრობა კი არაა გასავალი იზრდება და ბოლოს ტრესტი იხურება. სახელმწიფო ზარალობს. უნდა ითქვას, რომ დღეს ხე-ტყის მასალის ფასები ძალზე დიდია. ამ მასალას კი დღეს დიდი მოთხოვნილება აქვს, გვაკლია ბინები.

ამიტომ უნდა ვეცადოთ ასეთი მასალა რაც შეიძლება გავაიაფოთ. ბევრ მუშა-მშრომელს სურს გაიკეთოს პატარა ბინა-ქოხი, მაგრამ ეს შეუძლებელი ხდება, როცა 12 არშინი ფიცარი ფასობს 12—14 მან. და სახურავისათვის ასე საჭირო „შიტკა“ კი მამასისხლათ ღირს.

საჭიროა ამ დარგისათვის მეტი ყურადღების მიქცევა, ფასების გადასინჯვა. საწყობში მასალის დალპობას სჯობია იაფ ფასებში გაიყიდოს. ამით კოოპერატივი კონკურენციას გაუწევს კერძო ვაჭრებს. გავაიაფებთ ამ მასალას კერძო სავაჭროებშიც და ასე მივცემთ საშუალებას ხელმოკლე მოსახლეობასაც ხელი მოჰკიდოს ქოხ-ბინების აშენების საქმეს.

მუშკორი დუღაბი.

აღადგინეთ დისციპლინა

სულ რამოდენიმე დღეა, რაც სამგზავრო მატარებლებში მუდმივი რევიზიები მოისპო; მაგიერად შემოღებული ქნა მოულოდნელად სამგზავრო ბილეთების გასინჯვა. ეს სისტემა სასარგებლოა და მას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია, თუ რონოდების გამცილებლები და მემუხრუჭენი თავის მოწოდების სიმაღლეზე იდგომებიან, როგორც ცოდნის, ისე შრომის მხრივაც. სამწუხაროთ ყველა მემუხრუჭენი და გამცილებლები არ დგანან თავის სიმაღლეზე. მიმდინარე წლის 15 მარტს ფოთიდან მომავალ მატარებელში № 9 სადგ. გ-რში მოულოდნელ რევიზიის მიერ რონოდაში № 2197 აღმოჩენილ იქნენ უბილეთო მგზავრები: ჩაგარიანსკი, გარიანი და მაცგოვი. ამ უკანასკნელთ აღმოაჩნდათ ბილეთი № 100753 სამტრედიიდან შორაპანმდე. როგორც სჩანს მგზავრები ჩამომსხდარან მატარებელში სამტრედიაში, ბილეთებით უმგზავრიათ მათ შორაპანმდე—აქეთ კი გორამდე უბილეთოთ აღნიშნული მატარებელი დაგვიანების გამო სადგ. მოლითიდან უკვე დღით მოდიოდა და თუ ღამით „არ შეუძლო“ გამცილებელს ბილეთების გასინჯვა რატომ დღისით რვა სადგური გამოიარა ისე, რომ მგზავრებს ბილეთები არ გაუსინჯა.

საჭიროა ასეთ მოვლენებს მიექცეს სერიოზული ყურადღება.

მ. მეღვარი.

მოგვაწოდეთ გაზეთები დროზე

ვერ იქნა და ვერ მოწესრიგდა გაზეთების თავის დროზე მიწოდება მკითხველებისათვის. მუშების უმრავლესობას სახლებში აქვთ გამოწერილი გაზეთები, მისთვის რომ მუშას წარმოებაში არც დრო აქვს წაიკითხოს და მიიღოს გაზეთი და არც წაკითხვისათვის სცალიან მუშაობის დროს. ამისათვის უმრავლესობას სახლებში აქვთ გამოწერილი გაზეთები. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ სახლში გამოწერილ გაზეთითაც ვერ სარგებლობს მუშა თავის დროზე. ამ ბოლო ხანებში ჩვენი გაზეთის დამტარებლებმა თითქმის უნდა აიღებინონ მკითხველებს ხელი გაზეთის კითხვაზე. განა გაზეთი ნაშუადღევის 4 საათზე უნდა მიიღოს მკითხველმა? თუ გაუბედეთ და უთხარით, თუ რათ მოაქვთ ასე გვიან, ვაი თქვენი ბრალი. გარდა ამისა კვირაში ერთი ან ორი გაზეთიც უნდა დაგვაკლდეს.

ვისაც ჯერ არს ყურადღება მიაქციეთ.

ვ. გვარამაძე.

ქალბატონი „პროტექცია“ რკინის გზაზე!

რკინის გზაზე არის ერთი დიდი სადგური—განჯა.

ამ სადგურზე არის ორთქლმავალთა საყუდი. ამ საყუდს ყავდა ერთი ვარდიმანდი უფროსი—ინჟენერი ინასიანი.

ისე სადგურის საქმეებს არ აქცევდა ის ინჟენერი ყურადღებას, როგორც ქეიფსა და მუშტ-კრივს.

ერთხელ ამ რაინდმა თბილისის სადგურის წინ ჩხუბი აუტეხა მორიგე მილიციელს და სილაც გააწნა, რისთვისაც ის ბოლო მთვრალი მიიბანეს მილიციის სამმართველოში, მაგრამ დატრიალდენ ქალბატონი „პროტექციები“ და ჩქარა განთავისუფლეს მიჩხუბარი რაინდი.

ამის შემდეგ არ გაუვლია დიდ ხანს და ამავე რაინდმა შეურაცხყოფა მიაყენა განჯის სადგურის მეისრეს მორიგეობის დროს. აქ საქმე ვეღარ მიმალეს, მან მიაღწია სასამართლომდი და როგორც გაზეთებმა გადმოგვცეს სასამართლომ მიუსაჯა ინასიანცს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა.

ჯერ კიდევ არ გასულა სამი თვე და ინასიანი უკვე თავისუფალია.

ალბათ ქალბატონი პროტექცია აქაც დატრიალდა. ამბობენ ინასიანცს ჩქარა ნახავთ ძველ დარგში კარგს ადგილზეო.

ქება—დიდება ქალბატონ პროტექციის საქმიანობა-უნარიანობას, ჩვენს რკ. გზ. ყველაფერი შესაძლებელია.

მუშკორი № 00.

მუშათა ქრონიკა

— **საჩვენებელი სამედიატორო გასამართლება.** 26 მარტს, დღის 1-ლ საათზე სად. თბილისის კონდუქტორთა აუდიტორიაში შესდგება მუშკორ „მაყურებლის“ და პირზატიანცის საჩვენებელი-სამედიატორო გასამართლება. სად. თბილისის მოძრაობის დარგის კედლის გაზეთ „ნიშან-ხელტი“-ს მე-15-ე ნომერში მოთავსებულ წერილის „ქათმების სპეკულანტი“-ს გამო.

— **ახალი წიგნები.** რკინის გზის ადგილკომები მუშა-მოსამსახურეებს უკვე ურიგებენ ახალ კავშირის წიგნაკებს.

— **წარმოდგენა.** შაბათს, 26 მარტს ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში ადგილობრივ დრამწრის მიერ წარმოდგენილ იქნება ნ. ნაკაშიძის 4 მოქმ. პიესა „ვინ არის დამნაშავე“.

— რკინის გზის გამგეობამ დაადგინა სალიანდაგო დარგისათვის გაიღოს 10.000 მან. საწარმოო თათბირების დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლათ.

— **ადგილკომის გადარჩევა.** სად. რუსთავის საერთო კრებაზე მოხდა ადგილკომის გადარჩევა. ახალ ადგილკომში არჩეულ იქნენ: გ. ციმაკურიძე, ნ. სეჭაშვილი, ა. ქსოვრელი, ა. ზაზარაშვილი და კილასონია.

— **კედლის გაზეთი.** სალიანდაგო სამმართველოს კულტკომისიამ გამოუშვა კედ. გაზეთის მე—30 ნომერი „წითელი ლიანდაგი“.

წითელ ჯარში

როგორ ჩატარდა ქართული წითელი ჯარის დღე

ყაზარმაში

წითელი ყაზარმა ადრევე შეუდგა მზადებას ქართულ წითელ ჯარის დღესასწაულის ჩასატარებლად.

ახალგაზრდა წითელ არმიელთა გასაცნობათ ქართული ჯარის ისტორიასთან და მის წარსულ მუშაობასთან ლენინის კუთხეში სწარმოებდა საუბრების ჩატარება, ხმა მაღლა კითხვა და იმართებოდა სპეციალური საღამოები ასეულების ფარგლებში.

წითელ არმიელების მიერ შექმნილ იქნა ჯგუფები, რომლებიც ამუშავებდენ სხვადასხვა მომენტებს ქართულ ჯარის ცხოვრებიდან, მის მიღწევებს და სხვა. შემდეგ ეს დამუშავებული მასალა გადმოქცეოდა მასაში.

21 მარტისათვის ყაზარმები მორთულ იქნა პლაკატებით და ლოზუნგებით. მოწყობილ იქნა გამოფენა ლიტერატურის, რომელიც ეხებოდა ქართულ ჯარს. გამოფენილი იყო აგრეთვე დიაგრამები და სხვა მასალა, სადაც ნათლად იყო ნაჩვენები ქართულ ჯარის მიღწევები სამხედრო და პოლიტიკურ-კულტურულ დარგებში.

21 მარტისათვის გამოშვებულ იქნა ლეგიონის და ასეულების ფარგლებით კედლის გაზეთების სპეციალური ნომრები.

21 მარტს საღამოთი ქართულ ჯარის ნაწილების კლუბებში შესდგა საზეიმო სხდომები, რომლებსაც მრავლად დაესწრენ მუშები. კრებებზე გაკეთებულ იქნა მოხსენებები ქართულ ჯარზე. მის აღმშენებლობაზე და მოსახლეობის გასამხედროებაზე.

კრებების შემდეგ წითელ არმიელთა ძალებით გამართულ იქნა მხატვრული საღამოები და ნაჩვენები იქნა კინო-სურათები წითელი ყაზარმის ცხოვრებიდან.

წვევამდელთა წერტებზე

წვევამდელთა წერტებზე, სადაც მეცადინეობენ 1906 წელში დაბადებული ახალგაზრდები, ქართული წითელი ჯარის არსებობის 6 წლის თავი აღნიშნულ იქნა მოხსენებების ჩატარებით წითელ ჯარის ისტორიაზე და მისი მომავალი ამოცანებზე.

წვევამდელ ახალგაზრდების მიერ გამოშვებულ იქნა კედლის გაზეთები, მიძღვნილი ქართული ჯარის 6 წლის თავისადმი.

ზოგიერთ წერტზე მოეწყო წვევამდელთა ძალებით საღამოები.

სამხედრო კუთხეებში

სამხედრო კუთხეების მიერ სოფლად ქართულ წითელ ჯარის დღესასწაული სათანადოთ იქნა აღნიშნული.

კუთხეებში წინასწარ ტარდებოდა საუბრები დღესასწაულის ირგვლივ. საუბრებს გლეხობა ესწრებოდა ხალისით.

დღესასწაულის ჩატარებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ცვალებადებმა და უვადო შვებულებაში მყოფ წითელ არმიელებმა.

სამხედრო კუთხეების მიერ მოწყობილ საღამოებზე შვებული წითელი არმიელები გამოდიოდნენ სიტყვებით, სადაც ისინი აღნიშნავდნენ ყაზარმის მიღწევებს და მადლობით იხსენიებდნენ წითელ ჯარს, რომელმაც მათ შესძინა სოფლისათვის საჭირო ცოდნა.

სოფლად დღესასწაულის ჩატარება მოსახლეობის გასამხედროების ლოზუნგ ქვეშ.

ი.

თბ. საბჭოს სექციებში

გუშინ, საღამოს შესდგა თბილისის საბჭოს ყველა სექციების მორიგი სხდომები.

კომუნალური სექცია

კომუნალური სექციის მორიგ სხდომაზე კომუნალური განყოფილების და მის წარმოებათა მუშაობა გასულ წლის განმავლობაში სექციის წევრებს გააცნო ამხ. ახრიევმა, რომელმაც მოკლე მიმოხილვა გაუკეთა ტრამვაის, წყალსადენის აბანოების, სასაკლაოს კეთილმოწყობის დღევანდელ მდგომარეობას.

შემდეგ სექციამ დაამტკიცა თავისი მუშაობის გეგმა უახლოეს სამი თვისათვის. გეგმაში შედის: 1) ტრამვაის და აბანოებზე ტარიფის დაკლების საკითხი, 2) ზაჰესის ენერგიის ტარიფი, 3) საბინაო მშენებლობის პერსპექტივები, 4) საბჭოთა სახლების მდგომარეობა და ექსპლოატაცია, 5) კომუნალური წარმოებათა მუშაობა, 6) კეთილმოწყობ განყოფილების მუშაობა ბიუჯეტის მიხედვით, 7) ახალი წყალსადენის საკითხი, 8) ანგარიშები იმ კომისიების, რომელნიც იმუშავებენ ამ საკითხებზე, 9) სახანძრო საქმე და სხვა.

განათლების სექცია

განათლების სექციამ თავის უკანასკნელ სხდომაზე პირველად განიხილა საორგანიზაციო საკითხები. სექციის ბიუროს თავმჯდომარედ აირჩია ამხ. **ხულაქველიძე**, მის მოადგილედ ან. **ქიქოძე**.

შემდეგ სექციამ დაამტკიცა სამი თვის (1927 წლის მარტის, აპრილის და მაისის) მუშაობის გეგმა, რომელშიდაც შედის შემდეგი მოხსენებები: 1) ინსტრუქტორების, მათი მუშაობის შესახებ, 2) პოლიტ - განათლების მუშაობის, 3) სკოლებში საზოგადოებრივ - სასარგებლოთ მუშაობის შესახებ, 4) სასკოლო შენობათა შეკეთების საკითხი, 5) მოხსენება დამხმარე საბჭოების მუშაობის შესახებ, 6) ბავშვთა თვითმმართველობის საკითხი, 7) მოხსენებები სასწავლო წლის დამთავრებისა და ახალი სასწავლო წლის დასაწყისის შესახებ, 9) განათლების განყოფილების საზაფხულო მუშაობის გეგმა, 10) სექციის წევრების მიერ სკოლების დათვალიერება და მათი მოხსენებები. გეგმის დამტკიცების შემდეგ სექციის წევრები მიმაგრებულნი იქნენ სკოლებზე, საბავშვო, ბაღებზე და განათლების განყოფილების სხვა დაწესებულებებზე. დასასრულ სექციამ მოისმინა განათლების განყოფილების მთავარი ინსტრუქტორის ამხ. ხრისტოლუბოვის მოხსენება ინსტრუქტორების მიერ ჩატარებულ მუშაობის შესახებ.

საფინანსო სექცია

საფინანსო სექციამ მოისმინა და დაამტკიცა სამი თვის მუშაობის გეგმა, რომელშიდაც შედის: მოხსენებები აღმასკომის ბიუჯეტის მდგომარეობის შესახებ, ორი საინსტრუქციო მოხსენება საერთო საფინანსო საკითხების შესახებ და მოხსენება საერთო საგადასახადო პოლიტიკის და კერძოთ თბილისის აღმასკომის გადასახადების შესახებ.

სექციის დადგენილებით აღმასკომის დაწესებულებისა და მის წარმოებათა ფინანსიურ საქმიანობის გამოსარკვევად და შესასწავლად არსდება ოთხი მუდმივი კომისია: განათლების, ჯანმრთელობის, საერთო ადმინისტრატიულ განყოფილების. კომუნალური მეურნეობის, ბანკის და თბილისის ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის. ამავე სხდომაზე მოხდა სექციის წევრთა მუდმივ კომისიებში ჩაწერა.

ჯანმრთელობის სექცია

ჯანმრთელობის სექციამაც მოისმინა და განიხილა მუშაობის გეგმა მიმდინარე წლის მარტის, აპრილისა და მაისისათვის.

ზაჰესის ამუშავების წინ

(საუბარი პროფ. ი. ი. კუკოლევსკისთან)

19 მარტს საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დავალებით თბილისში ჩამოვიდა ცნობილი სპეციალისტი ელექტრო-ტექნიკის დარგში **პროფ. ი. ი. კუკოლევსკი**. მისი ჩამოსვლის მიზანია საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დავალება, რომ ადგილობრივ გამოარკვიოს მოწყობილობის და მონტაჟის დეფექტები, რომელნიც ხელს უშლიან ტურბოგენერატორების ამუშავებას და მისცეს აუცილებელი დირექტივები ამ დეფექტების გამოსასწორებლად, ან, თუ საჭირო იქნება, გამოარკვიოს სხვაგვარი ზომების მიღების საჭიროება.

19, 20 და 21 მარტს, პროფ. ი. ი. კუკოლევსკიმ დაათვალიერა ზაჰესის ყველა მოწყობილობანი.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში მან განაცხადა შემდეგი:

უპირველეს ყოვლისა, მე უნდა ვთქვა, რომ იმ ნერვიულობას, რომელიც შექმნა ზაჰესის ირგვლივ, არავითარი საფუძველი არ აქვს. არა მარტო ჩვენს შედარებით ღარიბ ტექნიკას, არამედ გამოცდილებით მდიდარი დასავლეთ-ევროპის ტექნიკასაც კი არ შეუძლია დაწესოს მუშაობის დამთავრების და ექსპლოატაციის დაწყების სწორი ვადები ტექნიკურ მოწყობილებათა დარგში. ზაჰესში კი, გარდა იმისა, რომ ჩვენ საქმე გვაქვს საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უდიდეს ჰიდრო-ელექტრო სადგურის მოწყობასთან, ჩვენ ვამოწმებთ ჩვენს პირველ ნაბიჯებს საბჭოთა ტურბინების დამზადების დარგში.

როგორია მუშაობის მდგომარეობა ზაჰესში და როდის მიიღებს თბილისი პირველ ელექტრო დენს?

ზაჰესში მოწყობილ 4 ტურბინიდან, ელექტრო-დენის შეუწყვეტლად მიწოდებისათვის თბილისში [illegible] ზომდე, მხოლოდ ერთი ტურბინი.

მაგრამ ელექტრო დენის შეუწყვეტლად მიწოდება მოითხოვს სათადარიგო ტურბინის სამუშაოდ მომზადებას. დანარჩენი ორი ტურბინა, მაშასადამე, საჭიროა როგორც ელექ. ენერგ. მოხმარებ. გაფართოებისათვის, ისე იმისათვის, რომ ისინი გამოყენებულ იქნან შესაძლებელ კატასტროფის დროს (ვოლხოვსტროის მაგალითი).

მთავარ ელექტრო-ტრესტსაც აღელვებდა სადგურის ამუშავების დაგვიანება, და როცა დავალება მივიღე, მე ვფიქრობდი, რომ აქ, ადგილობრივ მე წავაწყდებოდი სიძნელეებს, რომელთა დაძლევა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ტურბინების მოწყობის საფუძვლიანი შემოწმების შემდეგ. მაგრამ ეს ასე არ აღმოჩნდა, და მე უნდა განვაცხადო, რომ სამივე ტურბინა, რომელთა დადგმა დამთავრებულია (მესამე ეხლახან დაიდგა—მეტად კარგ მდგომარეობაშია.

დიდი დაგვიანება, რასაკვირველია, აიხსნება არა იმით, რომ ტურბინებს გადაკეთება დასჭირდა; ეს აიხსნება მხოლოდ იმ გარემოებით, რომ თვით ისეთ მეტად უმნიშვნელო ცვლილებას, როგორიც არის ზეთსადენის გადაკეთება, რაზედაც ადგილობრივ პრესაშიაც სწერდნენ—დიდ დროს მოითხოვს.

ამრიგად, ტურბინები მზად არის ელექტროდენის გასაშვებად. სულ ახლო მომავალში ზაჰესი გამოუშვებს პირველ საცდელ ნაკადს 37,000 ვოლტის ძინვით. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ცდის შემდეგ დაიწყება ელექტრო-ნაკადის განუწყვეტელი ნორმალური გამოშვება და ახლო მომავალში დაიწყება ზაჰესის ექსპლოატაცია.

პური

ამიერ-კავკასიაში

(საუბარი ამხ. ლობაჩოვთან)

გუშინ, თბილისში ჩამოვიდა „ხლებოპროდუქტის“ გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ლობაჩოვი, რომელმაც ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში განაცხადა შემდეგი:

ამიერ - კავკასიაში პურის შემოზიდვა სწარმოებს გათვალისწინებულ გეგმის მიხედვით.

ამჟამად პურის დამზადება ჩრდილოეთ კავკასიაში ნაწილობრივად შეჩერებულია. ამის გამო ამიერ - კავკასიაში პურის შემოტანა იწარმოებს ვოლგიდან.

1925—26 წ. ა.-კავკასიაში შემოტანილი იქნა 4 მილიონი ფუთი პური.

მიმდინარე წელს შემოტანილი იქნება 7 მილიონი და ორასი ათასი ფუთი პური, ხოლო მომავალ წელს კი 8 მილიონი ფუთი.

ეხლა ა.-კავკასიის პურით მომარაგების გეგმა შესრულებულია 125 პროცენტით.

ქარხნების გადაცემა

დღეს დასავლეთ საქართველოში მიემგზავრება ს. მ. უ. ს. განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც შედიან ამხ. მზარეულიშვილი, ინჟ. ვაჩნაძე და ინჟ. მარჯანოვი.

კომისიის მიზანია ზოგიერთი ახლად აგებული ქარხნების გადაცემა ადგილობრივი აღმასკომებისათვის და მომავალში ასაგები ქარხნებისათვის ადგილების არჩევა. კომისია ჩამოივლის სენაკის, ოზურგეთის, ქუთაისის და ხონის რაიონებს. ოზურგეთში კომისია დაათვალიერებს ახლად აგებულ კაკლის სარჩევ ქარხანას და ჩააბარებს მას ოზურგეთის სამაზრო აღმასკომს. ხონში დათვალიერებულ და შემოწმებული იქნება ადგილობრივი აბრეშუმის სახვევი ქარხანა.

ქუთაისის და სენაკის რაიონებში კომისია აარჩევს ახალი ქარხნების აგების ადგილებს. სენაკის მაზრაში განზრახულია აგურ-კრამიტის ქარხნის აგება, ხოლო ქუთაისის მაზრაში—კირის ქარხნის.

კომისიის განზრახვა აქვს მთელი აღნიშნული სამუშაოები დაასრულოს ათი დღის განმავლობაში.

ყრილობები და თათბირები

წითელი ჯვრის რწმ. ყრილობა

მე-3 და მე-4 სხდომები

20 მარტის დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა მოხსენებები: ამხ. გ. ნუცუბიძისა—საორგანიზაციო-საინსტრუქტორო და მომარაგების განყოფილების მუშაობაზე ამხ. ი. ქუთათელაძის—საფინანსო-სამეურნეო მუშაობაზე, ექ. ძიძაძის—საექიმო-სასანიტარო განყოფილებების 1925-26 წ. საქმიანობის შესახებ და სარევიზიო კომისიის მოხსენება.

ამხ. ნუცუბიძის მოხსენებიდან სჩანს, რომ საორგანიზაციო-საინსტრუქტორო და მომარაგების განყოფილების განმგებლობაში იმყოფება: საორგ.-საინსტრუქტორო საქმე, აფთიაქის მაღაზია, აფთიაქის საწყობი, აფთიაქი. სტამბა და ტრანსპორტი.

საორგ.-საინსტრ. განყოფილების საქმიანობა საანგარიშო პერიოდში გამოიხატა საზოგადოების პოპულარიზაციაში, წევრთა მოზიდვაში და საზოგადოების ძირითად ქსელის გაფართოებაში.

ამხ. ქუთათელაძის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ უმთავრეს საშემოსავლო წყაროებს შეადგენდა საანგარიშო პერიოდში პროცენტული ანარიცხები: კინოებიდან, რკინის გზიდან, პროცენტები კაზინოებიდან, საკონსულო და პასპორტების გადასახადი და შემოსავალი საწარმოო დაწესებულებებიდან. გარდა ამ წყაროებისა საზოგადოებას შემოუვიდა თანხები სხვა წყაროებიდანაც და მთელი შემოსავალი 1925-26 წ. გამოიხატა—284.221 მან. 47 კაპ., ხარჯთაღრიცხვასთან შედარებით დანაკლისი გამოიხატა—36.349 მან. 48 კაპიკში. 1924-25 წ. შედარებით შემოსავალი გადიდებულია—44 პროცენტით. საერთო ხარჯი საანგარიშო წლის განმავლობაში უდრიდა 277.201 მან. 11 კაპ. თანხების უმეტესი ნაწილი დაიხარჯა საექიმო-სასანიტარო საქმეზე.

ექ. ძიძაძე ეხება რა საზოგადოების ცეკას მოღვაწეობას საექიმო სასანიტარო დარგში აღნიშნავს, რომ საზოგადოების მუშაობის მთავარ ცენტრს შეადგენდა ეს მხარე, რაც გამოიხატა მოსახლეობისათვის, უპატრონო ბავშვებისათვის და პიონერთათვის საექიმო დახმარების აღმოჩენაში და სოციალურ სენებთან ბრძოლაში. ეს ბრძოლა სწარმოებდა საექიმო პუნქტების და სამალარიო ექსპედიციების საშუალებით.

საანგარიშო წლის ბოლოს მთელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე ითვლებოდა 47 საექიმო-სასანიტარო დაწესებულება, რომლებშიაც გატარდა 78.192 ავადმყოფი.

საზოგადოების მიზანს შეადგენს დისპანსერიზაციის გატარება საექიმო დაწესებულებებში. ეს საქმე საანგარიშო პერიოდში ვერ ჩატარდა.

უფრო მოსახერხებელი შეიქმნა სასანიტარო-საგანმანათლებლო საქმიანობის წარმოება, რაც გამოიხატა ლექციების ჩატარებაში და პოპულარულ ბროშიურების გამოცემაში.

საექიმო-სასანიტარო საქმეზე 1926 წელს დაიხარჯა 152.897 მან. ანუ მთელი შემოსავლის 55.34 პროც.

ექ. ძიძაძის მოხსენების შემდეგ ყრილობამ მოისმინა სარევიზიო კომისიის მოხსენება.

თბილისის მუშკოოპის რწმუნებულთა კრება

მეორე დღე.

კამათი გამგეობის მუშაობის გარშემო.

მეორე დღის დილის სხდომაზე გაიმართა კამათი მუშკოოპის გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენებათა გარშემო. ორატორებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა ყურადღება მიექცეს მუშათა უბნებში კოოპერაციის ქსელის გაფართოების საკითხს, მასთან კავშირის გაძლიერებას და კულტურულ მუშაობის გაფართოებას. ამისათვის საჭიროა წარმოება-დაწესებულებებთან მოეწყოს კოოპერატიული კუთხეები, გამოიცეს შესაფერი ლიტერატურა და სხვა.

ორატორთა აზრით, წვრილ სადუქნო კრედიტთან ერთად ნისიად უნდა გაიცეს აგრეთვე ჭურჭლეულობაც. ორატორები საჭიროდ სთვლიან აგრეთვე მეტი ყურადღება მიექცეს პაის შეგროვების და პაის გადიდების საკითხებს, ნოქრების მიერ მუშათა მიმართ თავაზიან მოპყრობას, ზოგიერთ წევრებს შორის სპეკულაციის აღმოფხვრას და სხვ.

კამათის დასრულების შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვეს ამხ. ერისთავმა და კორენევმა. მუშკოოპის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენებათა გამო რწმუნებულთა კრებამ მიიღო შემდეგი

რეზოლუცია:

მოისმინა რა მუშკოოპის და სარევიზიო კომისიის მოხსენება 1925—26 წლის მუშაობის შესახებ, მუშკოოპის რწმუნებულთა მეცხრე კრება ადგენს: ანგარიში დამტკიცდეს და მუშკოოპის გამგეობის და სარევიზიო კომისიის საქმიანობა დამაკმაყოფილებლად იქნეს ცნობილი.

რწმუნებულთა კრება აღნიშნავს, რომ 1925—26 წლის მოგება 277.237 მანეთი და 3 კაპეიკი სისწორით არის გამოანგარიშებული. კრება ადგენს: ეს თანხა განაწილებულ იქნას შემდეგნაირად: 25 ათასი მანეთი გადაიდვას პრემიებისათვის, 6.931 მანეთი გამოიყოს ღარიბებს მუშა-მოსამსახურეთა მისაღებად კოოპერაციაში, 6.931 მანეთი მოხმარდეს კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას. დანარჩენი თანხა—238.375 მანეთი 3 კაპეიკი გადაირიცხოს მუშკოოპის ძირითად თანხაში.

ულირს წევრების გამორიცხვა მუშკოოპიდან

დასასრულ კრებამ მოისმინა ამხ. ხვედელიძის მოხსენება მუშკოოპის ზოგიერთ წევრების ულირს საქციელის შესახებ. მომხსენებლის გადმოცემით ფართლეულობის ნაკლებობის გამო მუშკოოპის ზოგიერთმა წევრმა სპეკულიაციას მოჰკიდა ხელი, ისინი მუშკოოპიდან ყიდულობენ ფართალს და ყიდიან კერძო პირებზე. საწევრო წიგნაკში შლიდენ აღნიშნულ თარიღს ფართლის წაღების შესახებ და მუშკოოპიდან გამოქონდათ საქონელი განმეორებით. მუშკოოპის გამგეობის მიერ მიღებული ზომებით დღემდე დაჭერილია 64 ასეთი წევრი, რომელთაც ჩამოერთვათ წიგნაკები. დასასრულ მომხსენებელი საჭიროდ სცნობს სასტიკი ზომების მიღებას ასეთი წევრების წინააღმდეგ.

რწმუნებულთა კრებამ დაადგინა 64 კაციდან მუშკოოპიდან გამოირიცხოს ხუთი, ხოლო დანარჩენ 59-ს გამოეცხადოს გაკიცხვა და მიეცეს უკანასკნელი გაფრთხილება.

მუშკოოპის ახალი გამგეობა

მუშკოოპის გამგეობაში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: გ. ზოლქვაძე, ერისთავი, მაგანია, მელნიჩსკი და დუდაევი.

სარევიზიო კომისიაში: ამხ. ორლოვი, კორენევი, შახმუდაროვი, ჩიხლაძე და ჯაიანი.

მუშკოოპის რწმუნებულთა საბჭოში აირჩიეს საბჭოს თავმჯდომარეთ ამხ. მ. კახიანი, წევრებად: სვანიძე, ახობეკოვი, ს. ჯულელი, სუხიშვილი, ივანიც - კავკასკი, ყურულაშვილი, ბუკრეევი, ტოროშელიძე, ბუაძე; დუმბაძე; თავდგირიძე, აჟანოვი, მ. იკუჯავა, ვართანოვი, იზოლინი, ფანცულაია, ცლინტი და სხვ.

სახანძრო ინსტრუქტორების თათბირი

პირველი სხდომა

გუშინ, საღამოს, შინაგან საქმეთა სახკომისარიატის შენობაში გაიხსნა საქართველოს სახანძრო ინსტრუქტორების პირველი თათბირი.

საქმიან პრეზიდიუმში აირჩიეს ამხანაგები: ალ. ბერიძე, გოგოლაძე და კოლჩევსკი.

პრეზიდიუმის საპატიო წევრად აირჩიეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. შ. მათიკაშვილი.

დღის წესრიგისა და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ თათბირმა მოისმინა წერილობითი მისალმებანი ქუთაისის, ბათომის და ოზურგეთის მოხალისე მეხანძრე საზოგადოებისაგან.

მისალმებების შემდეგ თათბირმა მოისმინა მოხსენება.

ინსპექციის მუშაობის შესახებ

(ა. ბერიძის მოხსენება)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს გასაბჭოებამდე სახანძრო რაზმი არსებობდა მხოლოდ თბილისში, ქუთაისში და ბათომში.

გასაბჭოების შემდეგ სახანძრო საქმეს საქართველოში მტკიცე საძირკველი ჩაეყარა.

1925 წ. დაარსდა სახანძრო რაზმები მაზრებში.

სახანძრო საქმის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად გახსნილი იქნა სახანძრო კურსები.

სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო სახანძრო საქმეებისათვის იძლევა მოგების 20 პროცენტს.

სახანძრო ინსპექციამ 1922 წელში მიიღო სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოდან — 16.000 მანეთი, 23—24 წ. კი — 33.000 მანეთი, 24—25 წ. გვერგება 26.000 მან. ხოლო 25—26 წ. კი მისაღები გვაქვს 21.000 მანეთი.

მიღებული თანხით შეძენილ იქნა ცეცხლის საქრობი იარაღები.

იარაღები უკვე გაეგზავნა მაზრების სახანძრო რაზმებს.

ამ დღეებში სახანძრო რაზმებს მაზრებში დაეგზავნებათ ცეცხლის საქრობ იარაღების დიდი პარტია.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მიღებულია ზომები ქუთაისის სახანძრო რაზმისათვის 1 ან 2 ავტომობილის შესაძენად.

მომხსენებელს მისცეს შეკითხვები, რაზედაც ამომწურავი პასუხი გასცა.

კამათი

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

კამათში მონაწილე ამხანაგები აღნიშნავდენ, რომ ამჟამად სახანძრო ინსპექციას—ხანძართან ბრძოლის საქმეში დიდი მიღწევები აქვს.

ამხ. კოლჩევსკის მოხსენება

შემდეგ მოხსენება წაიკითხა ამიერ - კავკასიის რკინისგზების სახანძრო რაზმის უფროსმა ამხ. კოლჩევსკიმ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეხლა დიდი ყურადღება აქვს მიქცეული წინასწარი ზომების მიღებას ხანძრის თავიდან ასაცილებლად.

ეხება რა საქართველოს ხაზზე წარმოებულ მუშაობას, მომხსენებელი ამბობს, რომ სახანძრო ინსტრუქტორების მუშაობით დატვირთვა ხელს უშლის ნორმალურ მუშაობას.

მიუხედავათ ენერგიული ზომებისა, რკინისგზებზე ცეცხლის გაჩენის შემთხვევები გასულ წლებთან შედარებით მაინც არ კლებულობს.

მომხსენებლის სიტყვით, 1923 წლიდან 1927 წლამდე რკინისგზამ საქართველოს ხაზზე ხანძარისაგან მიიღო დაახლოვებით 21.539 მანეთის ზარალი.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

ამხ. ბერიძემ აღნიშნა ის დეფექტები, რომლებიც არსებობს რკინისგზის სახანძრო რაზმის მუშაობაში.

ამხ. ბერიძემ სხვათა შორის ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ 1923 წ. სად. სამტრედიაში გაჩნდა ხანძარი. იმ ბოჭკაში, რომელშიაც წყალი უნდა ყოფილიყო აღმოჩნდა ნავთი. მეხანძრეებმა ნავთი დაასხეს ცეცხლზე წყლის მაგიერ.

ქალთა შორის მომუშავეთა ა.-კ.

საგზაო თათბირი

პირველი სხდომა.

კვირა საღამოს ა.-კ. რკინისგზის პროფკავშირის საგზაო კომიტეტთან გაიხსნა ქალთა შორის მომუშავეთა საგზაო თათბირი.

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ ყრილობამ მოისმინა ამხ. ხამონინის მოხსენება თემაზე

პროფკავშირის პრაქტიკული ამოცანები ქალთა შორის მუშაობის დარგში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რკინისგზის პროფკავშირში გაერთიანებულია სულ 2.570 ტრანსპორტზე მომუშავე ქალი, მათგან 2.251 მუშაობს, ხოლო დანარჩენნი უმუშევრები და მოხარდები არიან.

ეხება რა ამიერ-კავკასიის საგზაო კომიტეტის ქალთა შორის მუშაობის დახასიათებას, მომხსენებელი ამბობს, რომ ეს მუშაობა არ არის დამაკმაყოფილებელი; იგი ჩამოსთვლის მთელ რიგ დეფექტებს: ტრანსპორტზე მომუშავე ქალთა დაბალ კვალიფიკაცია, რომლის ასამაღლებლად კავშირი არ იღებს ზომებს; ქალების სუსტი მონაწილეობა საწარმოო კომისიებში და თათბირ. მუშაობაში და კულტმუშაობაში და მიუთითებს პრაქტ. ღონისძიებებზე, რომელთა საშუალებით შესაძლებელია ქალთა შორის კავშირის მუშაობის გაუმჯობესება მომავალში.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეებმა აღნიშნეს ყველა არსებული დეფექტები და მოითხოვეს მათი გამოსწორება.

ფოსტა-ტელეგრაფის

მუშაკთა ყრილობა

(20 და 21 მარტის სხდომები)

ყრილობის 20 მარტის დილის სხდომაზე გაიმართა კამათი საოლქო ცენტრ. გამგეობის წარმომადგენლის ამხ. ჯანიბახჩიევის მოხსენების გარშემო. კამათი გაგრძელდა საღამოს სხდომაზედაც, რის შემდეგ ვრცელი დასაბუთებული საბოლოო სიტყვით გამოვიდა თვითმომხსენებელი—ჯანიბახჩიევი.

მეორეზე სხდომაზე, 21 მარტს დილით მოხსენება გააკეთა საკავშირო ცენტრ. კომიტეტის წარმომადგენელმა ამხ. მანცევუდმა. ორატორი შეეხო ფ.-ტ. მუშაკთა ცენტრ. კომიტეტის მუშაობა-საქმიანობის ყველა მხარეებს, როგორც სატარიფო-სეკონომიო, კულტურული, საერთაშორისო ხასიათის და სხ.

საერთაშორისო საქმიანობიდან მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცეკამ მიმართა ფ.-ტ. მუშაკთა ინტერნაციონალს მისი ინტერნაციონალში მიღების შესახებ, მაგრამ დადებითი პასუხი არ იქნა მიღებული. უცხოეთის მონათესავე პროფ. კავშირებთან ცეკას მუდმივი დამოკიდებულება აქვს. მოხსენების შემდეგი ნაწილიდან ირკვევა, რომ კავშირის წევრთა რიცხვი შესამჩნევად გაზრდილა, ამასთანავე გაზრდილა უმუშევრობაც, რაც ნაწილობრივ აიხსნება მექანიკურ სამუშაოთა შემოღებით. მთელ საბჭოთა კავშირში ამჟამად ყოფილა 20 ათასი სოფლად ფოსტის დამტარებელი, რომლებიც ჯერ არ არიან კავშირში მიღებული, უახლოეს საკავშირო ყრილობაზე დადგება საკითხი დამტარებელთა პროლეტარული ნაწილის კავშირის წევრებად მიღების შესახებ.

უმუშევართა დასახმარებლათ ცეკას განზრახვა აქვს გაადიდოს საკავშირო გამოსაღების რაოდენობა, რომ ამით შესაძლებელი გახდეს უმუშევართა დასახმარებელი ფონდის გაძლიერება.

შეკითხვებისა და კამათის შემდეგ ყრილობამ მოისმინა მომხსენებლის საბოლოო სიტყვა.

საღამოს მეხუთე სხდომაზე მოხსენება გააკეთა ფ.-ტელეგ. სახ. კომისარიატის რწმუნებულმა ამიერ-კავკასიაში ამხ. ეშ. კვანტალიანმა. მომხსენებელი შეეხო ა.-კ. სახალხო კავშირის ოლქის სამმართველოს მუშაობა-საქმიანობას მიმდინარე საანგარიშო წლის განმავლობაში. ორატორმა აღნიშნა, რომ წელს ოლქში შემოსავალმა შედარებით დიდი მატება მოგვცა წარსულ წელთან შედარებით. ამის გამო წელს დაწყებული მთელი რიგი ქსელების გაფართოება და განახლება, მექანიკურ მოწყობილობათა განახლება და ზოგიერთ წამოწყებათა გაფართოება.

ამასთან დაკავშირებით შესამჩნევი ხდება სავალ ხარჯების შემცირება. მოხსენების შემდეგ ნაწილში ორატორი შეეხო რწმუნებულის სამმართველოს სხვადასხვა ხასიათის საქმიანობას და აღნიშნა მრავალი თვალსაჩინო მიღწევა.

მოხსენების შემდეგ მომხსენებელმა პასუხი გასცა შეტანილ შეკითხვებს [illegible] დასრულდა სხდომა.

ქრონიკა

პროფ. მელიქიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა

დამსახ. პროფ. პ. მელიქიშვილის მდგომარეობას გაუმჯობესება არ ეტყობა. ავადმყოფს უკანასკნელ ორი დღის განმავლობაში ყოველ საღამოს 7 საათიდან—დილამდე ცნობიერება ეკარგება, ღამეებს მოუსვენრად ატარებს, ბოდავს და საერთო სისუსტე ემჩნევა.

ტემპერატურამაც აიწია, გუშინ ავადმყოფს ჰქონდა—38,2 გრადუსი სიცხე, მაჯა—90 და სუნთქვა—24.

კლინიკის ცნობით ავადმყოფის მდგომარეობა თანდათან რთულდება.

თბ. ალმასკომში

◆ **მუნიციპალურ მუზეუმს** სხვადასხვა საჭიროებისათვის ალმასკომმა გადასცა 2700 მანეთი.

◆ **კომუნართა ბაღის** ზემო ნაწილის კეთილმოსაწყობად გადადებულია 20.000 მან.

სამეურნეო დაწესებულებებში

◆ **ბამბის დამზადება.** დღემდე მთელ ამიერკავკასიაში დამზადებულ იქნა 73,028,9 ტონა ნედლი ბამბა, აქედან მარტო საქართველოში 2119 ტონა.

◆ **მებამბეობის კომიტეტმა** შულავერის, ქუთაისის და ყარაიაზის ბამბის საწმენდე ქარხნების გასაუმჯობესებლად გადასდო 147,800 მანეთი.

◆ **სახალხო მეურნეობის** უმაღლესმა საბჭომ ტყიბულის მაღაროს მუშათა სახლების ასაგებათ გადასდო 273,079 მ.

სხვადასხვა

— დიღომის სათემო ალმასკ. შუამდგომლობა აღძრა მთავ-პოლიტგანის სკოლის გარეშე განათლების სახლის წინაშე თემში მოძრავი პუნქტის მოწყობის შესახებ.

— დიღომის სათემო ალმასკ. შუამდგომლობა აღძრა თბილისის ალმასკომის პრეზიდიუმის წინაშე თეთრი დუქნის დასწრივ მდ. მტკვარზე, ბორანის მოწყობის შესახებ.

◆ **სოციალურ გიგიენის** მუზეუმთან ეწყობა ფიზკულტურის განყოფილება.

◆ **პრაქტიკაზე.** სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის სტუდენტები აპრილში გაიგზავნებიან ბორჯომისა და ბაკურიანის ტყეებში პრაქტიკაზე სამუშაოდ.

◆ **თბ. სამოქალაქო აქტების ჩამწერმა** განყოფილებამ თებერვალში აღრიცხა ქორწინების—329, განქორწინების—86, დაბადების—877 და სიკვდილიანობის 320 შემთხვევა.

◆ **წყალთა მეურნეობის** სამმართველოსთან ეწყობა ჰიდრო-გეოლოგიური სექცია.

ყრილობები

◆ **პროფკავშირთა სრ. საქართველოს** კულტთათბირი გაიხსნება 28 მარტს თბილისში.

◆ **საკურორტო სამმართველო** ამა თვის ბოლოს იწვევს საკურორტო საქმის მოღვაწეთა ყრილობას.

ვინ იგზავნება სამუშაოზე

დღეს 22 მარტს შრომის ბირჟის კვალიფიციურ საწარმოვო მუშაკთა სექცია სამუშაოზე გზავნის შემდეგ პირებს: სერგო რიაზანოვი, ვლადიმერ ლორენცი, იორემ ტოკარი, ნესტორ გურგენიძე, პორფილე მეავანაძე, გრიგოლ გოგჩიარინოვი.

ფიზიკურ მუშათა მესამე სექცია სამუშაოზე გზავნის: ზინაიდა ჩუპროვას, სიმონ მელიკანიანცს, ახმენ ედიგაროვს, იოსებ ხაჩიბაბოვს, გიორგი ისკანდრაშვილს, ბაგრატ ხაჩატუროვს, სამსონ სულთანოვს.

შემთხვევები

◆ **რუსთაველის თეატრში** 30 მარტს მათე პრიგოტკის მოაცალეს საფულე. ჯიბგირი ნიკოლოზ კიში იქვე დააპატიმრეს.

◆ **გვამის აღმოჩენა.** წავკისის ხევში, დედოფლის წყაროსთან აღმოჩენილ იქნა ვასილ გიორგისძე ქოროღლიშვილის გვამი. როგორც გამოირკვა, ის ყოფილა ხევში და მომკვდარა.

◆ **დაჯახება.** 19 მარტს მილიუტინის და საბჭოს ქუჩების კუთხეში ავტომობილს დაეჯახა ტრამვაის რონოდა და დააზიანა, მსხვერპლი არ ყოფილა.

◆ **წითელ თეატრში** 20 მარტს ნიკოლოზ ვაშაკიძეს ჯიბიდან ამოაცალეს 80 მ.

◆ **რკ. გზის სადგურში ჩამოყენებული** რონოდიდან 20 მარტს პროკოფი გრი[illegible]ის მოპარეს რევოლვერი და სხვადასხვა ნივთები.

◆ **შეპყრობა.** 19 მარტს დააპატიმრეს ვახტანგ ბუტარაშვილი, ვასილ ნასიბოვი და სურენ ტოროზოვი თბ. ალმასკომის შენობიდან 4 თებერ. პალტოების მოპარვისათვის.

◆ **ქურდობა.** 20 მარტს ნოცივარის ქუჩა № 11 გაქურდეს მიხეილ ჩიჯავაძის ბინა.

◆ **ამავე დღეს** იურევის ქუჩა № 17 გაქურდეს ჯავახიშვილის ბინა. წაიღეს სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

◆ **ცხენების მოპარვა.** ამ რამოდენიმე ხნის წინად შირაქის საძოვრებიდან მოქ. ი. მჭედლიშვილს მოჰპარეს სამი ცხენი. ქურდები აღმოჩნდენ ზაქათალის მაზრის მცხოვრებნი ჯუმააბდულა-ოღლი და ასლან-ალი-კასუმ-ოღლი, რომლებიც გამოტყდენ ქურდობაში. მოპარული ცხენებიდან ორი აღმოჩენილია.

◆ **გაქცეული პატიმარის შეპყრობა.** 10 მარტს სიღნაღის მაზრაში შეპყრობილ იქნა თბილისის საპატიმრო სახლიდან ამას წინედ გაქცეული პატიმარი მუხტარ-მაგომედ-ოღლი.

აზარტული თამაშის წინააღმდეგ

აზარტული თამაშისათვის მილიციამ დააპატიმრა: ე. შერმაზანოვი, მ. ბოჩეკაშვილი, ა. ბადალოვი, ე. ნიკოგოროვი, ი. ეგანოვი, ე. ენიკოლოპოვი და ი. შატიაშვილი.

სასამართლო

გაფლანგვის სიმულიაცია

მეოთხე უბნის სახალხო სასამართლოში გაირჩა განათლების სახალხო კომისარიატის სკოლასახელოსნოების ყოფ. გამგის აკაკი ღვინერიას საქმე.

ღვინერიამ მიითვისა 800 მანეთი, ხოლო დაკითხვის დროს განაცხადა, რომ ფული მას მოპარა სახლში სტუმრად მისულმა ქალმა.

გამოძიებით გამოირკვა, რომ ღვინერიასათვის ფული არავის მოუპარავს.

სასამართლომ ღვინერიას მიუსაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ მხედველობაში მიიღო ბრალდებულის სოციალური მდგომარეობა და სასჯელი გაუნახევრა.

„ბებია ქალი“ სიპიაგინა

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ი. ბერიშვილის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: **გიორგობიანის** და **ზეიკიძის** და მდივან **ხებუას** მონაწილეობით გაირჩა **ოლღა სიპიაგინას** საქმე.

სიპიაგინა აღბულაღის თემში ცნობილი იყო, როგორც „ბებია ქალი“ და ეწეოდა ამ დარგში მუშაობას.

სიპიაგინამ გაუკეთა აბორტი **ალექსანდრა პეჩორინის** ქალს. რამოდენიმე დღის შემდეგ პეჩორინა გარდაიცვალა.

გვამის განკვეთით გამოირკვა, რომ სიპიაგინამ პეჩორინას მუცელი მოსწყვიტა ბალახის ძირების საშუალებით და გიგიენური პირობების დაუცველად.

გამოირკვა, რომ სიპიაგინა დიდი ხნიდან ეწეოდა ბებია-ქალობის ანგარების მიზნით.

გამოირკვა აგრეთვე, რომ სიპიაგინას სპეციალური ცოდნა არ ჰქონდა მიღებული.

სასამართლოში სიპიაგინამ თავი არ სცნო დამნაშავედ და განაცხადა, რომ მართალია, ის ეწეოდა ბებიაქალობას, მაგრამ აბორტებს არ აკეთებდა.

სასამართლომ სიპიაგინა დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა მას 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მკვლელობა

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **ლაშხის** თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: **თევზაძის** და **ზალდასტანიშვილის**, პროკურორ **ლ. ყლენტის** და მდივან **ხითარიშვილის** მონაწილეობით გაირჩა **ადილ-მამედ-მაღი, რასულ-ბაბა** და **იბრაგიმ ყურბან ოღლების** საქმე.

ამჟამად ადილ-მამედ-ოღლის მიმართ სისხლის სამართლის საქმე მოსპობილია, რადგან ბოროტმოქმედების ჩადენის შემდეგ ის გარდაიცვალა.

ბრალდებულმა იბრაგიმ-ყურბან-ოღლიმ შესძლო მიმალვა.

გასულ წელს გამსახლის ერთ-ერთ საკანში მოთავსებული იყო 45 სისხლის სამართლის დამნაშავე.

რეციდივისტი პატიმრები ავიწროებდენ პატიმარ გლეხებს. ამის გამო ამ უკანასკნელებმა განცხადებით მიმართეს გამსახლის ადმინისტრაციას.

1926 წ. 25 ივლისს, სეირნობის დროს რეციდივისტი პატიმრები დანებითა და სხვა მჭრელი იარაღებით დაესხენ პატიმარ გლეხებს.

ბრძოლის დროს სასიკვდილოდ დაჭრილი აღმოჩნდა პატიმარი **მიქელ დადაშ-ოღლი**, მძიმედ დაიჭრა პატიმარი **ალი-მიქელ-ოღლი**.

მიქელ-ოღლიმ ბოროტმოქმედნი გამოიცნო.

სასამართლომ იბრაგიმ-ყურბან-ოღლის მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით, ხოლო რასულ-ბაბა-ოღლი უდანაშაულოდ სცნო და გაამართლა.

რკინისგზებზე

ხ ორთქლმავლის გამოგზავნა

გზათა მიმოსვლის კომისარიატის განკარგულებით, სამხრეთ-აღმოსავლეთის გზებიდან, ა. კ. რკ. გზებზე იგზავნება ხუთი ორთქლმავალი.

მოზარდთა მასიური შემოწმება

ამიერ-კავკასიის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველო საგზაო დამზღვევ სალაროსთან ერთად ახლო ხანში შეუდგება მუშა-მოზარდთა მასიურ საექიმო შემოწმებას.

შემოწმების მიზანია, ამ მოზარდთათვის რეალური საექიმო დახმარების აღმოჩენა: კურორტებზე და დასასვენებელ სახლებში გაგზავნის, უფრო მსუბუქ სამუშაოზე გადაყვანის და სხვ. საშუალებით.

შემოწმება თბილისში და ლენინაკანში დამთავრდება 15 აპრილისათვის, მთელ ხაზებზე კი 5 მაისისათვის.

ცისტერნების უსარგებლო გაჩერებისათვის

ნავთსადენის განყ. მეორე უბნის უფროსის ა. **დუბასოვის** არა სწორი განკარგულებით სადგ. საღირაში და ფოილოში უმიზნოდ იყო გაჩერებული ცისტერნები 44 დღე-ღამის განმავლობაში, რაც გზას დაუჯდა 392 მან. 94 კ.

საქმისადმი ასეთი უყურადღებო მოპყრობისათვის დუბასოვს გამოეცხადა საყვედური.

დაჯახება

19 მარტს სამიმორონებო ორთქლმავალი, რომელიც ნავთსადგურიდან მიდიოდა ბათომის სადგურში, მეისრე ადამიას თანხლებით, აჭარის ქუჩაზე დაეჯახა რკინის გზაზე გადამავალ ფურგონს.

ადამია დასახიჩრდა. ფურგონი დაზიანდა უმნიშვნელოდ.

გრიპი ხაშურში

ა. კ. საგზაო კომიტეტში მიღებულ ცნობით, ხაშურში მძინვარებს გრიპის ეპიდემია: ავადმყოფებისათვის დახმარების აღმოსაჩენად ა. კ. რკ. გზ. ჯანმრთელობის განყოფილებამ გაგზავნა ხაშურში ექიმები.

ხელოვნება

„აიარტუნის“ მუსიკალური სტუდია

სომხური ხელოვნების სახლი თბილისში, რომელიც არსებობს საქართველოს გასაბჭოების დღიდან, არის ორგანიზაცია, რომელიცმ მიზნად ისახავს სომეხ ხელოვნების მუშაკთა გაერთიანებას სამხატვრო კულტურის საკითხების დასამუშავებლად და ამ კულტურის გასავრცელებლად ფართო მასებს შორის.

აი მხრივ დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს მუსიკალური სტუდია, რომელიც აკადემიურ მუშაობასთან ერთად ფართო მუსიკალურ განმანათლებელ მუშაობასაც აწარმოებს. მოწაფეების უმრავლესობა პროლეტარული ახალგაზრდობაა. აკადემიური მუშაობა სწარმოებს ფორტეფიანოს, საორკესტრო ინსტრუმენტების, სიმღერის, აღმოსავლური მუსიკის და თეორეტიული საგნების კლასებში. დაარსებულია აგრეთვე მხატვრული კოლექტივები: მოზარდთა გუნდი, ბავშვთა გუნდი, აღმოსავლური ორკესტრი და კამერული (სიმებიანი) ანსამბლები.

სტუდიის ყოფილი დირექტორი ტერ-გევონდიანი დანიშნულია ერევნის კონსერვატორიის რექტორად და ეხლა სტუდიას ხელმძღვანელობს რომანოს მელიქიანი, ენერგიული და განათლებული მუსიკალური მოღვაწე.

სტუდიაში იმართება კონცერტები ისტორიული თანამიმდევრობით; იმართება აგრეთვე მოწაფეთა საღამოები. ამასთანავე მთავარი ყურადღება აქვს მიქცეული მოწაფეების პედაგოგიურ განვითარებას სწორად დაყენებას.

ევროპიული მუსიკის პროპაგანდასთან ერთად, სტუდია ფართო მასებში ავრცელებს მშობლიურ მუსიკასაც, დაწყებული ხალხური სიმღერებიდან და გათავებული თანამედროვე კომპოზიტორებით.

სწავლის ფული ძალიან მცირეა. მოწაფეთა რიცხვი თანდათან იზრდება. მუსიკალური განათლების საქმის სწორად დაყენებით სტუდია თანდათან პოპულიარული ხდება თბილისის ფართო მასებს შორის.

პ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **პიანისტ ბოროვსკის კონცერტი** გაიმართება ახლო ხანში კონსერვატორიაში.

◆ **ოქტომბრის რევოლიუციისადმი** მიძღვნილ ნაწარმოებთა კონკურსში, რომელსაც აწყობს საბჭოთა კავშირის სამთამადნო მუშაკთა კავშირი. მოწვეული იქნა მონაწილეობის მისაღებათ საქ. სახ. კონსერვატორია.

◆ **დრამატიული წრე.** მუშკოოპთან დაარსდა სომხური დრამატიული წრე.

◆ **კონსერვატორიაში.** დღეს გაიმართება ამავე კონსერვატორიის მოწაფეთა მორიგი ღია საღამო.

◆ **„თამარ ცბიერი“.** ხვალ ოპერის თეატრში ს. ინაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „თამარ ცბიერი“.

— **ხელოვნების განყოფილება** აპრილის ბოლო რიცხვებში იწვევს რეჟისორთა და დრამატიულ წრეების ხელმძღვანელთა სრ. საქართველოს პირველ ყრილობას.

◆ **„ლამარა“.** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება გრ. რობაქიძის „ლამარა“.

◆ **მიგაი და სტეპანოვა** დღეს იმღერებენ ოპერა: „სევილიელ დალაქში“.

◆ **მუშათა თეატრში.** დღეს რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „რევიზორ“.

სურამის უღელტეხილის

ელექტროფიკაცია

კვირას, 20 მარტს, დილის სამრეწველო ტეხნიკუმის შენობაში (კამოს ქუჩა № 70) შესდგა საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოების სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნა ინჟ. კირქესელის მოხსენება სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკავშირო მთავრობამ დადებითათ გადასწყვიტა სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის საკითხი და საამისოდ გადასდო 1,800,000 მანეთი. სულ უღელტეხილის ელექტროფიკაცია დაჯდება 14 მილიონი მანეთი. ელექტროენერგიას უღელტეხილს მიაწოდებენ ზაჰესი და რიონის ჰიდრო ელსადგური. ელექტროფიკაციას წლიურად მოუნდება 45 მილიონი კილოუატი ელექტრონის ენერგია. კილოუატი დაჯდება 1ნახ.—2 კაპეიკი.

თბილისის პოლიტეხნიკურ

ინსტიტუტში

კვირას, 20 მარტს შესრულდა თბილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის დაარსებიდან 9 წლიწადი. ამის გამო ინსტიტუტმა გამართა საზეიმო სხდომა. სხდომა მოწყობილი იყო ინსტიტუტის ახალ შენობაში ყოფ. სომხის სემინარიის შენობაში, სადაც ინსტიტუტი გადავიდა რამდენიმე ხნის წინედ.

საზეიმო სხდომა გახსნა პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის რექტორმა **სმირნოვმა**, რომელმაც აღნიშნა ინსტიტუტის მიღწევები. ამჟამად ინსტიტუტში ითვლება 21.00 სტუდენტი, მათ შორის 240 ქართველი, 810 სომეხი, 659 რუსი, დანარჩენი სხვა ეროვნების. ინსტიტუტში ორი ფაკულტეტია. საინჟენერო და სასოფლო-სამეურნეო. სმირნოვის შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს: ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ—ამხ. **ლუკაშინმა**, საქართველოს განათლების სახ. კომისარმა ამხ. დ. კანდელაკმა და სხ. დასასრულ გაიმართა კონცერტი. ზეიმს დაესწრო საზოგადო და სახელმწიფო კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლნი.

ბიბლიოგრაფია

Р. ГАРМС. «Философия фильма».

გამოცემა „აკადემია“ გვ. 188 ფასი 1 მ.

ჩვენში საოცარი უყურადღებობა მეფობს კინო პრობლემების დამუშავების დარგში. ჩვენს ლიტერატურაში არც ერთი წიგნაკიც არ მოიპოვება კინო ხელოვნების საკითხთა გარშემო. უცხოეთის კინო წარმოებას თუ ახასიათებს უმაღლესი ტეხნიკა, მასვე ახასიათებს კინო ესთეთიკის საკითხების დამუშავებაც.

რ. გარმსის წიგნი საინტერესო შრომაა იმ მხრივ, რომ ის წარმოადგენს დისერტაციას, რომელიც წაიკითხა ავტორმა ლეიპციგის უნივერსიტეტის ცნობილ პროფესორ იოგან ფოლკელტთან. როგორც ვხედავთ კინო ხელოვნების საკითხები საუნივერსიტეტო დისერტაციების საკითხათ გახდა. ავტორი „კინოს კულტურის‘ უნივერსიტეტმა მიიწვია კინო ხელოვნების კათედრაზე. ს. ა.).

ავტორის მიზანია გამოჰყოს ყველა სპეციფიური ფაქტორები, რომლებიც ახასიათებენ ფილმს და შექმნან კინო ხელოვნების ესთეტიკა, ფილოსოფია და მეტაფიზიკა. ეს ამოცანა მეტად ფართო და ძნელია. ამიტომ გასაგებია, რომ ავტორის შრომა წარმოადგენს უფრო მეტად სადაო საკითხთა დასმის ცდას, ვიდრე კინო - ხელოვნების ესთეტიკის, ფილოსოფიისა და მეტაფიზიკის სისტემატიურ დალაგებას. მცირე ბიბლიოგრაფიაში ძნელია იმ საკითხთა განხილვა. ჩვენ შევეცდებით სხვა საშუალებით განვიხილოთ ეს საინტერესო შრომა. ამ წიგნის აღნიშვნა ღირს თუნდაც იმიტომ, რომ ის პირველი შრომაა აკადემიაში შეჭრილი კინო - ხელოვნების დარგიდან.

საჭიროა თუ არა ჩვენშიაც ვიფიქროთ ასეთ შრომებზე? ჩვენის აზრით აუცილებელიც არის. თუ კინო თეორიამ პრაქტიკულ მომუშავეს არ გაუკაფა გზა, ის უეჭველად დაიკარგება კინო შემოქმედების ლაბირინტში. კინო - ხელოვნებას დღეს ახასიათებს ახალი გზების ძიება. გერმანელმა კინოში სცადა ექსპრესიონისტული დადგმები, რომლებსაც ჯერ ჩვენამდე არ მოუღწევია. სურათების გადაღება თანდათან ბუნებიდან ატელიეში გადადის ახალი სინათლის ეფექტების და მხატვრული განწყობილების შესაქმნელად. თეორიული აზრი ეძებს კინოს ახალ ამოცანებს. ტეხნიკამ უკვე მიაღწია მეტყველი ფილმისა და ფერადოვანი ფილმის შექმნას. ყველა ეს აყენებს კინო ესთეტიკის საკითხების შესწავლის საჭიროებას, ჩვენში სამწუხაროთ კიდევ არ ისმის კინო - ხელოვნების საკითხები საზოგადოებრივი აზრის წინაშე.

ს. ა—ლი.

იურიდიული დახმარება

პენსიის დანიშვნის შესახებ

პასუხი

როგორც თქვენი შეკითხვიდან სჩანს, თქვენი ქმარი გარდაიცვალა 1917 წელს. ყოფ. „მთავრობის გადაწყვეტილებით“, როგორც თქვენ ამბობთ, თქვენ უნდა მოგცემოდათ ერთდროულად 600 მან., რისი მიღებაც თქვენ ვერ მოგიხერხებიათ მაშინ. ეხლა კი პენსიის დანიშვნის შესახებ შუამდგომლობის აღძრა ძალზე დაგვიანებულია. დამხობილი მთავრობის გადაწყვეტილების შესრულება კი სრულებით არ არის სავალდებულო საბჭოთა ხელისუფლებისათვის. (იხ. საქართ. ცაკის დადგენილება № 51-ის მუხ. 2 და 6).

შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 87-ის გამოყენების შესახებ

საბჭ. მუშაკთა კავშირის წევრს (წიგნ. № 4367).

პასუხი

ყოვლად დაუშვებელია მუშა-მოსამსახურის (მუქარით, დაშინებით) მათი სურვილის და თანხმობის გარეშე (იძულებით) გადაყვანა სხვა ადგილას სამსახურზე, ან მისი სრულიად უმიზეზოდ სამსახურობრივი ჩამოქვეითება ხელფასის შემცირებით. ასეთ შემთხვევაში შრომის კანონმდებლობა დაქირავებულს აძლევს უფლებას უარი განაცხადოს სამსახურის გაგრძელებაზე და მოითხოვოს გასასვლელი ორკვირეული დახმარების გაცემა. (იხ. შრომის კანონთა კოდ. მუხ. 87 და 89).

ქ. ბათომში მცხოვ. სალომე ჩხეტიას

პასუხი

ტრაღიკულად გარდაცვ. გიორგი ილარ. ჩაკვეტაძის ობოლი ბავშვისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ თქვენ უნდა მიმართოთ სათანადო განცხადებით საჭირო საბუთების თანდართვით აჭარისტანის სოცდაზღვევის სახალხო კომისარიატს.

რკინის გზის ოსტატს მალაქია ჭიჭინავას

პასუხი

ვინაიდან თქვენ იყავით დაპატიმრებული ადმინისტრატიული წესით, რაშიც არავითარი ბრალი არ ედება თქვენს დამქირავებელს, ამიტომ ეს უკანასკნელი არ არის ვალდებული გადაგიხადოს თქვენ გაცდენილი დროის ხელფასი; ვერც „დტჩკ“-ას მოსთხოვთ ასეთს. (იხ. ამ. შრომის სახკომატის შრ. კანონთა კოდექსის მუხლი 47-ის აზზ. „ე“-ხი 1925 წ. 16 იანვრის განმარტება).

წერილი რედ. მიმართ

თბილისის ულარიბეს მშობლების ბავშვები, რიცხვით 500 მეტი, რომლებიც ამერიკული კომიტეტის სასადილოებში სარგებლობენ უფასო სადილებით, 12 მარტს ესტუმრენ წითელი არმიის და ფლოტის სახლს, სადაც მათ გაუმასპინძლდენ უფასო კინო სეანსით და აჩვენეს მათ სამეცნიერო საბავშვო და კომიკური სურათები. აუწერელია ბავშვების სიხარული, მით უმეტეს, რომ მათი უმრავლესობა (მატერიალური პირობების გამო) მოკლებული იყო ასეთ სიამოვნებას. მე-7 ამერიკულ სას[illegible]ლოს გამგეც შემდეგისათვისაც აღუთქვა ბავშვებს ასეთი უფასო კინო-სეანსების რეგულიარულად მოწყობა.

მადლობას უცხადებთ ორგანიზატორს და წითელი არმიისა და ფლოტის სახლს, რომლებიც ეხმარებიან ღარიბ ბავშვებს.

ბავშვები.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

განათლების სახალხო კომისარიატისასაგაზაფხულო და საზაფხულო არდადეგების შესახებ

განათლების სახალხო კომისარიატმასაგაზაფხულო და საზაფხულო არდადეგების ჩატარების შესახებ დაადგინა ა. წ. 16 მარტს

1. შრომის სკოლის და ტეხნიკუმების საგაზაფხულო არდადეგები, როგორც ქალაქებში ისე სოფლებში, ჩატარდეს 1 აპრილიდან—10 აპრილამდე.

თუ რომელიმე მაზრის, რომელიმე რაიონის სკოლებისათვის, განსაკუთრებულ შემთხვევაში, სხვადასხვა მიზეზებისა გამო (უმეტესად სასოფლო-სამეურნეო მუშაობაში ბავშვთა ჩაბმის) უფრო რაციონალური და მიზანშეწონილი ქნება სასწავლო წლის ბოლოს ამ არდადეგების გადატანა—(სასწ. წლის დათავება და კომისარიატის მიერ განსაზღვრულ დროს, არამედ 10 დღით ადრე) ამ შემთხვევაში სამაზრო განათლების განყოფილებებმა უნდა აღძრან ამის შესახებ შუამდგომლობა განათლების სახალხო კომისარიატის წინაშე და მხოლოდ დასტურის მიღების შემდეგ გაატარონ იგი ცხოვრებაში.

2. ოთხწლედები (1, 2, 3, და 4 ჯგ.) თავის ყოველდღიურ--ჩვეულებრივ მუშაობას ამთავრებენ 31 მაისს, 1 ივნისიდან—5ივნისამდე კი აწარმოებენ ნამუშევარის აღრიცხვა-კოლოკვიუმებს.

3. შვიდწლედები (მე-5, 6 და 7 ჯგ.) თავის ყოველდღიურ—ჩვეულებრივ მუშაობას ამთავრებენ 7 ივნისს. 8 ივნისიდან—15ივნისამდე კი აწარმოებენ ნამუშევრის აღრიცხვა-კოლოკვიუმებს.

4. ცხრაწლედები (მე-8 და 9 ჯგ.) და ტეხნიკუმები თავის ყოველდღიურ ჩვეულებრივ მუშაობას ამთავრებენ 7 ივნისს. 8 ივნისიდან—20 ივნისამდე აწარმოებენ ნამუშევრის აღრიცხვა-კოლოკვიუმებს.

ამგვარად, შრომის სკოლებსა და ტეხნიკუმებში ყოველგვარი მუშაობა სწყდება 20 ივნისს და იწყება საზაფხულო არდადეგები. (დადგენილება არ ეხება სოფლის ახალგაზრდობის, სასოფლო-სამეურნეო და სხვა დანარჩენ ტიპის სკოლებს).

5. მომავალ სასწავლო წელში შრომის სკოლის ყველა საფეხურებში და ტეხნიკუმ. მისაღები კოლოკვიუმები და სხვა წინასწარი მუშაობა იწყება 1 სექტემბრიდან, მხოლოდ ჩვეულებრივ სასკოლო მუშაობა—15 სექტემბრიდან.

განათლების სახ. კომისარი **დ. კანდელაკი.**
სასკ. განყოფილების გამგის მოვალ. დრ. აღმას. **დიმ. გურგენიძე.**
საქმეთა მმართველი **ალ. მიქაბერიძე.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა **ერთიან პარტდღეს, პარასკევს 25 მარტს,** საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კომუჯრედების ღია სხდომებზე დასმულ იქნეს შემდეგი საკითხები.

1) მასიური მუშაობის შესახებ (საკავშირო კომპარტიის ცეკას საორგანიზაციო ბიუროს დადგენილებათა დამუშავება).
2) განხილვა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ცირკულიარისა (№ 5 14 მარტის თარიღით) პარტგანათლების შესახებ.
3) ადგილობრივი საკითხები.

შენიშვნა: საკავშირო კომპარტიის ცეკას ორგბიუროს დადგენილება „წარმოებებში მასიური მუშაობის შესახებ“ გამოქვეყნებულია გაზეთებში „კომუნისტი“ № 60 (1815) 17 მარტის თარიღით და „რაბოჩაია პრავდა“ № 63 (1209) 22 მარტის თარიღით.

თბილისის კომიტეტის მდივანი ე. ასრიბეკოვი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება იუწყება, რომ სამშაბათს ა წ. 22 მარტს საღამოს 6 საათზე რაიკომის ბინაზე შესდგება მეორე რაიონის ქალორგანიზატორთა სხდომა.

სავალდებულოა ყველა ქალთა და ქალიშვილთა ორგანიზატორების დასწრება.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენრაიკომი იუწყება, რომ პარასკევს 25 მარტს მესამე საბავშვო კერის შენობაში (პლეხანოვის ქუჩა № 166) შესდგება განათლების მუშაკთა უჯრედის (№ 24) დახურული სხდომა.

სავალდებულოა უჯრედების ყველა წევრების დასწრება დაუგვიანებლად.

— საქართველოს კომპარტიის **თბილისის კომიტეტის აგიტპროპკოლეგიის სხდომა** შესდგება სამშაბათს, 22 მარტს, დილის 9 საათზე თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. ასრიბეკოვის კაბინეტში.

—საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის **საკლუბო საბჭოს სხდომა** შესდგება ოთხშაბათს, 23 მარტს შუადღის 12 საათზე თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. **ასრიბეკოვის კაბინეტში.**

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება ოთხშაბათს 23 მარტს საღამოს 6 საათზე აგიტპროპმუშაკის კაბინეტში (რუსთაველის გამზ. № 22, მესამე სართული) იწვევს მიმდინარე პოლიტიკის წრეების მდივანთა თათბირს.

სავალდებულოა ყველა მდივნების დასწრება.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის ორგგანყოფილება იუწყება, რომ სამშაბათს 22 მარტს ნაშუადღევის 4 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზის შენობაში მოწვეულია ორგთათბირი.

სავალდებულოა ორგათათბირის ყველა წევრ[illegible] დასწრება დაუგვიანებლად.

—საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ ხუთშაბათს ა. წ. 24 მარტს, საღამოს 6 საათზე განათლების მუშაკის სახლში (კოლუბანის—5) შესდგება საწარმოო კომისიების თათბირი.

დღის წესრიგში სდგას ამხ. **გოდაბრელიძის** მოხსენება—საწარმოო კომისიების მუშაობის მორიგი ამოცანები.

სავალდებულოა საწარმოო კომისიების წევრ კომუნისტების და კომკავშირელების დასწრება დაუგვიანებლად.

— ს. კ. პ. ლენრაიკომი იუწყება, რომ 26 მარტს საღამოს 6 საათზე პლეხანოვის სახ კლუბის სალექციო დარბაზში შესდგება რაიკომის გაფართოებული პლენუმი კომუჯრედების მდივნებთან, პროფესიონ. და მეურნე-მუშაკებთან ერთად.

დღის წესრიგი: 1. მომჭირნეობის რეჟიმის გატარების შედეგების და აპარატის რაციონალურად დაყენების შესახებ.
2. მიმდინარე საკითხები.

— საქართველოს რემედასის ცეკა იუწყება, რომ დღეს, 22 მარტს, საღამოს 6 საათზე საქ. რემედასის ცეკას ბინაზე დანიშნულია **ცეკას საორგანიზაციო კომისიის სხდომა.**

დასწრება ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებისა სავალდებულოა:
1. ათაბეგოვი, ატოევი, პერცევი, ტურაბოვი და მშველიძე.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ფატმან, შვილები: ვიქტორი, ჟენია, ვერა, ნინა, ჩიტო და რძალი მარიამი შვილებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ა. წ. 18 მარტს, გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი პირველის მეუღლე, მეორეთა მამა და უკანასკნელთა ბაბუა

დიმიტრი ალექსანდრეს-ძე
კვიტაშვილი

დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 22 მარტს, დღის 4 საათზე, ქალ. ლანჩხუთში. ნ. 860

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: ტასო იოსების ასული, სვიმონ (სიკო), ნიკოლოზ, ალექსანდრე და გრიგოლ იოსების-ძენი ფიცხელაურები, დაი დარია ლევანის ასული ზარიძისა და ძმა ალექსანდრე ლევანის-ძე თვარელიშვილი ამით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებსა და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ღამით 20 მარტს, გარდაიცვალა უსაყვარლესი დედა პირველთა და დაი მეორეთა

ნატალია ლევან მთვარელიშვილის ასული
ფიცხელაურისა

პანაშვიდი ყოველდღე საკუთარ ბინაზე, საპირის ქუჩა № 45, საღამოს 6 ნახ. საათ. გამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2142

თავზარდაცემული და სამუდამოთ გულდაკლული, შვილები: ეპიფანე, სანდრო, ნიკიფორე, მოსე, მარო და ელისაბედ [illegible] ლია და ნინო, შვილიშვილები ბესიკო და [illegible] რებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ [illegible] 21 [illegible] საღამოს 9 საათზე გარდაიცვალა მათი ძვირფასი ქვრისუფალი და მომაგე დედა

ბაბილინა საყვარელის ასული
იმნაიშვილისა

პანაშვიდი საღამოს 6 საათზე 22 მარტს, ელისაბედის ქ. № 155 გამოსვენება სადგურზე 23 მარტს, საღამოს 5 საათზე, სადგურ ლანჩხუთში წასასვენებლათ.

გამოთხოვების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (ე)

ორშაბათს, 21 მარტს, საღამოს 9 საათზე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ბაბილინა საყვარელის ასული
იმნაიშვილისა

რასაც ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს გულდათუთქულნი ქალიშვილი მარიამ ბესარიონის ასული, სიძე ალექსანდრე ფრიდონის ძე და შვილიშვილი შოთიკო ცინცაძეები პანაშვიდი მარტის 22 საღამოს 6 საათზე, ელისაბედის ქ. № 155. გასვენება სადგურ ლანჩხუთში მარტის 23, საღამოს 5 საათზე. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (ე)

ღრმად დამწუხრებული დედა ნინო ივანეს ასული ერისთავი, ძმები ივანე, გიორგი, ალექსანდრე გრიგორის-ძენი, რძლები ნინო, ივლიტა ერისთავები დაი ელენე, სიძე არჩილ დავითიშვილი და მამიდა თამარა ლონგო აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ტრაღიკულად გარდაცვალებულ მე-2 საარტილერიო ლეგიონის, **მეჯოგრის თავის**

კოტე ერისთავის

დაკრძალვა მოხდება 23 მარტს, 4 საათ. ბინიდან (ყოფ. ბებუთოვის ქ.) ენგელსის № 20, ახალ ვერის სასაფლაოზე. 2148

მე-2 ქართულ მსროლელ დივიზიის საარტილერიო ლეგიონის უფ-პოლიტ და წითელ-არმიელთა შემადგენლობა იუწყება მეთაურ

კოტე გიორგის-ძე ერისთავის

ტრაღიკულათ გარდაცვალებას ა. წ. 19 მარტს, დაკრძალვა მოხდება 23 მარტს, 4 საათზე. გამოსვენება ბინიდან, ბებუთოვის ქ. № 20 ვერის ახალ სასაფლაოზე. 2146

ბალავერ შვილებით: კვიროსი (კოლია), ლეო, კლიმენტი, პანტელეიმონი; რძლები: ლიზა, ანეტა და კატუშა; შვილიშვილები: ჰოჭი, ჩატუნია, ნელი და ქენია დოლიძე, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს პირველის მეუღლის, მეორის დედის და უკანასკნელების ბებიას

ქრისტინე ნანიკოს ასულის
ორაგველიძის

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება სოფ. შუხუთში, 24 მარტს, გორის-გვერდის სასაფლაოზე. 2137

მწუხარებაში მყოფი და ოლღა, სიძე სიმონ ბარამიძეები შვილი: კოლია, რძალი მარუსია და შვილიშვილები: ვალიკო (მიტუშ), ოთარიკო და ლამარა აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებ , რომ ა. წ. 18 მარტს, რკინის გზის საავადმყოფოში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და საყვარელი

ქრისტინე ორაგველიძე

რომლის დასაფლავება მოხდება ს. შუხუთში, ხუთშაბათს, 24 მარტს, დღის 4 საათზე. 2137

გულდათუთქულნი დედა მუშუნდი, დავით სიმონის-ძე მიქელაძე, დები: ვერა და ფათუ, სიძეები: გოგი გრიგ ლია, მიშა კოხიაიძე, გამზრდელი მატრონა, ბიცოლები ელისაბედ და ეფემია, ბიძაშვილები ვარინკა და კოკი, ანეტა და ბუხუტი მიქელაძეები, მიხა მაქსიმიშვილი შვილებით, ანეტა მიქელაძე, [illegible]ილი და გიორგი ხოსიტაშვილები, ცოტო და ვარლამ ძიძიგურები, გუცა და ნატო ჩიქოვანები, კისა და ჯოჯი კანდელაკები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

რომან (ქოშ) სარდიონის-ძე
მიქელაძე

რომლის დასაფლავება მოხდება სოფ. კულაშში, ხუთშაბათს, 24 მარტს, დღის 1 საათზე. 2147

სახელმწიფო დრამა
4—4 ნ. 828
სამშაბათს, 22 მარტს
ლამარა
გრ. რობაქიძის
პიესა 4 კამარათ
მუსიკა: იონა ტუსკიასი
დადგმა: კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელისა
ხუთშაბათს, 24 მარტს, ნ. შიუკაშვილის
ამერიკელი ძია
ორიგინალური კომედია 4 მოქმ. და 3 ინტერმედიით
დადგმა: ალ. ახმეტელის. მხატვარი: მ. შავიშვილი
სა ხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

სახელმწიფო ოპერა
ნ. 855
დღეს, 22 მარტს. ე. ა. სტეპანოვას და ს. ი. მიგაის გასტროლი
სევილიელი დალაქი
კანცბურგის და მესნიაევის მონაწილეობით
ოთხშაბათს 23 მარტს, სანდრო ინაშვილის, ქუმსიაშვილის, შარაშიძის, ვოლჩანეცკაიას და ვლადისლავსკაიას მონაწილეობით
თამარ ცბიერი
ხუთშაბათს 24 მარტს ე. ა. სტეპანოვას და ს. ი. მ გაის გასტროლი
მეფის საცოლე

სახელმწიფო ოპერა
ე. ა. სტეპანოვას და ს. ი. მიგაის
ორი უკანასკნელი გასტროლი
22 მარტს სევილიელი დალაქი როზინა—სტეპანოვა ფიგარო—მიგაი
24 მარტს მეფის საცოლე მართა—სტეპანოვა გრიაზნოი—მიგაი
ნ. 856

ცირკი
ძმ. ტანტების
ტელ. 16—67
წაიკითხეთ ჩვენი აფიშები!!
1—1 ნ. 854
ს.ს.ს/[illegible]პ. დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების ხელმძღვანელობ.
სამშაბათს, 22 მარტს,
სრულ 8 საათზე და 15 წუთ. მთავარ ადმინისტრატორის
მიხეილ ივანესძე ტადეს სალამო
პროგრამა 4 განყ. ახალი ნომრები ძმ. კ. და ლ. ტანტების გამოსვლა დღეს ყველაფერი გადიდებული მასშტაბით. ჭიდაობის მე-50-ე დღე.
ჭიდაობს ოთხი წყვილი
გადამწყვ. წითელი ნიღ.—ბორისოვი. ბუმბერაზი ზოტი—დემონი
გადამწყვ. კ. ბულ—პ. კრილოვი. გადამწ. იაუნზე—შულც
ადმ. ხელმძღვანელი მ. ი. ტადე.

აპოლლო
ტელ. 7—61.
არფასტო
ტელ. № 19—22.
სოლეი
ტელ. 20—44.
დარბაზი
ტელ. 14—03.
0—17 ნ. 748
სომხეთის კინოს ნაწარმოები
„ზარე“
რეჟისორი ბეკ-ნაზაროვი
ქურთების ცხოვრებიდან
უკანასკნელი დღე მსოფლიო შედევრი „მხდალი“
ხვალ ბარბარა ლა-მარ სურათში
„მეკობრეთა შთამამავალნი“
პირველად თბილისში
„ქალი ლეოპარდით“
ალისა გრედის მონაწილეობით
ანონსი: მალე მსოფლიო შედევრი „სოდომი და გომორრი“

მსურველთ შეუძლიათ
სავსებით შეითვისონ 3 თვის სისტემატიური და პრაქტიკული ვარჯიშობით ხრული კურსი
ბუხჰალტერიის: საქარხნო, სავაჭრო ან საბიუჯეტო დარგი
მეცადინეობა მცირე ჯგუფში შემდგარი 6—7 პირისაგან—კურსის გავლა ჯგუფში 75 მანეთი, ხოლო კერძოთ ორმაგად. პირობების გაგება შეიძლება ი. ცირგილაძესთან სალ. 5—7 საათამდე—რუსთაველის გამზირი № 18 მესამე სართული, ტელეფონი № 5—40. ნ. 802 10—4

ქ. თბილისის შრომის სახ. სასამართ. აღმასრულებელი
გ. ქ. ჯინჭველაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 26 მარტს, 1927 წ. დღის 2 საათზე სახლში № 30 (ცირკის) ქორესის ქუჩაზე, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ნიკოლოზ ბროკას მოძრავ ქონებას: ქვაბებს, შკაფს სხვადასხვა სამეურნეო მანქანებს და სხვ. შეფასებულს 448 მანეთად, დამზღვევ სალაროს და მოქ. ბელიაკოვის და სხვათა ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 21 თებ. 1927 წ. თარიღით, № 575 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 857

ქ. ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოჭორიშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 30 მარტს 1927 წ. დღის 11 საათზე სახლში № 27, ლენინის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სიმონ პაპიაშვილის მოძრავ ქონებას: შკაფებს, კაძოდს, მაგიდას, კედლის საათს, ნოხს, კედლის სარკეს, კედლის ხალს და სხვ. შეფასებულს 127 მანეთად, გასან დაად-ოღლის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქუთაისის 1-ლი უბნის სახალხო სასამართლოსაგან 4 აპრილს 1926 წ. თარიღით, № 996 გაცემულ აღმსრულებელ ფურცლისა. ნ. 862

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—19

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—1

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგან, ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობანი
ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი

ფოთის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი
პ. კოგალაძე

ამით აცხადებს, რომ 25 მარტს, 1927 წელს დილის 12 საათზე ფოთის სახალხო სასამართლოს დარბაზში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობით** გაყიდვა გარდაცვალებული ვასილ იოსების-ძე თოფურიძის მემკვიდრეების პეტრე და ალექსანდრე ვასილის-ძე თოფურიძენის და პეტრეს ცოლის ქსენია თოფურიძის და ოლღა სისოს ასული მშვიდობაძე ქონების, დასაკმაყოფილებლად საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს 13,638 მ. 39 კ. ქონება მდებარეობს ქ. ფოთში: ერთი ქვის სახლი 11 ოთახი, რომლიდანაც ზედა სართული არის 4 და ქვედა 7. ორივე იატაკი გაკეთებულია რკინის ბეტონისაგან, დახურული ნაწილი კრამიტით და ნაწილი ცინკგადაკრულ რკინით, ზედვე მიდგმული სამზარეულო 4 ოთახით, ხის, დახურული კრამიტით, აგებული ფოთში მახარაძის და ლაზარევის ქუჩის კუთხეში. ნაკვეთ მიწაზე ზომით 260 ოთხკუთხედი საჟენი, შეფასებულია 10,000 მანეთად. ოჯახის ავეჯეულობა შეფასებული 115 მანეთი. 4 ქვის მაღაზიები აგებული ეკლესიის ქუჩაზე შეფასებული 5000 მანეთად, რომელი თანხიდანაც დაიწყება ვაჭრობა.

ვინც ისურვებს ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, ვალდებულია ვაჭრობის დაწყებამდე წარმოუდგინოს სასამართლოს აღსასრულებელს სამ. საპრ. მე-311 და 312 მუხ. გათვალისწინებული ცნობები, გარდა ამისა ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საწინდარი შეფასებულ ჯამის 10 %--1511—50 კ. ნ. 859

ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლ. ს. სეიტოლუხოვი

ამით აცხადებს, რომ 1927 წ. 28 მარტს, დღის 12 საათზე, სახლში № 11 კათოლიკების ქუჩა, მე-4 სამილიციო უბანში, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის აიკანუშ ნიკოლოზის ასული კანანოვის ერთ დაუმთავრებელ ქვითკირის სახლს შეფასებულს 2500 მან. ტიგრან შერმაზოვის ვალის დასაკმაყოფილებლად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს 13 ოქტომბრის 1926 წ. № 3157 გაცემულ ბრძანების ძალით.

მყიდველებმა უნდა დაიცვან სამოქ. საპ. კოდ. 311—312 მუხლებში აღნიშნული წესები. 2141

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
ს. გოჭორიშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 4 აპრილს 1927 წ. დღის 11 საათზე სახლში № 4, ქ. ქუთაისში ცხაკაიას ქუჩის შესახვევში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ბაგრატ ბუილიშვილის და დავით ქავჟანიძის მოძრავ ქონებას: მაგიდებს, ფარდაგს, სკამებს, შკაფებს, საყინულეს, ქალის ტანისამოსს, პ[illegible]ის საბანს, საწოლს და სხვ. შეფასებულს 306 მანეთად, შალვა ასათიანის 1107 მან. ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 5 იანვარს 1927 წ. თარიღით, № 378 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 862

ბაღდათის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი
ი. დ. ლომთაძე

ამით აცხადებს, რომ 9 აპრილს, 1927 წ. დღის 12 საათზე ის გაყიდის **საჯარო ვაჭრობით** ალექსანდრე გიორგისძე ერისთავის მდებარე სოფ. სალომიაოში, ქუთაისის მაზრაში ორ სართულიან ფი რულის საცხოვრებელ სახლს—ზევითა სართული შვიდი ოთახი, ძირა—ოთხი ოთახი, აქვს ორი ძხრით დერეფ ები, დახურული ყავრით, დაფას ბული 2100 მან., დასაკმაყოფილებლად „აჭარვაჭრობა მრეწველობის“ 2408 მან. და 70 კაპ. და ქუთაისის 1-ლი სახელმწიფო თამბაქოს ქარხნის „26 კომუნართა სახელისა“ 313 მან. და 94 კაპ.

ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. ნის. 858

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 3.
25—1

ექიმი ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოეკ“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

დაჰკარგვე უვადო პირადობის მოწმობა მოცემული ქუთაისის მილიციის უფროსისაგან. თბილ. მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 12482, მბეჭდ. კავშირის წიგნაკი № 172782. სამხედრო აღრიცხ. მოწმობა მოც. ქუთ. სამხ. უფროსისაგან; მინდობილობა და პირადობის მოწმობა მოცემული საქ. კომპარტიის ცეკას სტამბის ადმინისტრაციის მიერ ალექსანდრე ილარიონისძე კობრიძის სახელზე, ჩ. გ.

დაჰკარგვე სააღრიცხვო ბარათი ყოფილი მე-6-ხე უბნის სამხედრო მაგიდის მიერ გაცემული პეტრე დოჭკერის სახელზე, ჩ. გ. 2144

დაჰკარგვე პარტიული ბილეთი № 497328, რკინის გზის წლიური ბილეთი № 158 და სამსახურის მოწმობა ა. ნ. კალანდაძის სახელზე, ჩ. გ. 2143

დაჰკარგვე სამხ. სალ. ფურცელი № 484 მოცემული ფასანაურის ალმასკ. მიერ. გაბრიელ ექვთიმესძე ჩოხელის სახელზე, ჩ. გ. 2140

დაჰკარგვე კავშირის წიგნაკი № 9541 და სხვადასხვა საბუთები არჩილ ბუაძის სახელზე, ჩ. გ. 2139

დაჰკარგვე საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 2470 „გრუზფისტორგი“-დან მოცემული ქ. ა. ანდრეევა-ნემაძის სახელზე, ჩ. გ. 2136

დაჰკარგვე სამხედრო სააღრიცხვო მოწმობა მე-3 რაიონის მილიციასთან არსებული სამხედრო მაგიდის მიერ მოცემული ვლადიმერ ოტიასძე კორძახიას სახელზე, ჩ. გ. 3138

დაჰკარგვე ინვალიდობის მოწ. № 10228, პასპორტი და ს მხედრო წიგნა პარმენ სიმონისძე სინატაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 862

დაჰკარგვე კავშირის წიგნაკი ვლადიმერ დავითისძე მეგრელიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2150

დაჰკარგვე პირადობის მოწმობა მიღებული ხიდის თავის თემის ალმასკომისაგან № 342 თედორე გიგინისძე ლომთათიძის სახელზე, ჩ. გ. 860

დაჰკარგვე სამხედრო აღრიცხვის მოწმობა № 21 ქ. სამტრედიის სამხედრო მაგიდის უფროსის მიერ მოცემული გიორგი (ეჟენი) სარდიონისძე ჩაჩუას სახელზე, ჩ. გ. 2149

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.